

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ჯემალ ბერიძე

საქართველო-თურქეთის სოციალურ-პოლიტიკური  
და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები  
თანამედროვე ეტაპზე (1992-2012 წწ.)

(წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

*სამეცნიერო ხელმძღვანელი:*  
*ასოც. პროფ., ისტ. მეცნ. კანდ. ი.ნ. ბარამიძე*

ბათუმი - 2019

## განაცხადი ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჯემალ ბერიძე

07.11.2019

## ს ა რ ჩ ე ვ ი :

შესავალი .....	5
<b>თავი I. საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა სათავეებთან .....</b>	<b>17</b>
§ 1. საქართველო-თურქეთის ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში .....	17
§ 2. საქართველო-თურქეთის ურთიერთობა საბჭოთა პერიოდში .....	37
<b>თავი II. პოლიტიკური სიტუაცია და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთს შორის პოსტსაბჭოთა პერიოდში .....</b>	<b>53</b>
§ 1. თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში სსრ კავშირის დაშლის შემდეგ .....	53
§ 2. 1992 წლის ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ .....	65
§ 3. საქართველო-თურქეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები 90-იან წლებში .....	71
<b>თავი III. საქართველო-თურქეთის ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე (2003-2012) .....</b>	<b>84</b>
§ 1. ვარდების რევოლუცია და თურქეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპი ...	84
§ 2. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და თურქეთის პოზიცია .....	93
§ 3. საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ასპექტები 2000-იან წლებში .....	102
დასკვნები .....	116
გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია .....	123
დანართები .....	133

## შესავალი

თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს მეზობელი, მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა. საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან (რომლის სამართალმემკვიდრეცაა დღევანდელი თურქეთი) არასწორხაზოვნად ვითარდებოდა: იყო დაპირისპირებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების, სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების პერიოდები. დღეს უკვე ვითარება შეცვლილია: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წლის 9 აპრილი) თურქეთის რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც გვადიარა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად და ქვეყნისთვის მძიმე ვითარებაში დახმარების ხელი გამოგვიწოდა.

ამის დასტური იყო 1992 წელს გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულება მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ. სწორედ ეს თარიღი და აქედან მოყოლებული 20-წლიანი პერიოდი ავიღეთ წინამდებარე ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ, რაც, ვფიქრობთ, ლოგიკური და გამართლებულია.

საკვლევი პერიოდი ერთი შეხედვით, თითქოს ხანმოკლეა, მაგრამ მოვლენებით დატვირთული და ამდენად, მისი წარმოჩენა და გააზრება დღევანდელი გადასახედიდან ფრიად მნიშვნელოვანია. თემის ქრონოლოგიური ჩარჩოს ზედა ზღვრად 2012 წელი მხოლოდ 2 ათწლეულის დასაფიქსირებლად არ აგვიღია. ამ წელს ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში პირველად მოხერხდა ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის ფაქტი, რამაც განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები.

თურქეთთან ურთიერთობის თემა ყოველთვის აქტუალური იყო და არის დღესაც. თანამედროვე ეტაპზე ამ ურთიერთობის კვლევას აქტუალობას მატებს, ჯერ ერთი, ჩვენი სწრაფვა იმ გეოპოლიტიკური სივრცისაკენ, რომლის წევრიც არის თურქეთი: ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას (ნატო) და თანამშრომლობას მის ფარგლებში. მეორეც ის, რომ თანამედროვე თურქეთი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა, რაც ახალი ეტაპია ჩვენს მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში. მან, გარკვეულწილად, ჩაანაცვლა რუსეთი და, როგორც ნატოს

წვერი ქვეყანა, გახდა ჩვენი მოკავშირე და უდიდესი სავაჭრო პარტნიორი. დღეს სწორედ თურქეთის კერძო სექტორია საქართველოს ეკონომიკის უმსხვილესი ინვესტორი. ქვეყნებს შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. ორივე ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ ქვეყნებს შორის მიმოსვლის გამარტივებული წესით. და მესამე: თურქეთს, როგორც რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მოთამაშეს ყოველთვის ჰქონდა და დღესაც აქვს თავისი განსაკუთრებული გეოპოლიტიკური ინტერესი მთლიანად კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს მიმართ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მას ამ ინტერესების რეალიზებას უფრო დიდი გასაქანი მიეცა. ამდენად, ამ კონტექსტშიც საინტერესოა საქართველოსთან ურთიერთობების განვითარება. ეს ურთიერთობები დიდ გავლენას ახდენს საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე, ეკონომიკის განვითარებაზე, ენერგო და რეგიონალურ უსაფრთხოებაზე, საბოლოოდ კი - საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებაზე. თურქეთი საქართველოსთან ერთად, ჩართულია რეგიონულ და საერთაშორისო ენერგო პროექტებში. საქართველო ენერგო კორიდორის მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანას წარმოადგენს, ამიტომაც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებს დიდი როლი ეკისრება რეგიონის როგორც ეკონომიკურ, პოლიტიკურ ისე სტრატეგიულ განვითარებასა და უსაფრთხოების განმტკიცებაში.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ამ ურთიერთობების ერთგვარ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს თურქეთის მიერ რბილი ძალის ელემენტების გამოყენება, რომელიც საკმაოდ თვალსაჩინოდ ვლინდება ურთიერთობების დიპლომატიურ, ენერგეტიკულ, ეკონომიკურ, კულტურულ, იდეოლოგიურ-ინტელექტუალურ და სხვა კომპონენტებში. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ თურქი მაღალჩინოსნები (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი) ხშირად ახსენებენ საერთაშორისო საზოგადოებას ყოფილი ოსმალეთის იმპერიის საზღვრებს. ამ საზღვრებში კი აჭარას, გურიის ნაწილსა და სამცხე-ჯავახეთსაც მოიაზრებენ.

ე.წ. რბილი ძალის თეორიის ავტორი, პოლიტიკოსი და მკვლევარი, ჯოზეფ ნაი, აკრიტიკებს ხისტი ძალის პოლიტიკას და უპირატესობას იძულებისა და ზეწოლის მიზნით, თანამშრომლობას, დიპლომატიას, ენერგეტიკულ, ეკონომიკურ, კულტურულ, იდეოლოგიურ-ინტელექტუალურ და სხვა აქტივობებს ანიჭებს. შესაბამისად,

დღეს იგი დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ჩვეულებრივი თანმდევი მოვლენაა (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ.). ამ მხრივ, არც თურქეთია გამონაკლისი, ამიტომ საინტერესო და აქტუალურია ქართულ-თურქული ურთიერთობების ამ ჭრილში განხილვა და იმის ანალიზი, თუ როგორ აისახება ეს პროცესი საქართველოს უსაფრთხოებაზე, განვითარებასა და კეთილდღეობაზე.

კვლევის მიზანია თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების, საარქივო დოკუმენტების, სტენოგრაფიული ჩანაწერების, ოფიციალური მიმოწერის კვლევისა და ობიექტურ ანალიზზე დაყრდნობით კომპლექსურად შევისწავლოთ და წარმოვაჩინოთ საქართველო-თურქეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები 1992-2012 წლებში, ვაჩვენოთ ამ ურთიერთობათა დინამიკა. მითითებული ორი ათწლეულის ურთიერთობების ჩვენება განყენებულად, მე-20 საუკუნის რეალობის გათვალისწინებლად, შეუძლებელია. ამიტომაც ნაშრომის პირველ ნაწილში სწორედ ამაზე - საქართველო-თურქეთის ურთიერთობებზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა პერიოდში - ვამახვილებთ ყურადღებას; რა თქმა უნდა, ამ ურთიერთობების საწყის ეტაპზე გასათვალისწინებელია მთლიანად საბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესები, კავშირის რღვევა და კონფლიქტური კერების გაჩენა; მნიშვნელოვან ამოცანად გვესახება, ასევე 1992 წლის ხელშეკრულების დეტალური ანალიზი; ნაშრომის დასკვნით ნაწილში ძირითადი აქცენტები გადატანილი გვაქვს ვარდების რევოლუციისა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში თურქეთის პოზიციის წარმოჩენაზე, სხვა სოციალ-ეკონომიკურ ასპექტებზე.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავსახეთ გარკვეული ამოცანების შესრულება. კერძოდ, უნდა გავარკვიოთ თუ როგორი იყო ქართულ-თურქული სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე და თანამედროვე პერიოდში; რა გავლენა იქონია საბჭოთა კავშირის დაშლამ ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე; რა დოზით ვლინდება რბილი ძალა ამ ურთიერთობებში და როგორია მისი გავლენა და შედეგები საქართველოს უსაფრთხოებასა და სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.

საკვალიფიკაციო ნაშრომში გავითვალისწინეთ, თუ რამდენად არის დამუშავებული ხსენებული პრობლემატიკა და ის ფაქტი, რომ არსებობს მთელი რიგი სადავო, ნაკლებად შესწავლილი საკითხები, ამიტომაც მთელი ძალისხმევა მივაპყარით იმ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ურთიერთობების კომპლექსურ ანალიზზე, რომლებიც გავლენას ახდენს ქართულ საზოგადოებაში განხორციელებულ ცვლილებებსა და სახელმწიფოს განვითარებაზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე იქნება ის, რომ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში პირველად კომპლექსურად წარმოჩნდება ქართულ-თურქული ურთიერთობების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო ასპექტები, გაანალიზდება დასავლეთში საკმაოდ პოპულარული რბილი ძალის თეორიის გამოყენებით, მშვიდობიანი გზით, სახელმწიფოს მიერ სასურველი საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის შესაძლებლობები. თანამედროვე ეტაპზე საქართველო-თურქეთის ურთიერთობების შესწავლისა და კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნები საშუალებას მოგვცემს გაანალიზდეს აღნიშნული ურთიერთობების კეთილმოყვითელი გავლენები და გამოწვევები.

ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მიერ შემუშავებულ პრინციპთა და მეთოდთა კომპლექსური გამოყენება, როგორცაა ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, სტატისტიკური, რეტროსპექტული, პოლიტიკური ანალიზისა და სხვა.

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ ქართული, რუსული, ინგლისური, თურქული, დოკუმენტები, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივის (სცსსა), აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივის (აცსა), აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის (ამხფ), საქართველოს პარლამენტის ეროვნული, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკების მასალები, ქართველი და უცხოელი ავტორების მონოგრაფიები, მემუარები, სტატიები და სამეცნიერო ლიტერატურა, პერიოდული პრესა, ინტერნეტ რესურსები და სხვ.

1918-1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საარქივო დოკუმენტები ემიგრაციაში წაიღო, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს,

ნოე ჟორდანიას, კარლო ჩხეიძის ევგენი გეგეჭკორის, აკაკი ჩხენკელის და მაშინდელი მთავრობის სხვა წევრების პირადი არქივები. ეს დოკუმენტები ქართველი მკვლევარებისათვის 2013 წლიდან გახდა ხელმისაწვდომი. მათი შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს, ისე მთლიანად კავკასიის და აქ მიმდინარე პროცესების და ისტორიის შესასწავლად.

საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა ისტორია ბევრი მკვლევარის ინტერესში ექცევა და, შესაბამისად, ბიბლიოგრაფია საკმაოდ სოლიდურია. უკანასკნელ წლებში გამოიცა სტატიები, მონოგრაფიები, დაიცვა დისერტაციები, გამოქვეყნდა სხვადასხვა არქივებში დაცული დოკუმენტები, რომლებშიც განხილულია ქართულ-თურქული ურთიერთობების ახალი მნიშვნელოვანი ასპექტები. ამ თეორიული კვლევების ძირითადი შედეგები გათვალისწინებული და გამოყენებულია წინამდებარე დისერტაციაში.

ჩვენთვის საინტერესო თემაზე მომუშავე ავტორთაგან, უპირველესად აღსანიშნავია ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, პროფ. მიხეილ სვანიძე. მართალია, მისი ნაშრომები, ძირითადად, თურქეთის სოციალ-პოლიტიკური წყობის, საქართველო-თურქეთის ურთიერთობების შედარებით ადრინდელ პერიოდს ეხება, მაგრამ მის ფუნდამენტურ ნაშრომში - თურქეთის ისტორია, რომელიც პირველად ქართულ ენაზე სრულყოფილად წარმოგვიჩინეს ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ცხოვრების განვლილ გზას<sup>1</sup>, არის საყურადღებო აქცენტები საქართველოსთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომს მინიჭებული აქვს აკად. გ. წერეთლის სახელობის პრემია.

---

1. სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია, ტ. 1 (XIV-XVI სს.), თბ., 1999; ტ. 2 (1600-1923 წწ.), თბ., 2002, ტ. 3 (1923-2000), თბ., 2005; თურქეთის ისტორია (1299-2000 წ.წ.), თბ., 2007; საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბ., 1971; საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII ს.ს.), თბ., 1990; ბრესტის ზავი და საქართველო (1918 წ. 3 მარტი), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 3, თბ., 1996, გვ.285-303; ბათუმის კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება (1918 წლის 11 მაისი-4 ივნისი), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 6, თბ., 1999, გვ. 183-208; საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, 2004, N11, გვ. 627-633...



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და თურქეთის ურთიერთობების საკითხზე არაერთი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული მკვლევარ რ. ყავრელიშვილს.<sup>2</sup> მისი საკანდიდატო დისერტაცია საქართველოს 1918-1921 წლების ისტორიის თურქულ ისტორიოგრაფიას მიეძღვნა. აღსანიშნავია, რომ ბ-ნი როინი აქტიურდ იყენებს ოსმალურ-თურქულ წყაროებს, თურქული ისტორიოგრაფიის თანამედროვე მიღწევებს, რაც სამეცნიერო სიახლესთან ერთად, მეტ მიმზიდველობას და დამაჯერებლობას მატებს მის პუბლიკაციებს.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიისათვის საყურადღებოა ემზარ ფაჟავას მონოგრაფია - საერთაშორისო ფაქტორი თურქეთის სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში (თბ., 2017). ნაშრომი ეხება თურქეთის კავკასიურ პოლიტიკაში საქართველოს ადგილისა და როლის განსაზღვრას. მასში განხილულია ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების დინამიკა, მიღწეული შედეგები და განვითარების შემდგომი პერსპექტივები, იგი ძირითადად პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ურთიერთობებს შეეხება.

თანამედროვე თურქეთის აქტუალურ საკითხებს, მის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ ასპექტებს იკვლევს პროფ. ე. მაკარაძე. მის მონოგრაფიებში<sup>3</sup> ყურადღება ექცევა ისეთი საკითხების წარმოჩენას, როგორცაა საბჭოთა სისტემის რღვევა და თურქეთის

---

2. ყავრელიშვილი რ., 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია, დისერტაცია, თბ., 2002; თურქული საარქივო წყაროები ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციის შესახებ, მესხეთი: ისტორია და თანამედროვეობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, ახალციხე 2000, გვ. 60-71; თურქეთის მთავრობის ორინოტა (1921) – (საქართველოს მთავრობასთან სამშვიდობო მოლაპარაკებისა და ართვინისა და არტაანის მხარის თურქეთისათვის გადაცემის თაობაზე), საისტორიო კრებული: მესხეთი, N6-7, ახალციხე, 2005, გვ. 225-230; რამდენიმე თურქული დოკუმენტი კავკასიისა და ქართული ლეგიონის შესახებ (თანაავტ. თაქი სალაჰმორ ჰასან ქოჰალი), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავისადმი, 1-2 ივნისი, 2018, შრომების კრებული, კავკასიის უნივერსიტეტი, თბ., 2018.

3. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, XX საუკუნის 90-იანი წლები, ბათ., 2000; თურქეთის საშინაო პოლიტიკა 1980-2011 წლებში. ნაწ. 1, თბ., 2012; თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში, თბ., 2015.

პოლიტიკის გააქტიურება, ლაიციზმი, თურანიზმი, საქართველოსთან ურთიერთობა, 1992 წლის ჩარჩო ხელშეკრულება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ და სხვა. მისი აზრით, თურქეთისთვის საქართველო მნიშვნელოვანი პარტნიორია და მას განიხილავს როგორც სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში გასასვლელ ხიდს.<sup>4</sup> ე. მაკარაძეს ეკუთვნის სახელმძღვანელო - „ქემალიზმი და დემოკრატიზაცია თურქეთში“ (მ. მანჩხაშვილთან თანაავტორობით, თბ., 2014) და თურქეთის ბოლო ასწლეული ისტორიის ამსახველი ერთგვარი სალექციო კურსი<sup>5</sup>, რომლებიც კარგ სამსახურს გაუწევინ როგორც სტუდენტებს, ისე სხვა დაინტერესებულ პირებსაც.

საინტერესოა რ. გაჩეჩილაძის „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“ (თბ., 2008), სადაც ავტორს კარგად აქვს გადმოცემული ახლო აღმოსავლეთის რეგიონის და ხალხების პრობლემები. ერთი თავი დათმობილი აქვს თურქეთის რესპუბლიკას, მისი პოლიტიკის თავისებურებებს, როლს და გავლენას რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. მეორე ნაშრომში - „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“, თვითონ სათაურიდანაც ჩანს, განხილულია პრობლემები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილსა და ფუნქციას ეხება.

საქართველო-თურქეთის კულტურული და საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია დიმიტრი ცეცხლაძის წიგნი - მეგობრობა გრძელდება (2005)<sup>6</sup>, რომელშიც სხვა ჩვენთვის საინტერესო ბევრ საკითხზე არის მსჯელობა. ზოგადად სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით საინტერესოა არჩილ გეგეშიძის სახელმძღვანელო - „გეოპოლიტიკა“<sup>7</sup>, რომელშიც ავტორი ნათელყოფს გლობალური პროცესების გავლენას შიდა და გარე პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარებაზე.

---

4. მაკარაძე ე., თურქეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში და ურთიერთობა საქართველოსთან 1991-2008 წლებში, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - პოლიტიკა კავკასიის გარშემო - შრომათა კრებული, თბ., 2016, გვ. 32-37.

5. მაკარაძე ე., თურქეთის ისტორია, 1918-2018 წლები, სალექციო ჩანაწერები, თბ., 2019.

6. ცეცხლაძე დ., მეგობრობა გრძელდება - საქართველო-თურქეთი: ეძღვნება საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობას, თბ., ანკარა., 2005.

7. გეგეშიძე ა., გეოპოლიტიკა, თბ., 1999.

ჩვენი საკვლევი თემის არეალში ექცევა წლების მანძილზე თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის ტ. ლებანიძის საინტერესო მონოგრაფიები<sup>8</sup>, რომლებშიც ძირითადი აქცენტი გადატანილია თურქეთის შიდა პოლიტიკაზე, პოლიტიკური პარტიების როლზე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ პრობლემებს ეძღვნება ავტორის საკანდიდატო დისერტაციაც. თურქეთის სტაბილური განვითარება ჩვენის ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებშია, ამდენად ამ საკითხების ანალიზს საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა განვითარების ეტაპების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, 90-იანი წლების დასაწყისში ახალი სამეზობლო ურთიერთობების ჩასახვა-განვითარებისა და თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლის საკითხები საინტერესოდაა წარმოდგენილი თურქეთის რესპუბლიკაში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ელჩის, ნოდარ კომახიძის წიგნში - მეზობელო კარისაო<sup>9</sup> (1994).

თურქეთში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და პოლიტიკური ცხოვრების წარმოჩენას ეძღვნება მაია მანჩხაშვილის წიგნი - თურქეთი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს (თბ., 2014). ნაშრომში საუბარია, ასევე საქართველო-თურქეთის ურთიერთობებზეც. ავტორის აზრით, ეს ურთიერთობები მრავალფეროვანია, მრავალმხრივი განვითარების საშუალება გააჩნია და წარმატებულია.

2014 წელს თსუ-ს გამომცემლობის გრიფით დაიბეჭდა საინტერესო სახელმძღვანელო: თურქეთის საგარეო პოლიტიკა (1990-2008 წლები).<sup>10</sup> მასში განხილულია თურქეთის საგარეო პრიორიტეტები, ურთიერთობები ევროკავშირთან, აშშ-სთან, ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. მართალია, კავკასიის მიმართულე-

---

8. ლებანიძე ტ., თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა (ოსმალეთის იმპერიიდან დღემდე), თბ., 2011; თურქეთის შიდა პოლიტიკა 1945-1980 წლებში და პოლიტიკური პარტიები, თბ., 2003; თურქეთის პოლიტიკურ პარტიათა როლი და ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ავტორეფ., თბ., 2004.

9 კომახიძე ნ., მეზობელო კარისაო...: საქართველო-თურქეთის ურთიერთობის თვისებრივად ახალი ეტაპი, თბ., 1994.

10. თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა მ. მანჩხაშვილმა, რედ. ს. კაპანაძე, თბ., 2014.

ბა მწირადაა წარმოდგენილი, მაგრამ იგი მაინც საინტერესოა თურქული პოლიტიკის საფუძვლებისა და მისი საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარი ამოცანების კრილში.

ძალიან საინტერესოა და საჭირო ი. უსთუნერის ბიბლიოგრაფიული ნაშრომი - საქართველო თურქეთის პუბლიკაციებში (თბ., 2017)<sup>11</sup>, რომელშიც სრულყოფილადაა წარმოჩენილი ყველა ის ნაშრომი (მონოგრაფია, სტატია თუ პუბლიკაცია), რომელიც საქართველოს შესახებ დაიბეჭდა თურქეთში. ბიბლიოგრაფიაში თავმოყრილია ყველა მიმართულება: ენა, ისტორია, კულტურა, ეკონომიკა და სხვა.

საქართველო-თურქეთის ურთიერთობების შესწავლისადმი ინტერესი იკვეთება, ასევე, თურქულ, რუსულ და ევროპულ ენებზე გამოცემულ ნაშრომებშიც.

თურქულ ენაზე გამოცემულ ნაშრომთაგან უპირველესად აღსანიშნავია ს. სურმელის კაპიტალური ნაშრომი - თურქულ-ქართული ურთიერთობები (1918-1921)<sup>12</sup>, რომელიც საინტერესოა და საყურადღებო მასალებს შეიცავს პირველი მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი სამწლიანი პერიოდის ურთიერთობებისათვის. ესაა სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლები, რომლის შესახებაცაა საუბარი ჩვენი დისერტაციის პირველ თავში. ამ 700-ზე მეტ გვერდიან მონოგრაფიაში დეტალურადაა მიმოხილული სამეზობლო ურთიერთობები დაწყებული ერზინჯანის მოლაპარაკებიდან, დამთავრებული მოსკოვისა და ყარსის შეთანხმებებით.

აღნიშნული პერიოდის ჩვენთვის საინტერესო ურთიერთობებს ეხება დერია ჩინი შიმშეკის სტატია - ათათურქის პერიოდის თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები (2018).<sup>13</sup> საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობებს ეხება მუნევერ ქათქათა ოზჩელიკის სტატია - საქართველოსთან თურქეთის სავაჭრო ურთიერთობები და მისი გავლენა ართვინის ვაჭრობაზე (2016).<sup>14</sup>

---

11. უსთუნერი ი., ქირი მ., საქართველო თურქეთის პუბლიკაციებში (Türkiye'deki yayınlarda Gürcistan) (ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურა, ეკონომიკა...), ბიბლიოგრ., თბ., 2017.

12. Sürmeli S., Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Atatürk Araştırma Merkezi, Ankara, 2001.

13. Çini Şimşek D., Atatürk Dönemi Türkiye - Gürcistan ilişkileri, Social Science Studies 2018, Cilt 6, Sayı 2, s. 318-331.

14. Katkat Özçelik M., Gürcista ile Türkiye'nin ticari ilişkisi ve Artvşn'deki ticarete etkisi, Karadeniz Araştırmaları, 2016, Sayı 52, s.211-232.

განსაკუთრებით საყურადღებოა იელდა დემირალის ნაშრომი - თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები დამოუკიდებლობიდან ვარდების რევოლუციამდე.<sup>15</sup> სტატი-  
აში საუბარია ჩვენს ქვეყნებს შორის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ურთი-  
ერთობებზე. შედგება სამი ნაწილისგან: 1. 1991-1996 წლებს შორის პერიოდი.; 2. 1996  
წლიდან 2003 წლამდე პერიოდი; 3. ვარდების რევოლუციიდან სტატიის გამოქვეყ-  
ნებამდე (2005) პერიოდი; აქვეა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ამსახ-  
ველი სტატისტიკური ცხრილები, რაც მეტ მიზიდველობას სძენს ნაშრომს.

თურქი ავტორებისაგან აღსანიშნავია აჰმედ დავუთოღლუს “სტრატეგიული სი-  
ღრმე” (თურქ.: Stratejik Derinlik, ინგლ.: The Strategic Depth). გარკვეულწილად ეს წიგნი  
საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების მნიშვნელოვან საკითხებსაც  
ეხება. თურქეთის ყოფილი საგარეო მინისტრის და შემდგომში პრემიერ-მინისტრის  
დავუთოღლუს დოქტრინა მსოფლიოში ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც საერთა-  
შორისო ურთიერთობების პროფესორმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოს-  
ტი დაიკავა. დოქტრინა მეზობელ ქვეყნებთან ნულოვან პრობლემათა ქონას ითვა-  
ლისწინებდა. მას მიაჩნია, რომ, თეორიულად მაინც, არავითარი საფუძველი არ არსე-  
ბობს იმისთვის, რომ თურქეთს მეზობელ ქვეყნებთან რაღაც გადაუწყვეტი პრობლე-  
მები ჰქონდეს. პრაქტიკაში კი ამ დოქტრინას წინააღმდეგობრივი შედეგი ჰქონდა და  
გარკვეული თავსატეხი შეუქმნა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ განვითარებას.

ევროპულ სამეცნიერო სივრცეში გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან აღსანიშნავია  
ავტორთა კოლექტივის პუბლიკაცია - თურქეთი და აღმოსავლეთ თანამშრომლობა:  
თურქეთის საგარეო პოლიტიკა პოსტ-საბჭოთა შავიზღვისპირა მეზობლების მიმართ.<sup>16</sup>  
ამ საკმარად სოლიდურ ნაშრომში მიმოხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა თურ-  
ქეთის საგარეო პოლიტიკა ცივი ომის მიწურულს, თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური,  
ენერგეტიკული, საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობები შავიზღვის-

---

15. Demirağ Y., Bağımsızlıktan Kadife Devrime Türkiye-Gürcistan İlişkileri, Uluslararası İlişkiler, Cilt 2, Sayı 7, Ankara, 2005, s. 125- 155.

16. Ole Frahm, Katharina Hoffmann, Dirk Lehmkuhl, Turkey and the Eastern Partnership: Turkey's Foreign Policy Towards its Post-Soviet Black Sea Neighbourhood, EU-STRAT Working Paper No. 13, Berlin, December 2018.

პირა მეზობლებთან. ავტორების დასკვნით, თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ამ რეგიონალურ მიმართულებას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს.

2003 წლის შემდგომი პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და უსაფრთხოების საკითხებს ეძღვნება გლობალური უსაფრთხოების ამერიკული აკადემიის სოლიდური გამოცემა: საქართველო ვარდების რევოლუციის შემდეგ.<sup>17</sup> ამ 450-ზე მეტ გვერდიან კრებულში მოთავსებულ ცალკეულ ავტორთა სტატიებში ვხვდებით ბევრ საინტერესო მასალას ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ცალკეული ასპექტები აქვთ განხილული ავტორებს: ალი ფაიქ დემირს (სამხრეთ კავკასია თურქეთის საგარეო პოლიტიკის პერსპექტივიდან),<sup>18</sup> ა. ალქანს (შავი ზღვის უსაფრთხოება),<sup>19</sup> ა. ჩეჩენს (თურქეთი და ევრაზია),<sup>20</sup> გ. არშაკიანს (თურქულ-ქართული ურთიერთობების მთავარი მიმართულებები თურქეთის რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში XXI საუკუნის დასაწყისში),<sup>21</sup> ერიკ დავითიანს (თურქეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხრეთი სამხედრო თანამშრომლობა)<sup>22</sup> და სხვა.

დისერტაციაზე მუშაობისას, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლიდით ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებულ მრავალრიცხოვან დოკუმენტებსა და შეთანხმებებს: მოსკოვისა და ყარსის 1921 წლის ხელშეკრულებები; ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ (1992 წ.); დეკლარაცია საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის თანამშრომ-

---

17 Государственность и безопасность: Грузия после “революции роз”, Под редакцией Бруно Коппитерса и Роберта Легволда, Кембридж, 2005.

18. Demir A. F., Turk Dış Politikası Perspektifinden Güney Kafkasya, İstanbul, 2003.

19. Alkan A., Karadeniz güvenliği, Ankara, 2006.

20. Çeçen A., Türkiye ve Avrasya, Ankara, 2006.

21. Аршакян Г., Основные направления турецко-грузинских отношений в контексте региональной политики Турции в начале XXI в., Проблемы национальной стратегии, № 6 (33) 2015.

22. Давтян Э.,Трехстороннее военное сотрудничество Турции, Грузии и Азербайджана (2012-2016), [www.lib.knigi-x.ru](http://www.lib.knigi-x.ru).

ლობისა და სოლიდარობის შესახებ; შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში; შეთანხმება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში საქართველო-თურქეთის ურთიერთობის პრობლემას არაერთი საერთაშორისო კონფერენცია, სიმპოზიუმი თუ სემინარი მიემდგვნა როგორც ჩვენთან, ისე თურქეთის რესპუბლიკაში.<sup>23</sup> კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები, მრავალფეროვანი თემატიკით, გამოქვეყნებულია შესაბამის კრებულებში, რაც გვეხმარება კვლევაში და ერთგვარად გვიადვილებს კიდევ დასახული მიზნის მიღწევას.

დისერტაციაში გამოყენებულია საკვლევო მასალის შესახებ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები, რომელიც ეხება საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს, ბათუმის ოლქსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, ხელისუფლების და აქ მოქმედი ორგანიზაციების საქმიანობას და გადაწყვეტილებებს, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, საქართველო-თურქეთის პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობებს.

---

23. ქართულ-თურქული მულტიდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 2013; სამეცნიერო კონფერენცია - საქართველო-თურქეთი: წარსული და თანამედროვეობა" ბათუმი, 2013; საერთაშორისო სამეცნიერო სემინარი თურქულ-ქართული ურთიერთობები - ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე 2016; საერთაშორისო სიმპოზიუმი ქართულ-თურქული ურთიერთობები: წყაროები ქართულ-თურქული ურთიერთობების შესახებ, ტრაპიზონი-თბილისი, 2017; საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე: ქართულ-თურქული ურთიერთობები (ქართულ-თურქული ურთიერთობები შუა საუკუნეებში), გორი, 2018.

## თავი I. საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა სათავეებთან

### § 1. საქართველო-თურქეთის ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში

მე-16 საუკუნიდან საქართველო, დიდი ხნით, ირან-ოსმალეთის გავლენაში ექცევა. მე-19 საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერია, მრავალწლიანი მცდელობის შედეგად, ახერხებს ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდებას და საქართველოს მიერთებას, მისი სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციას. საუკუნის შემდეგ, პირველმა მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა საფუძველი დაუდო ახალ მსოფლიო წესრიგს, რომელშიც საქართველომაც შეძლო თავისი დამოუკიდებელი სიტყვის თქმა. თუმცა, მივყვით მოვლენებს თანმიმდევრულად.

1918 წლისათვის პირველი მსოფლიო ომი დასკვნით ფაზაში შევიდა. 1917 წლის ოქტომბერში სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად გამოსულიყო ომიდან, რათა მთელი რესურსი ქვეყნის შიგნით საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისათვის გამოეყენებინა. მოიშალა ფრონტის ხაზი, რამაც დააჩქარა სეპარატული ზავის დადება გერმანიასთან.

1917 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ბრესტ-ლიტოვსკში, მეომარ მხარეთა შორის, გაფორმდა დროებითი საზავო ხელშეკრულება და იქვე დაიწყო მოლაპარაკება საბოლოო ზავის პირობების დასადგენად. მშვიდობა ჩამოვარდა კავკასიის ფრონტზე ამიერკავკასიასა და ოსმალეთს შორის ერზინჯანში 18 დეკემბერს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე [სიორიძე, 2002:180]. ერზინჯანის შეთანხმების ხელმოწერით ოსმალეთმა, ფაქტობრივად, აღიარა ამიერკავკასიის კომისარიატი როგორც დამოუკიდებელი მთავრობა [Sürmeli, 2001:29].

რა ვითარება იყო ამ დროს ამიერკავკასიაში? დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა დაკარგა ფუნქცია. ასეთ პირობებში ანტანტის ქვეყნებმა დაიწყეს სამზადისი ამიერკავკასიაში ბოლშევიკებისაგან დამოუკიდებელი მთავრობის შესაქმნელად, რასაც ადასტურებს აშშ-ს კონსულის ტელეგრამა



გაგზავნილი სახელმწიფო მდივან ლანსინგისადმი [სცსსა, ფ. 1818, ან. 2, ს. 116, ფურც. 12]. მაშინდელი პოლიტიკური მოღვაწეები და ამიერკავკასიის წამყვანი პარტიები როგორც ჩანს არ იყვნენ აღფრთოვანებული ლენინით და ბოლშევიკური ხელისუფლებით, ამიტომაც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ მოქმედებას ამჯობინებდნენ. თუმცა, ამიერკავკასიის პოლიტიკურ სცენაზე ტრადიციულად აქტიურობდა იმ დროს გერმანიის მოკავშირე ოსმალეთის იმპერია, რომელსაც ამ რეგიონის მიმართ თავისი მიზნები ჰქონდა, რის რეალიზებასაც ბრესტ-ლიტოვსკში ცდილობდა. ასეთ პირობებში კი აშკარა იყო, რომ საქართველო იდგა თავისი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

1918 წლის 1 (14) იანვარს თურქეთის არმიის მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელი ენვერ-ფაშა გენერალ-ლეიტენანტ ი. ოდიშელიძისადმი მიწერილ წერილში დაინტერესდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელ მთავრობასთან მშვიდობიანი ურთიერთობების აღდგენით და გამოთქვა მზადყოფნა გამოეგზავნა დელეგაცია თბილისში ამ მიმართულებით უსწრაფესი შედეგის მისაღწევად [Документы и материалы, 1919:24-25]. პასუხად ამიერკავკასიის კომისარიატმა აცნობა თურქულ მხარეს, რომ დაინტერესებულნი იყვნენ ომის უსწრაფესი დამთავრებით და მშვიდობის დამყარებით, მაგრამ როგორც რუსეთის რესპუბლიკის ნაწილს, სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება შეეძლოთ მხოლოდ ახლად შეკრებილი დამფუძნებელი კრების დასტურით [Документы и материалы, 1919:25-26].

სამწუხაროდ, ამიერკავკასიის ხელისუფლებამ (1917 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი), ოსმალეთის შეთავაზების მიუხედავად, არ მიიღო მონაწილეობა ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე საზავო მოლაპარაკებებში, რადგან ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლას დროებით მოვლენად მიიჩნევდნენ და მათ ქმედებებს სერიოზულად არ აღიქვამდნენ. ამან კი საშუალება მისცა ოსმალეთის დელეგაციას დაერწმუნებინა გერმანია თავის „კანონიერ“ პრეტენზიებში ამიერკავკასიის გარკვეული ტერიტორიების მიმართ. 1918 წლის 3 მარტს ბრესტში მოწერილი ხელშეკრულების მე-4 პუნქტის ძალით, რუსეთმა დაკარგა გავლენა არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქებზე. მას უნდა გაეყვანა ჯარი ამ რეგიონიდან და არ ჩარეულიყო ამ ოლქების სახელმწიფო-სამართლებრივ ორგანიზაციაში, რაც ადგილობრივი მოსახლე-

ობის პრეროგატივად იქნა მიჩნეული, ოღონდ მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით [Мирный договор...; სვანიძე, 1996:288-289; 2003:155-156].

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში არ ეწერა, არტაანი, ყარსი და ბათუმი ოსმალეთს უნდა გადასცემოდა, ამ უკანასკნელმა, ადგილობრივი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ, დაიწყო მათი ოკუპაცია და 1877 წლის რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრის აღდგენა [ზარამიძე, 2016:78]. 14 მარტიდან 5 აპრილამდე ტრაპიზონში გაიმართა საზავო კონფერენცია ამიერკავკასიის წარმომადგენლებსა (თავმჯდომარე ა. ჩხენკელი) და ოსმალეთს შორის, სადაც თვიდანვე გამოჩნდა, რომ ოსმალეთისათვის ამოსავალი იყო ამიერკავკასიის ხელისუფლების მიერ ბრესტის ზავის პირობების აღიარება [ზოსიძე, 1998]. ამ პერიოდისათვის ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებლობა, ასე რომ იგი ფორმალურად რუსეთის იმპერიის ნაწილად აღიქმებოდა და საერთაშორისო სამართლით წამგებიან სიტუაციაში იმყოფებოდა. მითუმეტეს, როცა ამას ოსმალთა მხრიდან სამხედრო ზეწოლაც ემატებოდა. ამიერკავკასიის მთავრობა, რომელსაც ოსმალეთის საპირწონე ძალა არ გააჩნდა, იძულებული გახდა ოსმალეთისათვის შეეთავაზებინა თითქმის მთელი ყარსის ოლქი და ბათუმის ოლქის ნაწილი, მაგრამ ოსმალეთი ჯიუტად მოითხოვდა ბრესტის ზავის უპირობოდ მიღებას.

თურქული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ტრაპიზონის კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაციის მთავარი მიზანი ამიერკავკასიასთან მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება იყო, თუმცა მათი უფლებები შეზღუდული იყო, რის და სხვა მიზეზების გამოც მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა და დელეგაციაც იძულებული შეიქმნა სტამბოლს დაბრუნებულიყო [Şahin, 2002:443]. ფაქტობრივად კი ეს იყო უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი, სადაც საკითხი წყდებოდა უპირატესად ძალისმიერი პოზიციიდან, რაც კარგად გამოჩნდა კონფერენციის დასკვნით ეტაპზე [ბერიძე, 2017:78].

ამასობაში ოსმალეთმა არტაანი აიღეს და ყარსს შეუტყეს. შეიქმნა გამოუვალი სიტუაცია. ამიტომაც ამიერკავკასიის დელეგაციამ, ცენტრთან შეუთანხმებლად, მიიღო ბრესტის ზავის პირობების ცნობის გადაწყვეტილება, მთავრობა კი ზავის აღიარებას შეუძლებლად თვლიდა. იმავე 11 აპრილს კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა ვეკიბ

ფაშამ მოითხოვა 13 აპრილის შუადღემდე ბათუმის დაცლა. ქართულმა მხარემ 1 დღით მეტი დრო ითხოვა, რაზეც ოსმალები არ დათანხმდნენ, განაახლეს შემოტევა და 14 აპრილს აიღეს ქალაქი [სიორიძე, 2002:204–214].

როგორც ირკვევა, ბათუმის გარნიზონი 8 ათასი ქართველი ჯარისკაცისაგან შედგებოდა, რაც ქალაქის ხანგრძლივი დაცვის გარანტია უნდა ყოფილიყო, თუმცა ამის მიუხედავად ადგილობრივმა ხელისუფლებამ 60 წლამდელი მამაკაცების სრული საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა შიდა საყარაულო სამსახურისა და მილიციელთა მოვალეობის შესასრულებლად, რათა ამ მოვალეობისგან განთავისუფლებულიყო მთელი ბრძოლისუნარიანი ელემენტი და იგი უკანასკნელ ადამიანამდე გაგზავნილიყო ფრონტზე... [აცსა, ფ. 67, ან. 1, ს.14]. მალე ქალაქის დამცველთა რიცხვი 12 ათასამდე გაიზარდა, თუმცა მათი უმრავლესობა სახალხო მოლაშქრე იყო [სიორიძე, 2002:217, Nizamoğlu, 2013].

ბათუმის დაცვაზე და დამცველთა ბრძოლისუნარიანობაზე უარყოფითად იმოქმედა ოსმალო აგენტურის მიერ ორთაბათუმში წყალსადენის სათავის მოშლამ, რამდენიმე ადგილას რკინიგზის დაზიანებამ, სახაზინო ქონების ევაკუაციის დაწყებამ. ამას ემატებოდა ჯარში გამეფებული უდისციპლინობა, სამხედრო პოზიციების უნებართვოდ მიტოვება [სიორიძე, 2002:2019].

10 აპრილს დაეცა ბათუმის დაცვის მეორე ხაზი, რასაც მოჰყვა პანიკა, უკან დახევა და ქალაქის ევაკუაცია ზღვით, რკინიგზით... უკანასკნელი კატერით ბათუმი დატოვეს ნ. რამიშვილმა, სათათბიროს თავმჯდომარე ბულგაკოვმა და გენ. მდივანმა [ბარამიძე, 2016: 81].

თურქული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ბათუმისკენ მომავალი, მოიერიშე ოსმალო ასკერების რაოდენობა 7 ათასს აღწევდა. ქალაქის აღების დღეს კი ამ ძალას კავკასიის მეათე დივიზიონიც დაემატა [Nizamoğlu, 2013]. არსებული მოსაზრებით, ასეთ პირობებშიც კი, ქალაქის შენარჩუნება, სამხედრო თვალსაზრისით, შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა ტრაპიზონში მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგები, საერთო რევოლუციური ფონი და ჯარის ნაწილებში შექმნილი მძიმე ვითარება, რაზეც თავის მოგონებებში მიუთითებს გენ. გიორგი მაზნიაშვილიც [მაზნიაშვილი, 2007:16–17].

ბათუმში ოსმალთა გამოჩენის შემდეგ, გადაწყდა მათთან გაეგზავნათ ქალაქის დელეგაცია უმთავრესად იმისათვის, რომ გაეფრთხილებინათ ისინი ქალაქის ქუჩებში წესრიგის დამცველი მილიციელების არსებობის შესახებ. თურქულმა მხარემ მოსახლეობას მოუწოდა განეგრძოთ თავიანთი ჩვეული საქმიანობა, დაეცვათ სრული სიმშვიდე და აღუთქვა სრული უსაფრთხოება თუ ისინი მათ მიმართ ლოიალურად იქნებოდნენ განწყობილნი [აცსა, ფ. 67, ან. 1, ს.14; უზუნაძე..., 2013:86; ბარამიძე, 2016: 82].

ქუჩებში გაჩნდა თურქული პატრულები; თითქმის ყველა დუქანი გაიღო, ქალაქმა თითქმის ნორმალური სახე მიიღო; მხოლოდ ქუჩების კუთხეებში გროვად დაყრილი იარაღი, რომელიც ასქერების დაცვის ქვეშ იყო, შეახსენებდნენ ომის შესახებ. ბათუმში თურქების ყოფნის უკვე მესამე დღეს მთავარსარდალმა ვეჰიბ ფაშამ ქალაქისა და ოლქის სამხედრო გუბერნატორად დანიშნა პოდპოლკოვნიკი ჰამიდ ბეი, რომლის ერთერთი მთავარი საზრუნავი იყო როგორც ჯარების, ისე მოსახლეობის სიწყნარის, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა.

მალე ბათუმს ეწვია ახალგაზრდა თურქთა ერთ-ერთი ლიდერი ენვერ ფაშა, რომელმაც განაცხადა, რომ ბათუმი და მისი სანჯაყი ბრუნდება დედა თურქეთის წიაღში, რასაც მძაფრი რეაქცია მოჰყვა მ. აბაშიძისა და სხვა პატრიოტულად განწყობილ ადგილობრივთა მხრიდან. ახალი თურქული ადმინისტრაცია ცდილობდა ეპოვა დასაყრდენი მუსლიმთა შორის, რასაც აქტიურად უპირისპირდებოდა პროქართული პროპაგანდა [Маилян, 2015:129-161]. ბათუმის ახალმა გუბერნატორმა კონსტანტინეპოლში გასაგზავნად შეადგინა ადგილობრივთა „დელეგაცია“, რომელსაც მეჰმედ VI ვაჰიდედინისთვის სულთნის ტახტზე ასვლა უნდა მიელოცა და მფარველობა ეთხოვა. იქედან დაბრუნებულები, უხვად დასაჩუქრებულები, აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ავტონომიის სასარგებლოდ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში [აბაშიძე, 1960:132; ოქროპირიძე, 2011:133-134]. სწორედ ასეთ პროპაგანდას უპირისპირდებოდა თბილისში დაარსებული სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც დაუსწრებლად აირჩიეს ტრაპიზონის ციხეში მყოფი მემედ აბაშიძე.

ამასობაში, თურქეთის ხელისუფლებას მადა გაუძლიერდა და ბათუმზე შეჩერებას სულაც არ ფიქრობდნენ. 15 აპრილს თურქული მხარე დათანხმდა მოლაპარაკებების

გაგრძელებას, ახლა უკვე ოკუპირებულ ბათუმში. უნდა აღინიშნოს, რომ ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციები მიმდინარეობდა თურქეთის სამხედრო ექსპანსიის ფონზე, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ამიერკავკასიის მდგომარეობას. ამიერკავკასიის დელეგაცია ცდილობდა ცალკეული დათმობებით ოსმალთა აგრესიის შეჩერებას. ამიერკავკასიის დელეგაცია ითხოვდა მოლაპარაკებების საფუძვლად ბრესტის ზავი ყოფილიყო (ის ზავი, რომელსაც თავის დროზე ბოიკოტი გამოუცხადეს), თუმცა თურქულ მხარეს საკითხის ასეთი დაყენება არ აწყობდა.

კონფერენციაზე თურქულმა მხარემ წამოაყენა ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც ჰქონდა ანექსიონისტური ხასიათი [სცსსა, ფ. 1836, ან. 2, ს. 73, ფურც. 4-5]. პროექტით, საქართველო კარგავდა ყველა იმ ტერიტორიას, რომელიც დაიბრუნა მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად. ეს იყო ტერიტორია არდაგანისა და ბათუმის ოკრუგების, ასევე ახალციხე და ახალქალაქი, რაც არღვევდა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას [ზოსიძე, 1995:43-45], თურქული მხარე პროექტს საბოლოო ვარიანტად მიიჩნევდა. 25 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციამ მიიღო ულტიმატუმი, რომლის მიხედვით მათ 72 საათის განმავლობაში უნდა შეესრულებინა თურქული მხარის ყველა მოთხოვნა, რომელთა შორის მთავარი იყო საზღვრების შეცვლა თურქეთის სასარგებლოდ [Документы и материалы, 1919:309-310; ბერიძე, 2017:79-82].

26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და უკვე 28 მაისს გააფორმა ხელშეკრულება გერმანიასთან, რომელიც ცნობდა საქართველოს დე-ფაქტოდ. გაჩნდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გადარჩენის იმედი. გერმანიის დიპლომატიურმა დემარშმა შეაჩერა ოსმალეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. ამავდროულად ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს განსაზღვრავდა ბრესტის ზავის პირობები, რომელსაც ცნობდა ორივე მხარე [ქართული დიპლომატიის ისტორია, 2004:473-474]. ზუსტად ამის შემდეგ 4 ივნისს ბათუმში ხელი მოეწერა სამეგობრო ხელშეკრულებას საქართველოსა და თურქეთს შორის, რომლითაც თურქეთმა მიიღო ტერიტორიები მდინარე ჩოლოქიდან ახასთუმნამდე ახალქალაქისა და ახალციხის ოკრუგების ჩათვლით [Документы и материалы, 1919:343-349], ანუ ე.წ. „გურჯისტანის დიდი ვილაეთი“. მიმდინარე ომის დროს ოსმალეთს უფლება ეძლეოდა გამოეყენებინა

საქართველოს რკინიგზები გარკვეული შეღავათებით. ამასთანავე საქართველოს საზღვაო პორტებში არსებული გემები გადაეცემოდა ოსმალეთს.

აღნიშნული ხელშეკრულება საქართველოსთვის წარმოადგენდა სერიოზულ მარცხს, ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური თვალსაზრისით. ჩვენ ვკარგავდით სამხრეთ საქართველოს, მთელ სამცხე საათაბაგოს. 4 ივნისის ხელშეკრულება ფაქტობრივად ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების იგნორირებას ნიშნავდა. ამ ხელშეკრულებით საქართველოს ტერიტორიულმა დანაკარგმა შეადგინა 9500 კვ. კილომეტრი 350 000 მოსახლეობით. დაიკარგა ბათუმის ღრმაყურიანი ნავსადგური, ოლქში არსებული მურღულის და ართვინის მდიდარი სპილენძის საბადოები. ცხადია, საქართველო ვერ შეეგუებოდა ამ მტაცებლურ ზავს და ბუნებრივია ქართველ ხალხს იგი არც მიუღია. დემოკრატიული საქართველოს მთავრობა დიპლომატიური გზებით ცდილობდა ზავის მძიმე პირობების ნაწილობრივ შეცვლას. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი ქართული მისიის მიერ წარდგენილ ნოტაში აისახა ქვეყნის ფაქტობრივი მდგომარეობა. მასში კერძოდ ნათქვამი იყო, რომ ბათუმის ზავზე ხელისმოწერა მოხდა ოსმალური ხიშტების ძალდატანებით და მოთხოვნილი იყო ამ ხელშეკრულების გადასინჯვა ცენტრალურ სახელმწიფოთა (ე.ი. გერმანიისა და მისი მოკავშირეების) განსაკუთრებულ კონფერენციაზე [ნოზაძე, 1989:37]. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ 4 ივნისის ხელშეკრულება ერთი თვის მანძილზე უნდა ყოფილიყო რატიფიცირებული, რაც არ მომხდარა. ასე რომ, ფორმალურად იგი ძალაში არც შესულა [სანაძე, ბერაძე, 2005].

ბათუმის ხელშეკრულების ხელმოწერით ოსმალეთმა ფაქტობრივად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და იქვე გამოთქვა მზადყოფნა მოკლე ხანში დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა. პარალელურად კი სტამბოლის პოლიტიკურ წრეებში განიხილებოდა ამიერკავკასიის და მათ შორის საქართველოს სხვა ტერიტორიების ოკუპაციისა და მთლიანად შეერთების საკითხიც კი.

სწორედ ამას ემსახურებოდა ის პლემბისციტი თუ რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდა 1918 წლის ივლისში ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებში, საოკუპაციო სამხედრო რეჟიმის პირობებში. იგი ჩატარდა საერთაშორისო ნორმების და წესების უხეში დარღვევით. შედეგი იყო თითქოს ის, რომ ამ სამი ოლქიდან თურქეთის საწი-

ნააღმდეგოდ ხმა მისცა მხოლოდ 441 პირმა, მომხრე კი 97%-ზე მეტი იყო [Sürmeli, 2001:229]. ამის გამო საქართველოს მთავრობამ 1 აგვისტოს პროტესტის ნოტა გაუგზავნა ოსმალეთის მთავრობას. მასში დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი ყველა ის დარღვევა, რომელიც იყო დაშვებული რეფერენდუმის ჩატარების დროს.

იმავე წლის 12 აგვისტოს, თავის საპასუხო ნოტაში ოსმალეთის მთავრობა უარყოფდა რეფერენდუმის ჩატარების დროს დაშვებულ დარღვევებს, თუმცა იქვე აღსანიშნავია, რომ ეს ტერიტორიები ოსმალეთის ხელში გადავიდა „დაპყრობის სრული უფლების“ საფუძველზე. ანუ ოსმალეთის მთავრობა უკვე აღარც მალავდა, რომ მან ეს ტერიტორიები ჩაიგდო ხელში არა ნებაყოფლობით, არამედ იარაღით „დაპყრობის უფლებით“.

ოსმალეთის საოკუპაციო ხელისუფლებისადმი საპროტესტო წერილი გაიგზავნა აჭარიდან, რომელსაც ხელს აწერდა 4 ათასი კაცი. აგვისტოშივე სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა თავისი წარმომადგენლები მიავლინა ბერლინს, საიდანაც ევროპის საზოგადოებას გააცნეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის პოზიცია ბათუმის ოლქში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გაყალბებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვით ადრე დაარსებულმა ამ კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია აღნიშნული რეფერენდუმის ჩასაშლელად, თუმცა, სამწუხაროდ, შედეგის მიღწევა ნაწილობრივ მხოლოდ ქობულეთში გახდა შესაძლებელი [მესხია, 2001:116].

1918 წლის 20 სექტემბერს უკვე საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ნოტა გაუგზავნა ოსმალეთის მთავრობას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქებში ჩატარებული რეფერენდუმი არ გამოხატავს ამ ოლქების მოსახლეობის ნება-სურვილს, რადგან იგი ჩატარდა საოკუპაციო რეჟიმის პირობებში და ადგილი აქვს პლებისციტის აშკარა ფალსიფიკაციას. ეს იყო, სხვათა შორის, საპროტესტო ნოტა მიმართული თურქების მიერ ბაქოს ალებისადმი 1918 წლის 15 სექტემბერს. მაშინ რუსეთის მთავრობამ გააუქმა ბრესტის ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებს შეეხებოდა. მოგვიანებით, 1918 წლის 13 ნოემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ მთლიანად მოახდინა ბრესტის საზავო ხელშეკრულების დენონსირება [სანაძე, ბერაძე, 2005].

აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის მოკავშირე გერმანიამაც არაკანონიერად ცნო ჩატარებული რეფერენდუმი. გერმანიამ დაავალა თავის ელჩს სტამბოლში ეცნობა ოსმალეთის მთავრობისთვის, რომ: ოსმალეთის მთავრობის მიერ ჩატარებული პლემბისციტი არ შეესაბამება ბრესტის ხელშეკრულების მე-4 მუხლს, ვინაიდან იგი ჩატარდა მეზობელ სახელმწიფოსთან შეთანხმების გარეშე და არ ეყრდნობა კანონიერ საფუძველს.

1918 წლის 15 აგვისტოს გამოიცა სულთან მეჰმედ ვაჰიდედინის რესკრიპტი, რომლის საფუძველზედაც ცხადდებოდა სამი სანჯაყის (არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქების) ოსმალეთის სახელმწიფოსთან შეერთება [Sürmeli, 2001:238-239]. სულთანის ამ დადგენილებით ოსმალეთმა მოახდინა სამი ოლქის სრული ანექსია, რაც ეწინააღმდეგებოდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პირობებს.

ეს იყო ერთ-ერთი ბოლო წარმატება ოსმალეთისა იმ პერიოდში ამ მიმართულებით. მალე სიტუაცია შეიცვალა და ამის წინაპირობა მსოფლიო ომის შედეგებმა შექმნა.

ჯერ კიდევ ომში ოსმალეთის ჩაბმისთანავე ანტანტის სახელმწიფოებმა დაიწყეს მოლაპარაკება მისი ტერიტორიების გადანაწილების შესახებ. 1915 წელს რუსეთს, საფრანგეთსა და ინგლისს შორის გაიმართა მოლაპარაკება ქალაქ კონსტანტინოპოლისა და სრუტეების დანაწილების შესახებ, 1916 წელს კი ოსმალეთის აზიური ნაწილის შესახებ. უკვე ნათლად ჩანდა, თუ რა მძიმე ვითარება იქმნებოდა ოსმალეთში.

1917 წლის 4 აპრილს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ომი გამოუცხადა გერმანიას, 13 აპრილს კი ყოველგვარი დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა ოსმალეთის იმპერიასთან. ამ ვითარებამ უკვე ნათელი გახადა, რომ გამარჯვების სასწორი აშკარად მოკავშირეთა მხარეს გადაიხარა და გერმანიის და მისი მომხრეების გარდაუვალი დამარცხება მხოლოდ დროის საკითხი იყო.

1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ყურეში ინგლისის სამხედრო გემ აგამემნონზე ოსმალეთის დელეგაციამ ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს და დანებდა ანტანტის სახელმწიფოებს. ზავის პირობები ძალზე მძიმე აღმოჩნდა ოსმალეთისათვის: მე-5 მუხლის თანახმად ოსმალეთი ვალდებული იყო მოეხდინა არმიის დემობილიზაცია; მე-7 მუხლით ანტანტის სახელმწიფოებს საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ მოეხდინათ ოსმალეთის ტერიტორიის ნებისმიერი ნაწილის ოკუპაცია; მე-



8-9 მუხლები ითვალისწინებდა ანტანტის სახელმწიფოებისათვის საომარი მასალისა და გერმანიის მიერ გადაცემული საბრძოლო გემების ჩაბარებას და სხვა.

ოსმალეთის პოზიციები მნიშვნელოვნად შეირყა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც. იმავე ხელშეკრულებით ოსმალეთმა ამიერკავკასიიდან საკუთარი ჯარების სრულად გაყვანა ივალდებულა და ეს რეგიონი ბრიტანეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა. ოქტომბრის ბოლოს თბილისს ოფიციალურად ეცნობა ბათუმიდან თურქული ჯარის გაყვანის შესახებ. 1918 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში საქართველოს ჯარებმა დაიკავეს მესხეთი და მის გენერალ გუბერნატორად დაინიშნა გენერალი აბო მაცაშვილი [სვანიძე, 2007:368].

13 ნოემბერს ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რეგიონში ჯარების გაგზავნის შესახებ. უკვე 1 დეკემბერს ინგლისური კრეისერი „ლივერპული“, ორ ნაღმოსანთან ერთად, სადაზვერვო მისიით, შევიდა ბათუმის პორტში. ამ დროისათვის ბათუმში ჯერ კიდევ არსებობდა თურქული ადმინისტრაცია [ბარამიძე, 2018]. საინტერესოა, რომ მაშინდელი ბათუმის სამოქალაქო გუბერნატორი ჯემილ ბეი საკუთარი ინიციატივით თუ ზემოდან მიღებული ინსტრუქციით ავითარებდა შემდეგ კონცეფციას: საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, რომელიც მოკავშირეებიდან არავის მიერ არ არის აღიარებული, ბათუმს არ მისცემენ, ბოლშევიკებმა თვითონ თქვეს მასზე უარი, მოხალისეთა არმია შორს არის, ინგლისელებს არ ექნებათ სურვილი დაკავდნენ მართვის საკითხებით; ესე იგი, ბათუმი შეიძლება დარჩეს თურქების ხელში ინგლისელთა კონტროლქვეშ, განსაკუთრებით, თუ ადგილობრივი მოსახლეობა გამოხატავს ამის სურვილს. ასე შეიძლება გაგრძელდეს მშვიდობის საბოლოო დადგენამდე, შემდეგ კი გამოჩნდება [აცსა, ფ. 67, ან. 1, ს.14]. როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, ოსმალთა ამ სურვილს განხორციელება არ ეწერა. 22 დეკემბერს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა 5 ბრიტანული კრეისერი 15-20 ათასიანი სამხედრო კონტიგენტით. ბათუმის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა წარმომოხებით ირლანდიელი გენერალ-მაიორი კუკ-კოლისი [ცუხიშვილი, 1996:17]. ოსმალურმა რეჟიმმა შეწყვიტა არსებობა.

1918 წლის 25 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა და მთავრობამ მიმართა სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობას: „მოსყიდული პირები

თქვენ ჩაგაგონებენ, თითქოს და საქრისტიანო საქართველო თქვენს რჯულს ემუქრებოდეს. არ დაუჯეროთ ცილისმწამებელთ, დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში ყველა სარწმუნოება თანასწორია, ყველას უფლება აქვს თავისი რჯულისამებრილობის და თავისი სარწმუნოება დაიცვას. თქვენი ორგულნი იტყვიან საქრისტიანო საქართველო მუსულმანთა ადათებს უარყოფს და მათ ბრძოლას გამოუცხადებსო. ზურგი აქციეთ თქვენ ორგულთ და მტრებს.

თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ენიჭება ავტონომია!

თვით მუსულმანი ქართველების წარმომადგენელნი გამოსცემენ კანონებს, რომლითაც ისინი სამუსულმანო საქართველოში თავის გემოზე და თავის სინდისისამებრ მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავისი სარწმუნოების უფლებებს, მოაწყობენ ადგილობრივ საქმეებს“ [სვანიძე, 2007:368].

ომში დამარცხებული ოსმალეთი ახლა უკვე არაპირდაპირ შეეცადა გარკვეული დივიდენდების მიღებას საქართველოს ხარჯზე და შეეცადა სიტუაციის არევას მის სამხრეთ ნაწილში: მესხეთში მცხოვრებმა გამაჰმადიანებული ქართველების ერთმა ნაწილმა - ბეგებმა, ხოჯებმა, მოლებმა და სხვა, რომელთაც სათავეში ჩაუდგა სერვერ ბეგ ათაბაგი, სამცხე-საათაბაგოს უკანასკნელი შთამომავალი, არ მოისურვეს საქართველოს შემადგენლობამ დარჩენა და დაიწყეს ბრძოლა საქართველოსგან გამოყოფისთვის. მათი მომხრეები დადიოდნენ ქვეყნების სხვადასხვა ადგილებში ამხედრებდნენ მოსახლეობას, აწყობდნენ შეთქმულებებსა და თავდასხმებს, ამზადებდნენ ნიადაგს საქართველოდან გამოყოფისათვის. ვფიქრობთ, ეს პროცესები იმართებოდა უშუალოდ ოსმალეთიდან. თუმცა, ისტორიოგრაფიაში არსებობს სხვა მოსაზრებებიც. ახალგაზრდა მკვლევარი გ. კუკულაძე ფიქრობს, რომ ამ მოძრაობის ერთ-ერთი წამქეზებელი და მათი ანტიქართული საქმიანობის ორგანიზატორი იყო ინგლისი, თავისი შორსმომავალი გეგმებით [კუკულაძე, 2016:120].



ოსმალო აგენტების წაქეზებით, ახალციხისა და ახალქალაქის ქართველი მუსლიმების 40-კაციანმა ჯგუფმა ოსმალო ემისრების კარნახით შეადგინა პეტიცია და მოითხოვა, რომ მესხეთი ავტონომიის უფლებით შესულიყო ოსმალეთის შემადგენლობაში. სეპარატისტები უფრო შორს წავიდნენ. 1919 წლის 18 ივნისს ყოფილი ყარსის არტაანისა და ბათუმის სანჯაყების ტერიტორიაზე დააარსეს ე.წ. "სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (ყარსის) მთავრობა". ამ "სახელმწიფოს" შემადგენლობაში უნდა შესულიყო ყარსის, არტაანის, ბათუმის ოლქები და ახალციხის, ახალქალაქის, ეკმიადინისა და სურმალინის მაზრები.

შექმნისთანავე ყარსის მთავრობამ დახმარებისთვის მიმართა სტამბოლს და ამ მიზნით იქ დელეგაცია გაგზავნა. სერვერ ბეგ ათაბაგმა პარიზის კონფერენციას გაუგზავნა მემორანდუმი ყარსის მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით.

სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა არ გამოხატავდა ამ რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობის სურვილს და ეწინააღმდეგებოდა მუდროსის ზავის პირობებს. 1919 წლის 13 აპრილს ინგლისელებმა დააპატიმრეს ყარსის მთავრობის წევრები. სტამბოლში გაგზავნეს და 28 მაისს იქიდან კუნძულ მალტაზე გადაასახლეს.

ქართველი მაჰმადიანების უმრავლესობა მომხრე იყო დარჩენილიყო დედა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით. მათი ლიდერი იყო მემედ აბაშიძე. 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში მემედ აბაშიძის თავჯდომარეობით გამართულ ქართველ მაჰმადიანთა ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება: „გამოვთქვამთ შეურყეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას, ამიერიდან სამარადისოდ ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდება თავის ბუნებრივ სამშობლო საქართველოს ფართო ავტონომიის ფარგლებში“ [სვანიძე, 2007:370].

სამწუხაროდ, იმ პერიოდში ქართულ-თურქული ურთიერთობები ვერ განვითარდა კეთილმეზობლურ ჩარჩოებში, რაც არანაირად უწყობდა ხელს რეგიონში სტაბილური ვითარების შენარჩუნებას. თუმცა, მალე სულთნის ხელისუფლებას დიდი ოპოზიცია გაუჩნდა ქვეყნის შიგნით, რამაც ქვეყანა ჯერ ორხელისუფლებიანობამდე, შემდეგ კი რესპუბლიკური წყობილების გამოცხადებამდე მიიყვანა.

აქვე, მოკლედ შევხებით ახალი თურქული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და მუსტაფა ქემალ ათათურქის როლს მის მშენებლობაში. როგორც ითქვა, მუდროსის ზავის პირობები ძალზე მძიმე იყო ოსმალეთისათვის და მოსახლეობა, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა მას. ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში დაიწყო მოძრაობა ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

1919 წლისათვის ნათელი გახდა რომ მშვიდობიანი პოლიტიკით თურქეთი ვერაფერს გააწყობდა და ამ გზით გაგრძელების შემთხვევაში უფსკრულში აღმოჩნდებოდა. 1919 წლიდან თურქებმა რადიკალურად შეცვალეს პოლიტიკა და გადავიდნენ შეიარაღებულ ამბოხებებსა და მკაცრი ხასიათის დემონსტრაციებზე. ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა მუსტაფა ქემალ ათათურქი (1881-1938), რომელიც ჯარში თავიდანვე დიდი სიმამაცით და წარმატებებით გამოირჩეოდა, რამაც ხელი შეუწყო მისი კარიერის სწრაფ ზრდას. მუდროსის ზავმა მას არმიის სარდლის თანამდებობაზე მოუსწრო. 1918 წლის 10 ნოემბერს იგი დაბრუნდა სტამბოლში და მიზნად დაისახა ერთიანი ანტიიმპერიალისტური ორგანიზაციის შექმნა ანატოლიის ტერიტორიაზე, სადაც ოკუპანტებს ჯერ კიდევ სუსტად მიუწვდებოდათ ხელი.

მუსტაფა ქემალი ნელ-ნელა შეუდგა ანატოლიის ტერიტორიაზე ფეხის მოკიდებას. 1919 წლის მაისში იგი ანატოლიაში მე-9 არმიის ინსპექტორად დაინიშნა და

1919 წლის 19 მაისს სამსუნში ჩავიდა. სწორედ ეს თარიღი ითვლება ისტორიაში თურქეთის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყების თარიღად [ჯაფარიძე, 1996; მაკარაძე, 2009].

მუსტაფა ქემალის მოქმედებები საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა. მისი ინიციატივით 1919 წლის 4-12 სექტემბერს სივასში ჩატარდა სრულიად თურქეთის კონგრესი, რომელზეც შეიმუშავეს ბრძოლის ძირითადი პრინციპები და მიიღეს უფრო ფართო სამოქმედო პროგრამა. ქვეყანა 1918 წლის მუდროსის ზავის მიხედვით განსაზღვრულ ტერიტორიებში უნდა დარჩენილიყო.

1919 წელს სტამბოლში ჩატარდა არჩევნები, სადაც ქემალისტებმა ტრიუმფით გაიმარჯვეს. 175 კაციდან 116 კაცი მუსტაფა ქემალის მომხრე იყო. მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლები ძალზედ უარყოფითად შეხვდნენ ამ ფაქტს. დაიწყეს მოქმედებისათვის მზადება, რომ რამენაირად ჩაემალათ ახალი პარლამენტი.

თებერვალ-მარტის თვეში ანატოლიაში გადასროლილ იქნა საბერძნეთის რეგულარული არმია, ხოლო სტამბოლში 1920 წლის 16 მარტს ინგლისის ჯარები. რომლებმაც დაიკავეს სამთავრობო შენობები და დაიწყეს ფართომასშტაბიანი რეპრესიები ქემალისტების წინააღმდეგ. ამის გამო წარმომადგენლობითმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ახალი მეჯლისის მოწვევის შესახებ. 1920 წლის 30 აპრილს ანკარაში გაიხსნა თურქეთის დიდი ეროვნული კრება. პირველი მოწვევის მეჯლისი შედგებოდა 338 დეპუტატისაგან. აქედან 105 დეპუტატი სტამბოლიდან ჩავიდა. მეჯლისის დეპუტაციამ აირჩია პრეზიდენტი, რომლის პირველი თავჯდომარე გახდა მუსტაფა ქემალი. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. კრებამ თავისი თავი გამოაცხადა ერთადერთ კანონიერ ხელისუფლად.

1920 წლის 7 ივლისს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გააუქმა ყველა ხელშეკრულება, კონვენცია და ყველა სხვა სახის აქტი, რაც სულთნის მთავრობამ უცხოეთის სახელმწიფოებთან დადო. სულთნის მთავრობა კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული, ხოლო თვით სულთანი ურჯულოთა ტყვედ. ამ ეტაპს თურქეთის ისტორიაში ორხელისუფლებიანობა ეწოდება. სტამბოლში სულთნის მთავრობა ბატონობდა, რომელიც ოკუპანტთა მონა-მორჩილი იყო, ანკარაში კი, ქემალისტები ბატონობდნენ.

ანტანტის სახელმწიფოებმა შექმნილი სიტუაცია კარგად გამოიყენეს. კერძოდ, 1920 წელს სულთნის ხელისუფლებას თავს მოახვიეს კაბალური ზავი. 1920 წლის 10 აგვისტოს სევრში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას, რომელიც წარმოადგენდა ვერსალის ხელშეკრულების გაგრძელებას. ხელშეკრულებით საბერძნეთმა, იტალიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა მიღეს ოსმალეთის ტერიტორიების ნაწილი. სრუტეები გადადიოდა საერთაშორისო კომისიის ხელში, რომლის წევრებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობდნენ.

საინტერესოა, რომ ამ პერიოდში ქემალისტებს მხარდაჭერა გამოუცხადა ბოლშევიკურმა რუსეთმა, რომელმაც უარყო და გააუქმა მეფის რუსეთის მიერ შემუშავებულს საიდუმლო გეგმა სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის დანაწილების შესახებ. ამ ფაქტს ანკარის მთავრობა დიდი სიხარულით შეხვდა. ისინი ცდილობდნენ დიპლომატიური კავშირების დამყარებას საბჭოთა რუსეთთან.

1920 წლის 26 აპრილს მუსტაფა ქემალმა უკვე ოფიციალური წერილი გაუგზავნა საბჭოთა კავშირს და შესთავაზა ერთობლივი ბრძოლა ანტანტის წევრ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. 1920 წლის 24 ივლისს რუსეთში ანკარიდან დელეგაციაც კი იქნა წარგზავნილი, რომელიც რუსეთში დიდი პატივით მიიღეს.

საინტერესოა, რომ იმ პერიოდში ვლადიმერ ლენინისა და მუსტაფა ქემალის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა: ორივე ევროპულ ინტერვენციას ებრძოდა, ანტანტა მოსკოვსა და ანგორას მტრად მიაჩნდათ. ბუნებრივია, საერთო პრობლემებმა საგარეო-პოლიტიკურ ინტერესთა დამთხვევა გამოიწვია - მოსკოვმა ქემალისტებს საბრძოლო იარაღი და ფინანსები მიაშველა. ბოლშევიკებს უფრო შორს მიმავალი მიზნები ჰქონდათ - საბჭოთა რუსეთი ქემალისტურ მთავრობას ახლო აღმოსავლეთში ბოლშევიკური იდეების გატარების (მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის) საშუალებად განიხილავდა.

თურქეთის მთავრობამ საქართველოსთანაც დაამყარა კავშირი, მაგრამ ეს სულ სხვა მიზეზებით იყო განპირობებული. კერძოდ, სომხეთთან ომის გამო თურქეთის ჯარები ძალზე მოუახლოვდნენ საქართველოს საზღვრებს. საქართველოში მოხილვადი იქნა არმია თავდაცვის მიზნით, მაგრამ თურქეთის მხრიდან საქართველოს ეწვია ანკარის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი ქაზიმ ბეი, რომელმაც

განაცხადა, რომ ანკარის ხელისუფლებას არ სურს ურთიერთობის გამწვავება საქართველოსთან. ამის შემდეგ გაიმართა მოლაპარაკებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

1921 წლის დასაწყისიდან იწყება თურქეთის პირველი წარმატებები. მათ დასავლეთის ფრონტზე მოახერხეს შეეჩერებინათ მტრები. მალე ინგლისელთა წაქეზებით საბერძნეთის არმიამ ანკარაზე შეტევა გადაწყვიტა. ასეთ მძიმე ვითარებაში, ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალ ათათურქს განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა.

1921 წლის 23 აგვისტოს მდინარე საქარიას მარცხენა სანაპიროზე გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა საბერძნეთისა და თურქეთის ჯარებს შორის. ბრძოლა 22 დღე გაგრძელდა და საბოლოოდ თურქების გამარჯვებით დასრულდა. საქარიასთან ბრძოლის შემდეგ ერთიანი ანტიოსმალური ფრონტი საბოლოოდ დაიშალა. 1922 წლის 26 იანვრიდან თურქეთის არმია დიდი წარმატებებით იწყებს წინსვლას. 18 სექტემბრისათვის უკვე მთელი თურქეთი გათავისუფლდა საბერძნეთის ჯარებისაგან.

ეროვნულ განმანთავისუფლებელი ბრძოლისათვის დასკვნითი ეტაპი იყო ლოზანის კონფერენცია, რომელიც მოიწვიეს 1922 წლის 20 ნოემბერს და გაგრძელდა რამდენიმე თვე. საბოლოოდ ორივე მხარე წავიდა გარკვეულ დათმობებზე. თავის მხრივ თურქეთმა უარი თქვა თავის უფლებებზე ერაყში, სირიაში, ლიბანში, პალესტინაში, იორდანიაში, ეგვიპტეში, ლიბიასა და სუდანში. ევროპამ აღიარა თურქეთის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი.

1922 წლის 22 ოქტომბერს ეროვნული კრების დღის წესრიგში დადგა საკითხი სულთნის გადაყენებისა. მუსტაფა ქემალმა თავისი ორატორული ნიჭის დახმარებით მოახერხა დაერწმუნებინა ხალხი იმაში, რომ სულთანი მოღალატეა და მას ქვეყნის წინაშე დიდი დანაშაული მიუძღვის. 1922 წლის I ნოემბერს ქემალმა მიაღწია მიზანს და სულთანი საბოლოოდ ჩამოაშორა ქვეყნის მართვას. მათ მხოლოდ სასულიერო ხელისუფლება - ხალიფობა დაუტოვა. 18 ნოემბერს უფლისწული აბდულ მეჯიდი არჩეული იქნა ყველა მუსლიმთა ხალიფად.

ყოველივე ამის შემდეგ გადასაწყვეტი რჩებოდა მხოლოდ ერთი საკითხი, როგორი ტიპის უნდა ყოფილიყო თურქეთის შემდგომი სახელმწიფო წყობილება.

1923 წლის 23 ივლისს ჩატარდა მეორე მოწვევის პარლამენტის არჩევნები, სადაც ქემალისტებმა ტრიუმფით გაიმარჯვეს. 286 კაციდან 263 დეპუტატი ქემალის პარტიის წევრი იყო. პარლამენტის თავჯდომარედ არჩეული იქნა მუსტაფა ქემალი. ის ამ თანამდებობაზე სიცოცხლის ბოლომდე იმყოფებოდა (1938). 1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთი გამოცხადდა რესპუბლიკად, ქემალი არჩეული იქნა მის პირველ პრეზიდენტად. ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ, ქემალმა ხალიფასაც შეუტია. 1924 წლის 15 თებერვალს გადაწყდა სახალიფოს გაუქმება. უკანასკნელმა ხალიფამ აბდულ მეჯიდმა და სამეფო დინასტიის სხვა წევრებმა ქვეყანა დატოვეს, ხოლო მათ ქონებას კონფისკაცია გაუკეთდა.

ამ, მცირე ისტორიული ექსკურსის შემდეგ დავბრუნდეთ ცოტათი უკან. აღსანიშნავია, რომ საქართველოსთან ურთიერთობის საკითხში სულთნის ხელისუფლების ხაზის გამგრძელებელი აღმოჩნდა ქემალისტური თურქეთიც. მართალია, 1918 წლის ბოლოდან 1921 წლის მანძილზე თურქეთს უმწვავესი კრიზისის, შიდა დაპირისპირებისა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან სამამულო ომის ხანა ედგა, ის მაინც ახერხებდა პრეტენზიების გამოთქმას საქართველოს ისტორიულ პროვინციებზე. უფრო მეტიც, მუსტაფა ქემალის ძალისხმევით 1920 წლის 28 იანვარს მიღებული თურქული ეროვნული პაქტის (ე.წ. “ეროვნული აღთქმის”) მე-2 მუხლის მიხედვით, ახალი თურქეთი ძველი ბათუმის და ყარსის ოლქებს თავის საზღვრებში მოიაზრებდა: “რაც შეეხება სამი სანჯაყის, ყარსის, არტანის და ბათუმის ბედს, რომლის მოსახლეობამ თავის განთავისუფლების დღიდან საზეიმო კენჭისყრით დაამტკიცა თავისი ნებისყოფა დაუბრუნდეს სამშობლოს, ამ პაქტის ხელმომწერნი, თუ საჭიროა, დაუშვებენ, რომ ხელმეორედ მოხდეს პლემბისციტი, თავისუფლად გამოთქმული [სანაძე, ბერაძე, 2005]. სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის პროტესტი, რომელიც გამოითქვა თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისისა და პირადად მუსტაფა ქემალის მხრიდან იმავე წლის ივლისში, როცა ინგლისური ოკუპაციის დასრულების შემდეგ აღდგა ისტორიული სამართლიანობა და ბათუმი შემოგარენითურთ დაუბრუნდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მმართველობას [Sürmeli, 2001:602; Çini Şimşek, 2018:322].



ბათუმიდან ინგლისის ჯარების გაყვანისთანავე ანკარის მთავრობამ 1920 წლის 25 ივლისს საქართველოს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა და შეახსენა, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი (ბათუმის სანჯაყი) თურქეთს დაუბრუნდა ბრესტ-ლიტოვსკისა და ბათუმის ხელშეკრულებით [Esin Dayi, 1995:199-200]. ამან ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია.

1920 წლის 24 სექტემბერს თურქეთმა სომხეთთან დაიწყო ომი, რომელიც მისივე უპირატესობით წარიმართა. 30 ოქტომბერს თურქეთის ჯარებმა ყარსი დაიკავეს, 7 ნოემბერს - ალექსანდრეპოლი. მოსალოდნელი იყო თურქეთის ჯარის საქართველოში შემოჭრაც.

12 ნოემბერს საქართველოში მობილიზაცია გამოცხადდა. თუმცა, ქემალისტურ ხელისუფლებას მაშინ საქართველოსთან ურთიერთობის შემდგომი ესკალაცია არ უცდია. ის დაინტერესებული იყო შავიზღვისპირა მეზობელთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებით, რითაც ფიქრობდა, რომ შეძლებდა მის განეიტრალებას თურქებსა და სომხებს შორის მიმდინარე დაპირისპირებაში. მეორე მხრივ, ათათურქი საქართველოს განიხილავდა როგორც ბუფერულ ზონას რუსეთის ანატოლიაში შეჭრის პრევენციისათვის [Sürmeli, 2001:602; Çini Şimşek, 2018:322].

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება. რუსეთმა არა მარტო ცნო ტერიტორიები, რომლებსაც საქართველო ფლობდა ხელშეკრულების დადების მომენტში: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის ოლქი ყველა მაზრითა და ოკრუგით, ზაქათალა და აფხაზეთი, არამედ მან განაცხადა, რომ „რუსეთი მზად იქნება ცნოს საქართველოს შემადგენელ ნაწილად ყოფილ კავკასიის სანამესტნიკოს ესა თუ ის ნაწილი, რომელიც გადავა მის ხელში [სურგულაძე, 1991:336-35]. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, რუსეთს საკუთარი ინტერესები ჰქონდა. მან კარგად იცოდა თურქეთის ზრახვები საქართველოსთან მიმართებაში, რომ თურქეთი პრეტენზიას აცხადებდა ბათუმსა და ბათუმის ოლქზე. ეს კი მას არ აწყობდა, რადგან თვითონ აპირებდა საქართველოს დაპყრობას და თურქეთის მიერ ამ ტერიტორიების დასაკუთრება მის ინტერესში არ შედიოდა, ამიტომაც ეს მუხლი ხელშეკრულებაში სპეციალურად თურქეთისთვის შეიტანა.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ 1920 წლის 19 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ანკარის დიდი ეროვნულ კრებას გაუგზავნა ნოტა, რომელითაც ის აცნობებდა რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში დადებული ხელშეკრულების შესახებ. მასში ნათქვამია: „ჩვენ გავეცით მითითება, რათა დაუყოვნებლივ თქვენ გადმოგცეთ ხელშეკრულების სრული ტექსტი. მას აგრეთვე მიიღებენ თქვენი წარმომადგენლები თბილისში - ქიაზიმ ბეი და ერევანში - ქიაზიმ ყარაბეყარი“ [Документы..., 1959:393].

აღნიშნული ნაბიჯით რუსეთს სურდა ეცნობებინა როგორც ანკარისათვის რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ, ისე თბილისსა და ერევანში მყოფი თურქეთის წარმომადგენლებისათვის, რომ რუსეთი ცნობდა საქართველოს უფლებას ბათუმსა და ბათუმის ოლქზე. აქვე აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულება შემუშავებულიყო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე.

1920 წლის 23 ოქტომბერს ახალი მთავრობის ელჩად თბილისს გამოიგზავნა ქაზიმ ბეი (დირიქი), რომელსაც საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება ევალებოდა, თუმცა საიდუმლოდ საქართველოში რუსეთის ელჩთან ბათუმის თურქეთისადმი კუთვნილების საკითხს არკვევდა. თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობით დაინტერესებული იყო საქართველოც. 1920 წლის ნოემბერში საქართველოს ელჩი რუსეთში გ. მახარაძე შეხვდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბეჟირ სამი ბეის, რომელიც დეკემბერში თბილისს ესტუმრა. მას აქ საინტერესო შეხვედრები მოუწყეს. ამის შემდეგ გადაწყდა ანკარაში საქართველოს საელჩოს გახსნა და პირველ ელჩად სიმონ მდივანი დაინიშნა [ყავრელიშვილი, 2009:97].

აღსანიშნავია, რომ სიმონ მდივანი რუსეთის მხრიდან 1920 წლის დეკემბერში ანკარაში დანიშნული ელჩის - ბოლშევიკი ბუდუ მდივანის ძმა იყო. დიპლომატიის ისტორიაში ეს იყო უნიკალური შემთხვევა, როცა ორი ძმა ერთ ქვეყანაში ორ სხვადასხვა სახელმწიფოს წარმოადგენდა.

1921 წლის თებერვალში მუსტაფა ქემალმა ქართველი ელჩისგან რწმუნებათა სიგელი ჩაიბარა და მას თბილი შეხვედრა მოუწყო, სადაც გამოითქვა მეგობრობის და

მშვიდობიანი თანაცხოვრების გაგრძელების ორმხრივი სურვილები. 8 თებერვალს თურქეთმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დიპლომატიურ ურთიერთობებსაც ჩაეყარა საფუძველი. ეს ნიშნავდა იმას, რომ თურქეთმა საქართველო ცნო თავის იმდროინდელ საზღვრებში.

სამწუხაროდ, ამ ურთიერთობებს დიდხანს გაგრძელება არ ეწერა. სულ რამდენიმე დღეში საბჭოთა რუსეთმა, საერთაშორისო ნორმებისა და საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების უგულებელყოფით, დაიწყო საქართველოს ოკუპაცია, რაც დასრულდა ქვეყნის ფაქტობრივი ანექსიით 1921 წლის თებერვალ-მარტში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ჯერ ფორმალურად დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად იქცა, 1922 წლიდან კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი.

## § 2. საქართველო-თურქეთის ურთიერთობა საბჭოთა პერიოდში

1921 წლის 11-12 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია ქვეყნის ანექსიისა და ძალდატანებითი გასაბჭოების მიზნით. 25 თებერვალს საქართველოს მთავრობამ დატოვა თბილისი. 4 მარტს წითელმა არმიამ დაიკავა სოხუმი, 10 მარტს კი – ქუთაისი. პარალელურად, საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები გააჩაღა თურქეთმაც, რომლის ჯარიც, 11 მარტს, გამოჩნდა ბათუმის გარეუბანში.

რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ აგრესია ჯერ კიდევ 1920 წლის ნოემბერში, სომხეთის გასაბჭოებისთანავე იგეგმებოდა, მაგრამ მაშინ მოსკოვში ასეთი ნაბიჯის გადადგმა ნაადრევად მიიჩნიეს. 1921 წლის 11 თებერვალს კი, ლორეში მოწყობილი ინციდენტის შემდეგ, წითელი არმია საქართველოში შემოიჭრა. ომის დაწყების მეორე დღესვე თურქეთის ელჩმა ქიაზიმ ბეიმ თავისი მთავრობის სახელით სრული მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს [ჯორდანი, 1990:123]. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჯორდანი ფიქრობდა, რომ თურქეთი სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდა საქართველოს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა სანაცვლოდ ანკარის მთავრობამ არტაანისა და ართვინის ოლქების დათმობა, ბათუმის ოლქში კი „ნომინალური“ პლებისციტის ჩატარება მოითხოვა [სვანიძე, 2003:174–175; ყავრელი-შვილი, 2011:41–42]. უკვე 22 თებერვალს თურქეთმა არტაანისა და ართვინის დაცლისკენ მოუწოდა საქართველოს. მეორე დღესვე საქართველომ გამოიყვანა ჯარები ამ რეგიონიდან. ნოე ჯორდანი იმედოვნებდა, რომ ამით საქართველო-თურქეთს შორის გაუგებრობა ამოიწურა, მაგრამ თურქეთი საქართველოს დახმარებას არ აპირებდა. იგი ქიაზიმ ბეის პირით, თბილისის დატოვების შემდეგაც კი, არწმუნებდა საქართველოს მთავრობას, რომ ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული და საჭირო იყო ბოლშევიკების შეჩერება. წითელი არმიის წინსვლის შეჩერების შედეგად კი თურქები საქართველოში უფრო მეტი ტერიტორიის ხელში ჩაგდებას შეძლებდნენ [სვანიძე, 2003:175–176].

საინტერესოა თურქეთის აღმოსავლეთ ფრონტის მთავარსარდალს ქიაზიმ ქარაბეკირ ფაშას პოზიცია აღნიშნულ თემაზე. იგი წერს, თითქოს ანკარაში გადაწყვიტეს

საქართველოსათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენა და უბრძანეს კიდევ ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევის წამოწყება. თუმცა, იგი ფიქრობდა, რომ რუსეთ–საქართველოს ომში თურქეთი ნეიტრალურ პოზიციაზე უნდა დარჩენილიყო, რადგან რუსების დამარცხების შემთხვევაში ისინი ანტანტის რკალში მოექცეოდნენ. მისი აზრით, რადგან თურქეთი ანტანტასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, საქართველოს მთავრობას ის დახმარებას ვერ აღმოუჩენდა. ამიტომაც აუცილებელი იყო ბოლშევიკებთან კავშირის შენარჩუნება [ყავრელიშვილი, 2011:30–31].

წითელი არმიის მიერ თბილისის აღების შემდეგ საქართველოში თურქეთის ელჩმა მიმართა წინადადებით ქიაზიმ ქარაბეჯირ ფაშას დაეკავებინა ბათუმი. ეს უკანასკნელი კი 2 მარტს აცნობებდა გენშტაბს, რომ შესაძლოა ბათუმი თურქეთის დაუკითხავად დაიკავოს რუსეთმა და ამიტომაც, მის შესანარჩუნებლად საჭიროა იქ იმყოფებოდეს სამხედრო ძალა [იქვე, გვ. 30].

1921 წლის 2–3 მარტს გაიმართა თურქეთის გენერალური შტაბისა და მინისტრთა საბჭოს სხდომები, სადაც განიხილეს ბათუმის ოკუპაციის საკითხი. ბათუმზე შეტევისთვის შეიქმნა ე.წ. ჭოროხის დაჯგუფება, რომელიც დაემორჩილა მე-7 ლეგიონს [სვანძიძე, 2003:177]. ასეულის მეთაურად დაინიშნა მაიორი ალი რიზა ბეი, ხოლო ჯგუფის ხელმძღვანელად – ხოფაში მყოფი მაიორი თალათ ბეი [Sürmeli, 2001:659]. პარალელურად თურქეთის მთავრობა დიპლომატიური გზებით შეეცადა რუსეთთან შესაძლო სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილებას და ითხოვა, რომ წითელი არმია არ შესულიყო ახალციხესა და ახალქალაქში, ასევე თურქეთის მოსაზღვრე ოლქებში [სვანძიძე, 2003:177].

საქართველოს მთავრობა თურქეთიდან სამხედრო დახმარების იმედს მაინც არ კარგავდა. 4 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი აცნობებდა თურქეთში საქართველოს ელჩს ს. მდივანს, რომ მიელო ზომები ანგორის დასარწმუნებლად და ჩასარევად. საქართველოს მთავრობა თურქების მიერ ბათუმის ოკუპაციაზე იყო თანახმა იმ პირობით, რომ ოლქზე სამოქალაქო მმართველობა და სუვერენული უფლება საქართველოს მთავრობას ექნებოდა. ნ. ჟორდანიას ხვდებოდა, რომ თურქეთის ჯარის ბათუმში შემოსვლას რუსეთ–თურქეთის ომი მოყვებოდა, ამიტომაც ჰპირდებოდა რომ ქართული ჯარი დაეხმარებოდა ოსმალეთის ჯარს ოკუპაციის

მოხდენაში [სვანიძე, 2003:178–179]. როგორც ჩანს ამ უკანასკნელის ხაზგასმა საჭირო იყო, რადგან თურქები ფიქრობდნენ, რომ ბათუმის აღებისას ქართველები მათ დაუპირისპირდებოდნენ.

1921 წლის 9 მარტს ქიაზიმ ქარაბეჯირმა გენშტაბისგან, შესაძლებლობის ფარგლებში, ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის დაკავების შესახებ ბრძანება მიიღო თურქი სარდლის დასკვნით, ბოლშევიკები არც ისეთი ძლიერები იყვნენ, რაკი გაუჭირდათ ქართული ჯარის დამარცხება. ამიტომაც იგი მათთან სამხედრო კონფრონტაციას არ მოელოდა [ყავრელიშვილი, 2011:33].

ასეთ ვითარებაში დაიწყო მოლაპარაკება ბოლშევიკურ ხელისუფლებასა და მუსტაფა ქემალ ათათურქის მთავრობებს შორის, რაც დასრულდა მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების ხელმოწერით 1921 წლის 16 მარტს (იხ. ქვემოთ).

თუმცა, მანამდე, უკვე 10 მარტს სტალინმა უდეპეშა მე–11 წითელი არმიის მეთაურს ს. ორჯონიკიძეს, რომ მოსკოვში მიღწეული შეთანხმებით, ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი ჩვენ დაგვრჩა და თურქებთან შეტაკებას თავი აარიდებო. ორჯონიკიძემ ეს ინფორმაცია მიაწოდა ქიაზიმ ქარაბეჯირს და მე–18 ცხენოსანთა დივიზიის მეთაურს დ. ჟლობას (რომელიც გოდერძის უღელტეხილით მოიწვედა ბათუმისაკენ) და მას 3 დღეში ბათუმის დაკავება მოსთხოვა [სვანიძე, 2003:183].

რუსეთ–თურქეთის დიპლომატიური ბრძოლების დასრულებისა და მოსკოვში მიღწეული წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, თურქეთმა დაიწყო სამხედრო ოპერაციები ბათუმის დასაკავებლად. ზოგიერთი მკვლევარი უშვებს შესაძლებლობას, რომ ამის შესახებ თურქეთში ინფორმაცია არ ჰქონდათ, რაც როგორც ზემოთაც ვნახეთ, სინამდვილესთან შეუსაბამოა. როგორც ჩანს, ანკარის მთავრობა იმედოვნებდა, რომ თუკი მოსკოვს ფაქტის წინაშე დააყენებდა, ბოლშევიკები ბათუმისთვის არ იბრძოდნენ [თოიძე, 2009:30]. ისინი ამოდიოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მიღწეული შეთანხმებიდან და მოსკოვში ოფიციალურად ხელმოწერამდე ცდილობდნენ გარღვევას ამ მიმართულებით. სწორედ საქართველოს მთავრობასთან დადებული გარიგება მოიყვანა საბუთად თურქული რაზმის მეთაურმა ჟლობას დივიზიასთან შეხვედრისას ქედაში და პროტესტი გამოთქვა წითელი არმიის ბათუმისკენ წინსვლის გამო. რუსეთი კი, თავის მხრივ, აცხადებდა, რომ ბათუმში

მიდიოდნენ ქართველი კონტრევოლუციონერების დასასჯელად და თურქეთის მიმართ არ აქვთ მტრული განზრახვა [სვანიძე, 2003:183]. ბათუმში შესვლის შემდეგ, ინგლისელი გენერლის სტოკსის კითხვაზეც, ქიაზიმ ქარაბეჯირმა უპასუხა, რომ მათ მიერ ბათუმის დაკავება შეთანხმებული იყო საქართველოსთან და ატარებდა დროებით ხასიათს [Sürmeli, 2001:660].

ბათუმის კომენდანტის ი. ფურცელაძის ცნობით, თურქული ჯარების პირველი ეშელონი ორი ტყვიამფრქვევით, დაახლოებით 500 კაცამდე ქალაქში შევიდა 11 მარტს 11 საათზე, შემდეგი ეშელონი, დაახლოებით იგივე რაოდენობით – 12 მარტს საღამოს. 15 მარტის ღამეს კი შეივსო კიდევ 500 ჯარისკაცით. სულ ბათუმის ოლქში თურქეთის ჯარების რიცხვი 3,5 ათასს აღწევდა [სვანიძე, 2003:180–181]. თურქებმა ქალაქი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს და პოლიციისა და ფოსტის შენობებზე თურქული დროშები აღმართეს [Sürmeli, 2001: 664].

12 მარტს ქიაზიმ ქარაბეჯირი არწმუნებდა ბოლშევიკურ სამხედრო ხელმძღვანელობას, რომ ბათუმში წითელი არმიის გამოგზავნის საჭიროება არ იყო და რომ საკუთარ თავზე იღებდნენ მენშევიკთაგან ქალაქის გათავისუფლებას. ბათუმში შესულმა თალათ ბეიმ ციხის კომენდანტ ფურცელაძეს 5 პუნქტიანი მოთხოვნები გააცნო, რაც ძირითადად ყაზარმებით, ტრანსპორტითა და საკვებით მომარაგების მოთხოვნაში გამოიხატებოდა. 14 მარტს ქიაზიმ ქარაბეჯირმა აცნობა გენშტაბს, რომ ადგილზე გააუქმა ქართული ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და ჩამოაყალიბა ანკარის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო მართვის ორგანოები [Sürmeli, 2001: 668–670]. 16 მარტს ალი რიზა ბეიმ საქართველოს მთავრობას ბათუმიდან ქართული ჯარის გაყვანა ან შეიარაღების ჩაბარება მოსთხოვა იმ მოტივით, რომ ბოლშევიკების შემოსვლისას ეს საზიანო იქნებოდა ქართველებისათვის, მაგრამ ქართულმა მხარემ ეს მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა [იქვე, გვ. 673].

ნ. ჟორდანიასათვის უკვე ცხადი გახდა, რომ თურქები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დახმარებას და რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმას არ აპირებდნენ, ამიტომაც ბათუმის შენარჩუნებისათვის საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების გამართვა გადაწყვიტა. წინასწარი შეთანხმების შემდეგ, მოლაპარაკებები გაიმართა ქალაქ ქუთაისში. დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან მასში

მონაწილეობდა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სამხედრო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე, მრჩეველი სამხედრო საკითხებში ი. გედევანიშვილი, პოლიტიკური მრჩეველი ი. დგებუაძე და მდივანი დ. შარაშიძე. რეკომს მოლაპარაკებებში წარმოადგენდნენ მისი თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი, სამხედრო საქმეებში რწმუნებული შ. ელიავა და მდივანი ღამბაროვი [გოგოლიშვილი, 2011:113]. მოლაპარაკება მიმდინარეობდა რსფსრ–ს წარმომადგენლის აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით. ბოლშევიკურ ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოში მომხდარი გადატრიალების აღიარება, თუმცა ეს საკითხი დარჩა ღიად. მოხდა შეთანხმება მხოლოდ საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივი შეწყვეტის თაობაზე. დემოკრატიულმა მთავრობამ საშუალება მისცა რეკომის განკარგულებაში მყოფ ჯარებს შესულიყვნენ ბათუმის ოლქში [იქვე, გვ. 115].

ამ მოლაპარაკებებმა დააეჭვა ანკარას წარმომადგენელი თბილისში ქიაზიმ დირიქი, რომელმაც ქიაზიმ ქარაბეიერ ფაშას 16 მარტს აცნობა, რომ ხელისუფლება ბათუმში სასწრაფოდ უნდა გადასცემოდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, რომელიც თანახმა იყო თურქეთის მფარველობაზე [Sürmeli, 2001: 673; ყავრელიშვილი, 2011:50]. ქიაზიმ ქარაბეიერი თავადაც ხვდებოდა, რომ არც საბჭოთა რუსეთი და საბჭოთა საქართველო, არც მენშევიკური მთავრობა ბათუმის თურქეთის ხელში გადასვლას არ შეეგუებოდნენ, ამიტომ ფრთხილი და მშვიდი პოლიტიკის გატარების მომხრე იყო. ასეთ ვითარებაში 16 მარტს მოსკოვში ხელი მოეწერა რუსეთ–თურქეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებას. 17 მარტს ქიაზიმ დირიქმა გაავრცელა მიმართვა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ბათუმის დატოვების შემთხვევაში ქალაქისა და მხარის მმართველობას თვითონ აიღებდა ხელში. იმავე ღამით მანვე, უკვე ბათუმის გუბერნატორის რანგში, გაავრცელა 9 პუნქტიანი ბრძანებულება ბათუმის თურქეთთან შეერთების შესახებ. იგი მოითხოვდა, რომ ქართულ ჯარს იარაღი ჩაეხრებინა და ქალაქი დაეტოვებინა 24 საათის განმავლობაში [Sürmeli, 2001:677–678]. სწორედ მაშინ, როცა ქიაზიმ ბეი თავს ბათუმის გუბერნატორად აცხადებდა, ჟორდანიას მთავრობამ იტალიური გემით დატოვა ქალაქი. ბოლო წუთებში დამფუძნებელმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: „უკეთესია ბათუმი დარჩეს ბოლშევიკებს, ვიდრე თურქებს. რადგან ერთხელაც იქნება საბჭოები



გაუქმდება. მაგრამ ეხლა თურქების ხელში გადასული ბათუმი მუდმივად თურქებს დარჩებათ“ [Sürmeli, 2001:678].

ბათუმში თურქული ხელისუფლების პარალელურად, 17 მარტს შეიქმნა ბოლშე-ვიკური რევკომი ს. ქავთარაძის ხელმძღვანელობით. წითლებმა მატარებლით დაიწყეს ქალაქში სამხედრო ნაწილების შემოყვანა, მაგრამ მხოლოდ მათი ძალები არ იყო საკმარისი ქალაქის გასათავისუფლებლად. თანაც რევოლუციურ კომიტეტს, როგორც ოფიციალურ სტრუქტურას არ უნდოდა თურქებთან ღია დაპირისპირება, ამიტომაც ბათუმის თურქთაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუყენეს დემოკრა-ტიული საქართველოს ბათუმში დარჩენილი მხედრობა და მისი სარდალი გენ. გ. მაზ-ნიაშვილი [დაუშვილი, 2011:93].

ქიაზიმ დირიქი აცხადებდა, რომ ბათუმი თურქეთის ტერიტორიაა და არ ცნობდა რევოლუციურ კომიტეტს. რევკომი კი მოქმედებდა საბჭოთა საქართველოს სახელით და თურქეთის ხელისუფლებას 16 მარტს მოსკოვში დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულებისკენ მოუწოდებდა. ასეთ პირობებში ქართულ მხედრობასა და თურქ ასკერებს შორის შეტაკება გარდაუვალი შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ წითელ არმიას ბათუმისათვის ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. სამხედრო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე წერს: „...რუსეთის მხედრობამ არავითარი დახმარება არ გაუწია ქართულ ჯარს ოსმალეთის წინააღმდეგ. ...აქაური რუსული ფრონტის სარდალი, ცნობილი გენერალი ჟლობა საჯაროთ აცხადებდა, რომ ბოროტი ხმები ავრცელებენ თითქოს რუსები ოსმალეებს ებრძვიან, ნამდვილად კი ეს ქართველებისა და ოსმალეების ომიაო. და ეს სრული სიმართლე იყო – მხოლოდ და მხოლოდ ქართველი მხედრობა ებრძოდა ოსმალთა ბრიგადებს... [ლორთქიფანიძე, 1995:222].

მოკლე დროში ქართული არმიის დაშლილი ნაწილებისგან, რომელთაც გვერდით დაუდგნენ რიგითი მოქალაქეებიც, ბრძოლისუნარიანი შენაერთები ჩამოყალიბდა. ადგილობრივი მოსახლეობისგან შეიქმნა სახალხო გვარდიელთა ნაწილები, რომლებიც გენერალ მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით ქართულ ჯართან ერთად თავგან-წირვით იბრძოდნენ [უზუნაძე, 2013:94]. გ. მაზნიაშვილმა ქიაზიმ ბეის გაუგზავნა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა ერთი საათის განმავლობაში შესდგომოდნენ ჯარების ევაკუაციას ბათუმიდან, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ ფოსტა–ტე-

ლეგრაფის, მილიციის შენობა, რადიოსადგური, ბარცხანის ფორტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო მოქმედებებით დაიმუქრა [მაზნიაშვილი, 1990:140]. ერთი საათი უპასუხოდ ამოიწურა და გენერალმა მაზნიაშვილმა სისრულეში მოიყვანა თავისი მუქარა, შეუტია ბარცხანის ფორტსა და ყაზარმებს. ბრძოლები 18 მარტის 4 საათამდე გაგრძელდა. შედეგად, ბარცხანის თურქული გარნიზონი განადგურდა [იქვე, გვ. 141]. პარალელურად ოსმალები მთელი დღის განმავლობაში უტევდნენ კახაბრის ფორტს. ამასობაში ჟღობას კავალერია აჭარისწყალს მოუახლოვდა. მაზნიაშვილის განკარგულებით, ისინი უნდა დაბანაკებულიყვნენ სტეფანოვკისა და ანარიის ფორტებზე.

როგორც ჩანს, მაზნიაშვილის სამხედრო ოპერაციებს იმხელა ეფექტი ჰქონდა, რომ თურქებმა ჩათვალეს ქართველებს ინგლისელებისა და ფრანგების მაშველი ძალა მოუვიდათ და მათი კრეისერებიდან იბომბებოდა ქალაქი. თუმცა ეს არ შეეფერებოდა სინამდვილეს. საფრანგეთისა და იტალიის რამდენიმე ხომალდი მართლაც იმყოფებოდა პორტში, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ [ჯანელიძე, 2011:139].

19 მარტს სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა კახაბრის ფორტზე. დანაკარგი ორივე მხრიდან დიდი იყო. ეს დღეც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. ბათუმში გასათავისუფლებელი რჩებოდა მილიციისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობა, რაც 20 მარტისათვის დაიგეგმა. მაგრამ დილის 9 საათზე ქიაზიმ ბეიმ შეუთვალა მაზნიაშვილს, რომ მიიღო ქალაქის დაცლის გადაწყვეტილება [იქვე, 143-144]. ბათუმის გათავისუფლების ოპერაციას 84 ქართველის სიცოცხლე შეეწირა. სწორედ მათი თავდადებით მოხერხდა ბათუმის საქართველოსათვის შენარჩუნება.

20 მარტიდან ბათუმში და მის ოლქში სიმშვიდემ დაისადგურა. ანკარაში გააცნობიერეს, რომ მოსკოვში აღებულ ვალდებულებას ვერ გაექცეოდნენ და ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის დაცლას უნდა შეგუებოდნენ. 28 მარტს თურქეთის ჯარებმა დატოვეს ბათუმის ოლქის მთელი ტერიტორია.


ახლა რაც შეეხება მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებს, რომლითაც დადგინდა თურქეთ-საქართველოს საზღვარი და საფუძველი ჩაეყარა ახალ სამეზობლო ურთიერთობებს. როგორც ზემოთაც ითქვა, 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც გაიწერა ის ძირითადი დებუ-

ლებები, რამაც ასახვა ჰპოვა 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში ხელმოწერილ დოკუმენტში. ფაქტობრივად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების თურქეთთან საზღვრის საკითხი, ამ რესპუბლიკების მესვეურთა დაუკითხავად, გადაწყდა ჯერ მოსკოვში, ყარსში კი საბჭოთა აზერბაიჯანის, საბჭოთა სომხეთისა და საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელთა მხრიდან ხელმოწერებით დადასტურდა ორ იმპერიას შორის მიღწეული კომპრომისი [ზარამიძე, 2018:10].

მოსკოვში მოლაპარაკება დაიწყო საქართველოსთვის ძალზე რთულ ვითარებაში. ბოლშევიკურ ხელისუფლებასა და მუსტაფა ქემალ ათათურქის მთავრობებს შორის ხელშეკრულების გაფორმების სურვილი ჯერ კიდევ 1920 წლის მიწურულს გამოითქვა, თუმცა სამშვიდობო კონფერენციამ მხოლოდ 26 თებერვალს დაიწყო მუშაობა, რაც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს შემთხვევითი. როგორც ჩანს, საბჭოთა მთავრობას სურდა ოსმალეთის დელეგაცია, აზერბაიჯანისა და სომხეთის შემდეგ, საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტის წინაშე დაეყენებინა და მომგებიანი პოზიციით დამჯდარიყო მოლაპარაკებათა მაგიდასთან.

მოლაპარაკება რთულად წარიმართა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ახლადამოცნებულ მთავრობას შორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება სუფევდა. ოსმალები ბათუმის, ართვინის, არტაანისა და ყარსის დათმობას მოითხოვდნენ, რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარი გ. ჩიჩერინი კი კომპრომისზე არ მიდიოდა. მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. ლენინი თურქეთს აღმოსავლეთში თავისი რევოლუციური იდეების პლაცდარმად განიხილავდა და მას არ სურდა, თავისი მოკავშირე გაენაწყენებინა. თანაც შესაძლოა შიშობდა, რომ მუსტაფა ქემალს ანტანტის სახელმწიფოებთან საერთო ენა არ გამოენახა და სამხედრო მოქმედებებისათვის, რომელიც ბათუმის მიმართულებით უკვე იყო დაწყებული, მასშტაბები არ მიეცა. ამიტომ, საბოლოოდ, დათმობაზე წავიდა ბათუმის შენარჩუნების პირობით, ყარსი ართვინი და არტაანი კი თურქეთის შემადგენელ ნაწილად იქნა აღიარებული. ასეთი შეთანხმება მიღწეული იქნა მოლაპარაკებებში ი. სტალინის ჩართვის შემდეგ და 1921 წლის 16 მარტს მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებასაც მოეწერა ხელი. სამწუხაროდ, ჩვენს დაუკითხავად გადაწყდა ჩვენი სამხრეთი საზღვრის საკითხი.

საინტერესოა, ამ ხელშეკრულების პირველივე მუხლში ხაზგასმულია, რომ თურქეთად იგულისხმება ტერიტორია, რომელიც მითითებულია 1920 წლის 28 იანვრის თურქეთის ეროვნულ პაქტში და ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარი გადის სოფ. სარფზე (დღემდე თურქულ ისტორიოგრაფიაში და პოლიტიკურ წრეებში მკვლევართა და დაინტერესებულ პირთა ნაწილი აჭარის ტერიტორიას აღნიშნული პაქტით დადგენილ საზღვრებში აქცევენ და მას მოქმედ დოკუმენტად მიიჩნევენ). მეორე მუხლში კი წერია, რომ თურქეთი თანხმდება დაუთმოს საქართველოს სუვერენიტეტი ქალაქ ბათუმზე, მის პორტსა და ბათუმის ოკრუგის ნაწილზე იმ პირობით, რომ:



1. ამ ადგილების მცხოვრებნი ისარგებლებენ ფართო ადგილობრივი ავტონომიით, ადმინისტრაციული თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს თითოეული თემის

კულტურულ და რელიგიურ უფლებებს და მოსახლეობას მიეცემა შესაძლებლობა დაადგინოს მათთვის სასურველი მიწის კანონი.

2. თურქეთისთვის უზრუნველყოფილი იქნება ყოველგვარი საქონლის თავისუფალი ტრანზიტი, რომელიც გაიგზავნება თურქეთში და თურქეთიდან, ბათუმის ნავსადგურის გავლით, უბაჟოდ, რაიმე შეფერხების გარეშე და ყოველგვარი გადასახადით მათ დაუბეგრავად, თურქეთისთვის ბათუმის ნავსადგურის სარგებლობის უზრუნველყოფით ამაზე სპეციალური გამოსაღებების გადაუხდე-  
ლად [მასალები...].

ხელშეკრულების მე-12 მუხლით იმ ტერიტორიებს მცხოვრებთ, რომლებიც 1918 წლამდე შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში და გადაეცა თურქეთს, ენიჭებოდა უფლება თავისუფლად დაეტოვებინა თურქეთი და თან წაეღო თავისი ქონება. მსგავსი უფლება ეძლეოდა ბათუმის მოსახლეობასაც. მე-15 მუხლით კი რუსეთი იღებდა ვალდებულებას ისეთი ნაბიჯები გადაედგა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიმართ, რომლებიც საჭირო იქნებოდა ამ უკანასკნელთა მხრიდან თურქეთთან დადებულ ხელშეკრულებებში წინამდებარე შეთანხმებით მათთან შეხებაში მყოფი მუხლების აუცილებელი ცნობისათვის [იქვე]. ანუ, რუსეთმა ივალდებულა, რომ საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის მხრიდან არ იქნებოდა წინააღმდეგობა რუსეთ-თურქეთის ახალი სამეგობრო ურთიერთობებისათვის და რომ ისინი აღიარებდნენ მოსკოვის ხელშეკრულების პირობებს.

სიმბოლოურია (და არა მარტო სიმბოლოური), რომ მოსკოვის მოლაპარაკებები დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ თბილისის დატოვების მეორე დღეს, ხელშეკრულება კი გაფორმდა ჟორდანის მთავრობის ემიგრაციაში წასვლამდე ერთი დღით ადრე. რუსეთმა მოსკო წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა ამიერკავკასიაში და ზამოაღნიშნული ვალდებულების აღებაც მისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა [ზარამიძე, 2018]. თუმცა, როგორც ჩანს, მოსკოვში გადაწყვიტეს, რომ ყოველგვარი შესაძლო გართულების თავიდან არიდების მიზნით ამიერკავკასიის ჯერ კიდევ ფორმალურად დამოუკიდებელ რესპუბლიკებს ერთად დაედოთ ხელშეკრულება ანკარასთან. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის ხელშეკრულებაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების მხრიდან თურქეთთან დასადებ ხელშეკრულებებზეა

საუბარი, 1921 წლის ოქტომბერში, ყარსში, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციები ერთ მხარეს წარმოადგენდნენ და მათ საერთო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი რუსეთის მონაწილეობით. ამით ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ორი კურდღელი დაიჭირა: ცალ-ცალკე მოსკოვის ხელშეკრულების პირობების აღიარებას შესაძლოა დიდი წინააღმდეგობა შეხვედროდა, განსაკუთრებით, საქართველოსა და სომხეთის მხრიდან, ერთიანობაში მათი იძულება კი უფრო მარტივად მოხდა. მეორეც, პერსპექტივაში ხელშეკრულების შესაძლო დენონსაციას სამივე რესპუბლიკის თანხმობა დასჭირდებოდა, რაც, თუ გავითვალისწინებთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების განსხვავებულ ინტერესებს, წარმოუდგენელი იყო, ცალმხრივად გამოსვლა კი შეუძლებელი იქნებოდა. ეს კი რუსეთს სამომავლოდაც მშვიდად ყოფნის გარანტიას აძლევდა. თუმცა, ხელშეკრულების ხელმოწერიდან მალევე შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელშიც ამიერკავკასია ერთ ფედერაციულ სუბიექტად შეიყვანეს და ეს უკანასკნელი საკითხიც დიდი ხნით მოიხსნა დღის წესრიგიდან.

1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულება შედგება 20 მუხლისგან და აქვს 3 დანართი საზღვრების ზუსტი მითითებით. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ რევკომის პრეზიდიუმის წევრმა, სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარმა შალვა ელიავამ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ალექსანდრე სვანიძემ. თურქეთის მხრიდან თურქეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატმა, აღმოსავლეთის ფრონტის სარდალმა ქიაზიმ ყარაბეჟირ-ფაშამ, დეპუტატმა ველი ბეიმ, საზოგადოებრივ საქმეთა სტატს-მდივნის ყოფილმა თანაშემწემ მუხტარ-ბეიმ და თურქეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა აზერბაიჯანში მემდუ შევქეთ ბეიმ. ხელშეკრულების 14 მუხლი რატიფიცირებას ექვემდებარებოდა, 6 კი – და მათ შორის აჭარის საკითხი – ხელმოწერის მომენტიდან შედიოდა ძალაში [მასალები...]. ხელშეკრულების რატიფიცირება თურქეთმა მოახდინა 1922 წლის 16 მარტს, საქართველომ კი – იმავე წლის 14 აპრილს – მიუხედავად ცალკეული პირებისა და აჭარის წარმომადგენელთა წინააღმდეგობისა ქვეყნის სამხრეთ ნაწილის თურქეთისათვის დათმობის გამო.

საქართველოსთან მიმართებაში ყარსის ხელშეკრულებამ სიტყვასიტყვით გაიმეორა მოსკოვის ხელშეკრულების ის ძირითადი მუხლები, რომელზეც ზევით გვქონდა

საუბარი. საინტერესოა ხელშეკრულების მე-10 მუხლი, რომელიც ასევე იქნა გადმოწერილი მოსკოვში შედგენილი დოკუმენტიდან და რომლითაც ხელმომწერი მხარეები იღებენ ვალდებულებას თავიანთ ტერიტორიაზე არ დაუშვან შექმნა ან ყოფნა ისეთი ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ მეორე ქვეყნის, ან მისი ნაწილის ხელისუფლებაზე, ან რომელთა მიზანსაც სხვა ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. აღნიშნული მუხლი, ოდნავი სახეცვლილებით შევიდა 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ ხელმოწერილ ხელშეკრულებაში: მხარეები კისრულობენ ვალდებულებას საკუთარ ტერიტორიაზე არ დაუშვან ისეთ ორგანიზაციათა, დაჯგუფებათა თუ პიროვნებათა მოქმედება, რომლებიც მიზნად ისახავენ მეორე მხარის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, კონსტიტუციური წყობის ძალადობით შეცვლას.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას: არაღიარებულმა ბოლშევიკურმა რუსეთმა მოსკოვში ხელშეკრულება დადო არაღიარებულ ქემალისტურ თურქეთთან იმ ტერიტორიებზე (სხვათა შორის), რომლებიც ფორმალურად მათ არ ეკუთვნოდათ. ყარსში კი მოსკოვის ხელშეკრულების პირობების აღიარება ხელმოწერით დაადასტურეს საბჭოთა საქართველოს იმ მთავრობის წარმომადგენლებმა, რომლებიც არ გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ნებას და ხელისუფლებაში რამდენიმე თვით ადრე მოვიდნენ უცხო ძალაზე დაყრდნობით, სამხედრო აგრესიის გზით. მიუხედავად ამისა, ყარსის ხელშეკრულება სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის საფუძვლადაც იქნა აღიარებული. თბილისში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ფორმალურად დამოუკიდებლად დიდხანს არ უარსებია. 1922 წლიდან იგი უკვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირშია და აქედან მოყოლებული კავშირის დარღვევამდე მეზობელ სახელმწიფოებთან (მათ შორის თურქეთთან) ურთიერთობა ამ კუთხით უნდა შეფასდეს. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო პრობლემა სსრკ-თურქეთის ურთიერთობის ჭრილში განიხილება.

საბჭოთა კავშირის შექმნამ თურქეთი ამ რეგიონიდან მრავალი ათწლეულით განდევნა, 1952 წლიდან თურქეთის ნატოში შესვლის შემდეგ კი, საზღვარზე, ასე ვთქვათ, რკინის ფარდა ჩამოეშვა და კონტაქტებმაც იკლო.

1925 წლის 17 დეკემბერს სსრკ-სა და თურქეთს შორს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც მხარეებმა ივალდებულეს ნეიტრალიტეტი მესამე სახელმწიფოსთან კონფლიქტის შემთხვევაში, ასევე რაიმე სახის მტრული მოქმედება ერთმანეთის მიმართ. საქართველოსთვის, როგორც თურქეთის მოსაზღვრე ქვეყნისთვის, გრძელვადიანი უსაფრთხოების თვალსაზრისით, მსგავსი ტიპის ხელშეკრულებები ძალიან მნიშვნელოვანი იყო. 1945 წლის 17 მარტს საბჭოთა ხელისუფლებამ, შეცვლილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, მოითხოვა აღნიშნული შეთანხმების დენონსაცია, რაზეც ანკარამ თანხმობით უპასუხა და გამოთქვა იმედი, რომ ორ ქვეყანას შორის მეგობრობის კონტექსტში მალე ხელი მოეწერებოდა ახალ ხელშეკრულებას, რომელიც იმდროინდელ მოთხოვნებთან იქნებოდა შესაბამისი [Гафурова, 1960].

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, საბჭოთა კავშირმა, როგორც გამარჯვებულმა ქვეყანამ, თურქეთს წაუყენა ტერიტორიული პრეტენზიები. კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მოლოტოვმა 1945 წლის 7 ივნისს, ჯერ მოსკოვში, თურქეთის ელჩთან შეხვედრაზე, შემდეგ კი პოტსდამის კონფერენციაზე - 22 ივლისს დააყენა საკითხი სსრკ-თურქეთს შორის საზღვარი აღდგენილიყო 1878 წლის მდგომარეობით, ანუ სომხეთსა და საქართველოს უნდა დაბრუნებოდა 1921 წელს ჩამოცილებული ყარსის, არტაანისა და ართვინის ოლქები, რაც გახდებოდა თურქეთთან ახალი სამაგობრო ხელშეკრულების ხელმოწერის საფუძველი [Берлинская (Потсдамская) конференция..., 1984]. ამავე დროს სსრკ-ს მთავარი მოთხოვნა იყო, ასევე, ბოსფორის სრუტეში თავისუფალი ნავიგაციის უფლების მოპოვება და სამხედრო ბაზის შექმნა.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოსა და სომხეთის საზოგადოებაში აქტიურად დაიწყო ტერიტორიული საკითხის განხილვა. სამეცნიერო დაწესებულებებს მიეცათ მითითება მოემზადებინათ ისტორიულ-გეოგრაფიული დასაბუთება აღნიშნული ტერიტორიების მიმართ პრეტენზიის სამართლიანობის შესახებ, რომელთა საფუძველზეც 18 აგვისტოს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატმა მოამზადა ცნობა „საბჭოთა-თურქული ურთიერთობის შესახებ“. პირველი ნაწილი წარმოადგენდა სრუ-



ტეებზე უფლების „დასაბუთებას“, ხოლო მეორე ნაწილში სათაურით „ტერიტორიების საკითხი, რომლებიც თურქეთმა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს მოწყვიტა“, აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა-თურქული ურთიერთობების მეორე უცილობლად გადასაჭრელ პრობლემას წარმოადგენდა სომხეთის და საქართველოს ტერიტორიების საკითხი, რომელიც თურქეთმა მათ წაართვა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. გარდა ამისა ხაზგასმული იყო, რომ ამ მიწების თურქების მიერ მიტაცებამ სერიოზულად დააზიანა საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების სისხლხორცეული ტერიტორიული ინტერესები და მნიშვნელოვნად შეამცირა მათი სტრატეგიული უსაფრთხოება. თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების საერთო ფართობი შეადგენდა 26 000 კვ. კილომეტრს. ამასთან, სომხეთისა 20000 კვ. კილომეტრს, რომელიც სომხეთის სსრ-ს 80%-ს შეადგენდა, ხოლო საქართველოსი 5500 კვ.კმ-ს - საქართველოს სსრ-ს ტერიტორიის 8% -ს. აქვე აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირის გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ ბევრ სომეხი ეროვნების ადამიანს აშშ-ში, ახლო და შუა აღმოსავლეთში სურს დაბრუნდეს საბჭოთა სომხეთში, „მაგრამ დღევანდელი სომხეთს ძალიან შეუძლებელი შესაძლებლობები აქვს ჩამოსული სომხების განსათავსებლად. მისი ქვიანი და უწყლო მიწები უსარგებლოა ცხოვრებისთვის [Гасанлы, 2008:129-144]. სხვათა შორის, საქართველოს სსრ კომპარტიის გენერალური მდივანი კ. ჩარკვიანი შეხვდა ბერიას და გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ცნობაში არტაან-ოლთისი სომხეთზე იყო მიწერილი და მოითხოვდა, რომ საქართველოს შემადგენლობაში უნდა დაბრუნებულიყო 12 760 კვ. კმ., ხოლო სომხეთის შემადგენლობაში - 13 190 კვ. კმ.

1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ კომუნისტში გამოქვეყნდა სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის საგაზეთო სტატია - თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ. მალევე, იგი რუსულად ითარგმნა და უკვე 20 დეკემბერს საკავშირო პრესაში დაიბეჭდა. ამ პუბლიკაციას მოჰყვა არნოლდ ჩიქობავას, დავით ზავრიევის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვათა სტატიებიც. ამ კამპანიაში ჩაერთო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) და ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს წევრი, აჭარის ყადი რასიხ ბერიძე. საქართველოს ცეკამ შემოსაერთებელ ტერიტორიებზე პარტიული უჯრედების ჩამოყალიბების თადარიგი დაი-

ჭირა. შესაბამის კანდიდატებს წინასწარ ამზადებდნენ ართვინის, არტაანის, ტრაპიზონის მხარეების რაიკომის მდივნებად [სამუშია, 2012:16].

საქართველოსა და სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტერიტორიული პრეტენზიების საკითხის წარმატების შემთხვევაში, უფრო დიდი მიწების შემოერთების სურვილი გამოთქვეს: მათ შორის ჭოროხის აუზის, რიზეს, ტრაპიზონისა და თითქმის მთელი ლაზისტანის.

22 დეკემბერს ანკარის რადიომ სპეციალური გადაცემა მიუძღვნა საბჭოთა კავშირის პრეტენზიებს თურქეთის მიმართ. მოსკოვის მუქარის საპასუხოდ იგი აცხადებდა, რომ თურქეთი სხვის ტერიტორიებზე პრეტენზიას არ აცხადებდა, მაგრამ ერთ გოჯ თავის მიწასაც არ დათმობდა. ამიტომაც თურქეთში აზრსაც არ უშვებენ იმის შესახებ, რომ მოსკოვის შეხვედრაზე შეიძლება განხილულიყო აღნიშნული საკითხი. „თუ ეს ნერვების ომია, უნდა იცოდნენ, რომ თურქებმა ანატოლიის ველებზე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გაიმაგრეს თავისი ნერვები და დღეს ისინი როგორც ფოლადი ისეთი მაგარია [Гасанлы, 2008:144].

1946 წლიდან სსრკ-მ გააძლიერა ზეწოლა და დაიწყო თურქეთთან საზღვრის გასწვრივ სამხედრო სამზადისი. თუმცა ევროპის წამყვანი ქვეყნები და, განსაკუთრებით, აშშ გამოეჭომაგენ თურქეთს. ამ უკანასკნელმა მას მისცა დახმარების გარანტია აგრესიის შემთხვევაში, 6 აპრილს ამერიკული ხომალდი „მისური“ შევიდა სტამბოლში, რამაც მეტი თავდაჯერებულობა შემატა თურქეთს. ბორტზე იმყოფებოდა ჰ. ტრუმენის პირადი წარმომადგენელი ა. ეუდელი ჟურნალისტებთან ერთად. ისინი მიიღო პრემიერ-მინისტრმა სარაჯოღლუმ, რომელმაც განაცხადა, რომ თურქებმა დაიმსახურეს, რომ ამერიკის მეგობრები ერქვათ. ეს მათ დაიმსახურეს თავისი ერთგული პოლიტიკით მეორე მსოფლიო ომის დროს. ჟურნალისტების შეკითხვაზე სრუტეებში საბჭოთა ბაზის და ყარსის არდაგანისა და ართვინის შესახებ მან უპასუხა, რომ აშშ მზად არის დაიცვას თურქეთი ნებისმიერი საფრთხისაგან.

საარქივო მასალების გაცნობა ცხადყოფს, რომ „თურქეთის კრიზისი“ სტალინის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გრძელდებოდა, თუმცა 1946 წლის შუა ხანებიდან პროპაგანდისტული კამპანია თანდათან შენედა. ცენტრალურ პრესაში უკვე აღარ იბეჭდებოდა მკვეთრი სტატიები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თურქეთის შემადგენ-

ლობაში არსებული ქართული მიწების შემოერთების საკითხი ამის შემდეგაც დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. პერიოდული გამოცემებიდან ძირითადად გაზეთი "საბჭოთა აჭარა" აქტიურობდა. ქართველი მწერლებიდან ირაკლი აბაშიძემ, გიორგი ლეონიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, ილო მოსაშვილმა და სხვებმა არაერთი ნაწარმოები მიუძღვნეს ამ პრობლემას.

მსოფლიო დიპლომატია აქტიურად ამოქმედდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამერიკამ შეიმუშავა სსრკ-ზე ატომური თავდასხმის გეგმა, რამაც საბოლოო ჯამში აიძულა სსრკ-ს ხელმძღვანელობა უარი ეთქვათ თავიანთ ტერიტორიულ პრეტენზიებზე. სტალინის გარდაცვალებიდან მალევე შესაბამისი ნოტაც გაიგზავნა ანკარაში. ამით საქართველომ საბოლოოდ დაკარგა ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტანისა და ლაზეთ-ჭანეთის დაბრუნების შანსი. აღსანიშნავია, რომ თურქეთის რესპუბლიკამ ამ მოვლენების შემდეგ თითქმის მთელი XX საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში მოახერხა საფუძვლიანად შეეცვალა ამ პროვინციების დემოგრაფიული სურათი. ქართველთა დიდი ნაწილი თურქეთის შიდა პროვინციებში გადაასახლეს. ესეც ჩვენი ერის უახლესი ისტორიის დიდი ტრაგედია იყო.

აქედან მოყოლებული რაიმე მნიშვნელოვანი საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში არ მომხდარა. ცივი ომისა და ბლოკური სისტემის პირობებში ნატოს წევრ თურქეთთან საზღვარი მყარად ჩაიკეტა. სარფს მიღმა დარჩენილ ნათესავთა მონახულება, ჭირის დღეებშიც კი, დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ქვეყნის სათავეში მიხაილ გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ დაწყებული გარდაქმნები ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. შეიცვალა სასაზღვრო რეჟიმი და გაიხსნა სარფის კარი. დაიწყო საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ახალი ეტაპი, რომელიც უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთანაა დაკავშირებული.

## თავი II. პოლიტიკური სიტუაცია და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთს შორის

### პოსტსაბჭოთა პერიოდში

#### § 1. თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში

##### სსრ კავშირის დაშლის შემდეგ

XX საუკუნის 70-იან წლების დასასრულისა და 80-იანი დამდეგისათვის საბჭოთა სისტემის კრიზისმა ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო. დაეცა მრეწველობის დონე, სავალალო მდგომარეობა იყო სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა მეურნეობები ვეღარ ახერხებდნენ ქვეყნის მომარაგებას. მოიშალა ტრანსპორტის მუშაობა. ნორმალურად ვეღარ ფუნქციონირებდა საქალაქო მეურნეობა. პროდუქციაზე ფასები ძალიან გაიზარდა, რაც მოსახლეობას უმძიმეს მდგომარეობაში აგდებდა. საბჭოთა ხელისუფლება არარუსი ხალხის მიმართ კვლავ დიდმპყრობელურად მოქმედებდა.

1985 წლიდან სსრკ-ს ხელისუფლებაში მოსულმა მიხეილ გორბაჩოვმა და მისმა მომხრეებმა დაიწყეს ე.წ. გარდაქმნის პოლიტიკა, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. ამას მოჰყვა მოსახლეობის პოლიტიკური აქტიურობის სწრაფი ზრდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჩამოყალიბდნენ ეროვნული მოძრაობები და ორგანიზაციები, რაც მანამდე აკრძალული იყო. ქვეყანაში საბჭოთა სისტემის რეფორმაციის მცდელობამ მოახდინა კრიზისის უფრო და უფრო გაღრმავება.

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებმა, გარკვეული აზრით, დაადასტურა ცნობილი ფილოსოფოსის ალექსის დე ტოკვილის მეტაფორა იმის შესახებ, რომ „უგუნურ რეჟიმს ყველაზე ცუდი დრო უდგება მაშინ, როცა ის გამოსწორებას შეეცდება“. გარდაქმნამ, რომელიც საბჭოთა კავშირშიც და მის ფარგლებს მიღმაც დიდი ხნის მომწიფებულად და სასურველად მიიჩნეოდა, სულაც არ გამოიღო იმგვარი ნაყოფი, როგორსაც მისი მომხრეები და აქტივისტები მოელოდნენ.

დაიწყო კავშირის რღვევის პროცესი, რაც მიმდინარეობდა მწვავე ეკონომიურ, პოლიტიკურ და დემოგრაფიულ ფონზე. 1989 წელს ოფიციალურად გამოცხადდა ეკონომიკური კრიზისი (ეკონომიკის ზრდა დაცემამ შეცვალა). 1989-1991 წლებში საბჭოთა

ეკონომიკის პრობლემების პიკია - სურსათის ქრონიკული დეფიციტი; თავისუფალი ვაჭრობიდან ქრება თითქმის ყველა საჭირო პროდუქტი პურის გარდა. ქვეყანა გადავიდა ტალღურ სისტემაზე.

საბჭოთა კავშირმა დაკარგა კონტროლი აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც 1989 წლიდან დაიწყო კომუნისტური სისტემის დემონტაჟი. პოლონეთში ხელისუფლებაში მოვიდა „სოლიდარობის“ ლიდერი ლეხ ვალენსა, ჩეხოსლოვაკიაში - ყოფილი დისიდენტი ვაცლავ ჰაველი.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაჩნდა კონფლიქტური კერები. მოკავშირე რესპუბლიკებში დაწყებულ ეროვნულ მოძრაობას და საბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ გალაშქრებას საბჭოთა ხელმძღვანელობის მხრიდან ძალის გამოყენება მოჰყვა. ამან გამოიწვია სისხლისღვრა თბილისში (1989), ბაქოსა (1990) და ვილნიუსში (1991) და კავშირის დაშლის შეუქცევადი პროცესი.

1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის არსებობის შეწყვეტის თაობაზე, რასაც საფუძვლად დაედო ორიოდე კვირით ადრე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის გადაწყვეტილება, რომელსაც ბრესტის მახლობლად, ბელოვეჟის ტევრში, მოაწერეს ხელი რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა და ბელორუსიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ სტანისლავ შუმკევიჩმა.

ამ დოკუმენტის პრეამბულაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი წყვეტს თავის არსებობას. 21 დეკემბერს 11 მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელმა (საქართველოს ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის გამოკლებით) ალმა-ატაში ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელმაც დაადასტურა საბჭოთა კავშირის დაშლა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩამოყალიბება [Чешко, 2000].

საბჭოთა კავშირის დაშლის კონკრეტული მიზეზების ძიება ჩვენი საკვლევი თემის მიზანდასახულობაში არ შედის, თუმცა შეიძლება ჩამოვთვალოთ ის ძირითადი, რამაც მსოფლიოს ზესახელმწიფო დაშლამდე მიიყვანა. მთავარი ალბათ იყო იდეოლოგიური კრიზისი, რაც კარგად აჩვენა გორბაჩოვის პერიოდში დაწყებულმა გარდაქმნისა

და საჯაროობის პროცესმა. ამას, რა თქმა უნდა, ემატებოდა ეკონომიკური კრიზისი, მოკავშირე რესპუბლიკებში დაწყებული ეროვნული მოძრაობა, სახელმწიფო აპარატის გავლენის შესუსტება და საბჭოთა სისტემის რეფორმირების უშედეგო მცდელობა.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ მის ყოფილ ტერიტორიაზე არაერთი შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა, რასაც უზარმაზარი მსხვერპლი და მილიონობით ლტოლვილი, დანგრეული ეკონომიკური ინფრასტრუქტურა და ადამიანებს შორის კონტაქტების რღვევა მოჰყვა. ამჟამად საბჭოეთის 15 რესპუბლიკიდან ოთხს არ აქვს ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა (სომხეთს აზერბაიჯანთან, რუსეთს საქართველოსთან). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი და უკრაინა ინარჩუნებენ საელჩოებს მოსკოვსა და კიევში, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაეცა მას შემდეგ, რაც ბელოვეჟის შეთანხმება გაფორმდა.

უკვე საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში გაღრმავდა და დღემდე მოუგვარებელია კონფლიქტები ცალკეული დამოუკიდებელი რესპუბლიკების ტერიტორიაზე. ესენია: ყარაბაღის კონფლიქტი (სამხედრო დაპირისპირება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის), კონფლიქტები საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთსა და შიდა ქართლში, კონფლიქტი მოლდოვაში (დნესტრისპირეთი). მწვავე დაპირისპირებები იყო რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიაში ოსებსა და ინგუშებს, ჩეჩნებსა და რუსებს შორის. ექვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ყველა ამ სამხედრო დაპირისპირებაში მთავარი ინსპირატორი იყო და არის კრემლი და მისი სურვილი გავლენების შენარჩუნებისა პოსტ-საბჭოთა სივრცეში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიცვალა ძალთა ბალანსი რეგიონულ თუ მსოფლიო არენაზე. საბჭოთა კავშირთან შედარებით რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო წონა მნიშვნელოვნად მცირეა. საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა ვარშავის ხელშეკრულების გაუქმება და მისი მონაწილე ქვეყნების ნაწილის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება, რამაც კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა და როლი დღევანდელ მსოფლიოში. სწორედ ამას მისტირის რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება, როცა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა იყო უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა და ისწრაფვის ორპოლუსიანი მსოფლიო სისტემის აღდგენას.

დრომ და ისტორიამ აჩვენა, რომ არც ისე მტკიცე იყო დულაბი, როგორც გვეუბნებოდა წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის ჰიმნი („თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს. გაუმარჯოს ხალხთა ნებისყოფით შექმნილს დიდ საბჭოთა კავშირს, ერთიანს და მძლავრს“) და არც მასში გაერთიანება იყო თავისუფალ ერთა ნებაყოფლობითი აქტი.

საბჭოთა კავშირთან ერთად დასრულდა ე.წ. ცივი ომიც - კონფრონტაცია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამან ახალი შესაძლებლობები მისცა თურქეთის რესპუბლიკას, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლიდერის როლის მოპოვება და თავისი გავლენის გაზრდა. როდესაც აღნიშნული რეგიონის სამმა სახელმწიფომ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) მოიპოვა თავისუფლება, ანკარამ ქვეყნის ახალი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის თანახმად, დაუყოვნებლივ აღიარა მათი დამოუკიდებლობა, რითაც ღიად დაუჭირა მხარი დასავლეთის, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულების ე. წ. „გაფართოების კონცეფციას“ [ჭიღვარია, 2010:213].

თურქეთი ცდილობს არ დაკარგოს თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანმა პლაცდარმა აღმოსავლეთიდან საფრთხის პირობებში დასავლეთის დასაცავად. დასავლეთისთვის თურქეთის მნიშვნელობა განისაზღვრებოდა მისი გეოგრაფიული სიახლოვით ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან, როგორც იყო საბჭოთა კავშირი. ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირთან საზღვარი ამღევდა მას მნიშვნელოვან კოზირს დასავლეთის თვალში: თურქეთი განიხილებოდა როგორც ნატოს სამხრეთი ფრონტი საბჭოთა აგრესიისგან თავდაცვის სისტემაში. თურქეთის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტი, რომ იგი ესაზღვრებოდა ისრაელისა და, შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების ისეთ შეურიგებელ მოწინააღმდეგეებს, როგორებიც არიან სირია და ირანი [Beridze, 2018:43].

საბჭოთა საფრთხის გაქრობასთან ერთად დასავლეთ ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო და უფრო მეტად რწმუნდებიან იმაში, რომ თურქეთის ადრინდელი როლი და მნიშვნელობა არსებითად შემცირებულია და ხდება მათი გადანაწილება ალიანსის სხვა ახალ წევრებზე. ასეთი ტენდენცია, მაგალითად, გამოვლინდა იმაში, რომ უკვე 1990 წლის გაზაფხულზე, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლამდე,

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო აშკარად ანტითურქული რეზოლუცია სომხეთის საკითხზე, რომელიც, გარკვეულ პირობებში, ითვალისწინებდა თურქეთის სამხედრო დახმარების შემცირებას. თუმცა, თურქეთი ამერიკისთვის მაინც რჩება მნიშვნელოვან პარტნიორად. თავის პოლიტიკაში კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, თურქეთმა მოიპოვა არაორაზროვანი მხარდაჭერა დასავლეთისა, უპირატესად კი ამერიკის შეერთებული შტატებისა. 1993 წლის ნოემბერში "უოლ სტრიტ ჯორნალმა" ასე შეაფასა თურქეთის აღქმა დასავლეთის წრეებში: თურქეთი ცდილობს დაეხმაროს ახალ მუსლიმურ ქვეყნებს დემოკრატიის განმტკიცებაში. ის გამოდის როგორც ხიდი დასავლეთს, ბალკანეთს და ახლო აღმოსავლეთს შორის. ის თამაშობს სასიცოცხლოდ აუცილებელ როლს დასავლეთის უსაფრთხოებაში რეგიონში, სადაც დაპირისპირების ბევრი ძველი კერაა, სადაც იარაღი აქვს ყველას და ეთნიკური კონფლიქტები ჩვეულებრივი ამბავია. თურქეთთან მეგობრობა სასიცოცხლოდ აუცილებელია დასავლეთისთვის ახლა, როგორც არასოდეს [Газ. "Новые известия", 5.03. 1999].

საბჭოთა კავშირის დაშლამ ანკარას მისცა საშუალება შეეცვალა თავისი ტრადიციული საგარეო პოლიტიკური ქცევა და ახალი სტრატეგიული ორიენტირები ჩამოეყალიბებინა. მან დაიწყო თავისი ეთნიკური, ისტორიული და კულტურული კავშირის ხაზგასმული დემონსტრირება პოსტსაბჭოთა სამხრეთის ქვეყნებთან. თურქეთი თავისებურ მორალურ საფუძვლად იყენებდა იმ ფაქტს, რომ ის თავს დასავლური ტიპის დემოკრატიულ რეჟიმად მიიჩნევდა, საერო სახელმწიფო სისტემით, საბაზრო ეკონომიკით და პრეტენზიას აცხადებდა ამ ღირებულებების სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ექსპორტზე და ამ საქმეში დასავლეთის, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერაზე, რამაც გარკვეული დამაბულობა გამოიწვია რუსეთთან ურთიერთობებში.

რა თქმა უნდა, თანამშრომლობით დაინტერესება იყო ორმხრივი. საქართველოს ინტერესი თურქეთის მიმართ განპირობებული იყო იმითაც, რომ ეს უკანასკნელი არის ნატოს წევრი ქვეყანა და იგი განიხილებოდა, როგორც ერთგვარი ხიდი ამ გზაზე. თურქეთს კი უფრო შორს მიმავალი და გლობალური გეგმები გააჩნდა, რისთვისაც აქტიურად იყენებდა ე.წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკას, რამაც ჩამოყალიბებული სახე XXI საუკუნის დასაწყისში მიიღო.



ტერმინი „რბილი ძალა“ სამეცნიერო ხმარებაში პირველად ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯოზეფ ნაიმ შემოიღო 1990 წელს თავის წიგნში *Bound to Lead: The Changing Nature of American Power*. შემდგომში მან ეს ცნება განავითარა 2004 წელს გამოცემულ წიგნში *Soft Power: The Means to Success in World Politics*. რბილი ძალის ერთერთ წინამორბედ კონცეფციას წარმოადგენდა თეორია „კულტურულ-იდეოლოგიური ჰეგემონია“, რომელიც იტალიელი ფილოსოფოსის ანტონიო გრამშის მიერ იქნა შემუშავებული 1930-იან წლებში. მან ფართო გავრცელება პოვა დასავლეთ ევროპელ და ამერიკელ ნეოკონსერვატორებში [Дмитриев, 2005]. ეს არის შესაძლებლობა მიაღწიო შენს მიზანს მოზიდვის და არა ძალდატანების საშუალებით.

სახელმწიფოები რბილ ძალას უძველესი დროიდან მიმართავდნენ, თუმცა იგი განსაკუთრებით პრიორიტეტული გახდა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელთა სუბიექტებმაც უკუაგდეს ხისტი ძალის გამოყენების საშუალებები, რადგან საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციამ ნათლად დაგვანახა, რომ ომის პირობებში მშვიდობის მოპოვება და შენარჩუნება გაცილებით რთულია, ვიდრე ომში გამარჯვება. სწორედ ამიტომ დიდმა სახელმწიფოებმა არჩევანი რბილი ძალის სასარგებლოდ გააკეთეს, რადგანაც მისი გამოყენებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტი ნაკლებად დამაზიანებელია. შესაბამისად, ზეწოლისთვის და მიზნების მიღწევისთვის უპირატესობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, დიპლომატიურ და სხვა საშუალებებს მიენიჭა. ის წარმოიშობა ქვეყნის კულტურის მომხიბლველობით, პოლიტიკური იდეალებით და პოლიტიკით. როცა ჩვენი პოლიტიკა სხვების თვალში ჩანს კანონიერი, ეს აძლიერებს ჩვენს რბილ ძალას“ [Nye, 2005:22].

როდესაც რბილი ძალის პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ იმ სეგმენტებს, რომლის საშუალებითაც ხდება მისი გატარება. პირველი და უმთავრესი ეს არის კულტურული და საგანმანათლებლო სეგმენტი, რომელიც ქმნის საზოგადოებრივ აზრს. ამ სეგმენტში მოიაზრება ისეთი მიმართულებები როგორცაა: ხელოვნება, განათლება, ლიტერატურა, გართობა, მეცნიერება, რელიგია და სხვა.

რბილი ძალის პოლიტიკის გატარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არასახელმწიფოებრივი (საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო კომპანიები, ლობისტური ჯგუფები, ტრანსნაციონალური კორპორაციები

და სხვა) ინსტიტუტები, სადაც ხდება სერიოზული ფინანსური სახსრების მობილიზება. ისინი სხვადასხვა საშუალებებით ქმნიან საზოგადოებრივ აზრსა და განწყობას, რომელსაც შეუძლია ზეწოლა მოახდინოს სახელმწიფოზე (დემონსტრაციები, საპროტესტო აქციები, ქუჩაში გამოსვლები). საინფორმაციო რევოლუციის შედეგად კი მათი საქმიანობა გაცილებით ეფექტური გახდა. ამავე მიმართულებაში შეიძლება განვიხილოთ რელიგიის ფაქტორი. რელიგიაც არის ერთ-ერთი კომპონენტი იმ დიდი ჯაჭვისა, რომელიც საზოგადოებრივ აზრის შექმნით არის დაკავებული. სხვა მიმართულებისგან განსხვავებით რელიგიური ინსტიტუტები მიმზიდველობისა და სიმპათიის ობიექტად იყენებენ მრწამსით გამსჭვალულ ქადაგებებს, რომლებიც გაჯერებულია სიყვარულით, ჰუმანურობით, ტოლერანტობით, სამართლიანობით, მშვიდობითა და ა.შ. ისინი ამ პოლიტიკით მილიონობით ადამიანში აღძრავენ სიმპათიას და მიიზიდავენ მათ. შეგვიძლია იმის თქმა, რომ რბილი ძალის პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ნიშნები ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება, რომელთა წარმატებული მუშაობა დამაზიანებელია ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ეს ნიშნები კოლექტიურად კონცენტრირდება სხვადასხვა მიმართულებებში და მათი არამიზნობრივად გამოყენება დამაზიანებელია სახელმწიფოს ეროვნული კეთილდღეობისთვის [ლილუაშვილი, 2018:84].

რბილი ძალის პოლიტიკა საკამოდ დახვეწილია აზიის ქვეყნებში. ამ მიმართულებით თურქეთი ერთ-ერთი გამორჩეული სახელმწიფოა, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურად ეწევა რბილი ძალის პოლიტიკას. იგი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში. თურქული რბილი ძალის პოლიტიკაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ-დასავლეთ აზიას. მის უპირატესობას წარმოადგენს ასევე ზღვებზე გასასვლელი და სრუტეებზე კონტროლი. გეოგრაფიული სტრატეგიული მდებარეობით გამოწვეული ეკონომიკური სარგებელი და ამ ქვეყნის გავლენა ევროპასა და აზიაზე საკმაოდ მაღალია. თურქეთში კარგად არის განვითარებული საავიაციო ტრანსპორტი, მსხვილი აეროპორტების ქსელის საშუალებით მსოფლიოს 1/4 ქვეყნებში დროის მცირე მონაკვეთშია შესაძლებელი მოხვედრა. ეს კომფორტული გარემოება უფრო მეტად ზრდის ამ ქვეყნისადმი

სიმპათიას. საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევა და კონკურენციის პირობებში თურქული პროდუქციის დაბალი ფასები მიმზიდველია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება 50-60 მილიარდს აღწევს წელიწადში, რომელიც არის ერთ-ერთი მოთხოვნადი პროდუქტი მსოფლიოს არაერთ ბაზარზე (მათ შორის საქართველოში) შესაბამისად, შეგვიძლია იმის თქმა, რომ ბაზრების ხელში ჩაგდება და იქ დომინირება რბილი ძალის პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.

ეკონომიკური აღმავლობის შემდეგ, თურქეთი კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ევროპულ სახელმწიფოებს. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ითამაშა ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა და ბიზნეს კომპანიებმა, რომლებიც თურქული რბილი ძალის პოლიტიკის გამტარებლებად მოგვევლინა საერთაშორისო ასპარეზზე. თურქული დემოკრატიის განვითარება მაგალითი გახდა ისლამური სახელმწიფოებისთვის, ამ ყველაფერმა კი გაზარდა ქვეყნის ზეგავლენა, როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე ასევე აზიის ქვეყნებსა და ევროპაზე. რბილი ძალის რეალიზებისთვის თურქეთს აქვს მრავალმხრივი საქმიანი ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან. იგი თავისი ინტერესების განხორციელებისათვის აქტიურად იყენებს პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სახის საშუალებებს. ხოლო ბოლო ათწლეულების განმავლობაში თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ ხელი შეუწყო მისი რბილი ძალის პოლიტიკის სრულყოფას, რომელიც გააქტიურდა ისეთ ქვეყნებში, სადაც თავს იჩენს თურქული გეოპოლიტიკური ინტერესები. რბილი ძალის ეს ტალღა პირველ რიგში შეეხო ცენტრალური აზიის ქვეყნებს და კავკასიის რეგიონს, ასევე სამხრეთ ევროპის რიგ ქვეყნებს. მთავარი გარეპოლიტიკური ფაქტორი გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა და მათში თურქული ღირებულებების შეტანა. თურქეთი მუდმივად აწარმოებს მოლაპარაკებებს რეგიონის ქვეყნებთან და გამოდის ინიციატივით, რათა მოხდეს სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება, ენისა და კულტურის შემსწავლელი ცენტრებისა და ორგანიზაციების გახსნა, რეგიონში საერთაშორისო უნივერსიტეტებისა და სკოლების დაარსება. ეს ყველაფერი კი აშკარად მინიშნებს თურქული ღირებულებების გაზრდის მცდელობაზე. თურქეთის რბილი ძალა

ხასიათდება ეროვნული იდენტიფიცირების ღირებულებების სიძლიერით (კულტურა, რელიგია, ენა, ტრადიციები დ.ა.შ.) და ადამიანური რესურსით, ანუ სწრაფად ზრდადი მოსახლეობით. ეს უკანასკნელი კი, რიგ შემთხვევაში საფრთხის შემცველია ევროპის პატარა სახელმწიფოებისთვის, რომელთაც ახასიათებთ დემოგრაფიული გამოწვევები. ევროპაში გაზრდილმა თურქი მიგრანტების რაოდენობამ საგრძნობლად შეარყია ევროპული ღირებულებები. ევროპელი ავტორები ღიად საუბრობენ, რომ თურქეთის ევროკავშირთან ინტეგრაციით გაიზარდა თურქული ღირებულებებისადმი ინტერესი და სწრაფვა, რაც ამავდროულად უარყოფითად აისახება თვით ევროპულ ღირებულებებზე, რადგან ხშირ შემთხვევაში ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს წარმოადგენენ, განსაკუთრებით, რელიგიური კუთხით. თურქეთის დემოგრაფიულ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, მისი ევროკავშირში გაწევრიანება შეცვლის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ მდგომარეობას ევროპაში. თურქეთის მოსახლეობის რაოდენობა არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ევროკავშირში გაწევრიანება დღემდე ვერ მოხერხდა [Зубкова, 2005].

„თურქეთის დაბადება, როგორც რბილი ძალის პოლიტიკის ახალი აქტორი“- ამ სიტყვებით ახასიათებს მას რუსი ავტორი ელიზავეტა სოფონკინა, რომელიც საუბრობს თურქული რბილი ძალის პოლიტიკის გაძლიერებაზე აზიისა და კავკასიის რეგიონში. სტრატეგია „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“ არის თურქული რბილი ძალის პოლიტიკის საყრდენი ამ სახელმწიფოებში. თურქეთი ხშირად გამოდის იმ იდეით, რომ მეზობელი სახელმწიფოები მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართული რეგიონალურ და საერთაშორისო პროექტებში, უნდა მოხდეს ურთიერთობების უფრო მეტად დათბობა და სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება. თურქეთის გავლენას ისიც ზრდის, რომ იგი არის უსაფრთხოების გარანტი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, როგორც ნატოს წევრი სახელმწიფო. განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენად ახასიათებს სოფონკინა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო სივრცეებში თურქეთის აქტიურობასა და ახალგაზრდობის ჩართულობას ამ პროცესებში, რომელიც წარმატებით ხორციელდება [Сафонкина, 2015:23].

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს გარშემო განვითარებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისმა (სამხედრო გადატრიალება, ეთნიკური კონფ-

ლიქტები, ეკონომიკური კრიზისები და ა.შ.) ხელი შეუწყო თურქული ზეგავლენის გაძლიერებას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სახელმწიფოს მხრიდან არასწორმა მიდგომამ რეგიონში გამოიწვია ეკონომიკური სიდუხჭირე, მნიშვნელოვანი კაპიტალის გადინება, უმუშევრობა, სოფლის მეურნეობაში გაჩენილი პრობლემები, ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობა, განათლების დაბალი ხარისხი და ა.შ, ეს ყოველივე კი გახდა თურქული რბილი ძალის გააქტიურების საფუძველი, რამაც გაზარდა მისი ზეგავლენის ხარისხი.

თავად თურქი ავტორების შეფასებით, თურქეთმა შეძლო რეგიონში სტაბილურობის ჩამოყალიბება და განმტკიცება. სამხრეთ კავკასიის შემთხვევაში, თურქეთმა სცადა რეგიონის რეკონსტრუქცია და იქ უსაფრთხოების გარანტიის შექმნა. თურქი ავტორის მერჰან კამარვას შეფასებით, „რბილი ძალის გამოყენება იყო და არის ინსტრუმენტი თურქეთისთვის, რათა დაამყაროს ურთიერთობები და შეაღწიოს სამეზობლოში“ [Kamrava, 2017:65]. იბრაჰიმ კალინის აზრით, თურქული რბილი ძალაუფლება კონცენტრირებულია, არა მხოლოდ გეოგრაფიულ კომპონენტში, არამედ ისტორიულ-კულტურულშიც. მან ფეხი მოიკიდა აზიის, კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთისა და ევროპის ქვეყნებში. ეს ყოველივე ახალ შესაძლებლობებს მატებს თურქეთს და მასთან ერთად მის მოკავშირე სტრატეგიულ პარტნიორებსაც, რომლებიც მეგობრულად არიან განწყობილნი თურქეთის მიმართ. განახლებული თურქეთის დიპლომატიის ამოცანაა ქვეყნის ღირებულებების მსოფლიოს მასშტაბით ფართო აუდიტორიისთვის წარდგენა და მათი მოზიდვა. თურქეთი ამ მიდგომით ახალ იდენტობას ქმნის, რომელსაც თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ღრმა გავლენა ექნება [Kalan, 2011:5-23].

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „რბილი ძალა“ ვლინდება მის კულტურულ ექსპანსიაში, კარგად დადგმულ თურქულ სერიალებში, სასწავლო დაწესებულებების, მათ შორის უნივერსიტეტების გახსნაში, რომელთა მიერ გამოშვებულ კადრებს უჩნდებათ ლოიალობის გრძნობა უცხო ქვეყნის მიმართ. 1990-იან წლებში ასეთი სასწავლებლები საქართველოშიც გაიხსნა.

რბილი ძალის განხორციელების ერთ-ერთ ხელშემწყობ მიმართულებად შეგვიძლია განვიხილოთ, აგრეთვე ლობიზმი, რომელიც გულისხმობს საკანონმდებლო ორგა-

ნოსა და სახელმწიფოს მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე ზეგავლენის მოხდენას, რაც მისი სადაზვერვო მიზნებით გამოყენების შესაძლებლობას კიდევ უფრო ამყარებს.

ლობისტური ჯგუფებისა და ლობიზმის გავლენის გაძლიერების ერთ-ერთ წინაპირობად ითვლება ქვეყანაში მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა, რითიც ფაქტობრივად იქმნება და ძლიერდება სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესთა გამტარებელი ჯგუფები. მოქალაქეობის მასიური მინიჭება განსაკუთრებით სახიფათოა საქართველოს მსგავს ქვეყნებში, რომლებიც ეთნიკური სიჭრელით ხასიათდებიან.

რბილი ძალის პოლიტიკა გარკვეულ კორელაციაშია ნეოსომონიზმის იდეოლოგიასთან. ნეოსმანიზმი წარმოგვიდგება როგორც სხვადასხვა იდეების და თეორიული შეხედულებების კონცეპტუალური კონგლომერატი, რომლის უპირველესი მიზანიც გავლენის სფეროს გავრცობაა. თურქული საზოგადოების მმართველი წრეები ყოველთვის ცდილობდნენ თავიანთი მოქალაქეების ცნობიერებაში გაეერთიანებინათ ისლამი და ნაციონალიზმი. ასეთი „გაორება“ ეწინააღმდეგებოდა ისლამის ძირითად კონცეფციას, რომლის მიხედვითაც „ნაციონალურის“ გაგებას გადამწყვეტი როლი არ ენიჭებოდა. „მოქალაქეების პოლიტიკური ცნობიერების გაორება, ერთი მხრივ, იწვევდა პანთურქიზმის იდეოლოგიისაკენ პერიოდულ დაბრუნებას (ყველა თურქულენოვანი ხალხების გაერთიანებისაკენ სახელმწიფოში სახელწოდებით, - „დიდი თურანი“), მეორე მხრივ, ისლამის ღირებულებებთან დაბრუნების პერიოდულ მცდელობებს [Надин-Раевский, 2012].

ოსმანიზმის კონცეფციის განახლებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი გეოპოლიტიკური წესრიგი. აშშ-თვის შემცირდა თურქეთის, როგორც ახლო აღმოსავლეთში მთავარი მოკავშირის მნიშვნელობა, რომელიც რეგიონში საბჭოთა კავშირის გავლენის გაზრდას ეწინააღმდეგებოდა. თურქეთმა დაიწყო რეგიონში თავისი ახალი იდენტობის ძიება და შეეცადა ნეოსმანიზმი გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად ექცია. რიგი სპეციალისტები თვლიან, რომ ნეოსმანიზმი, როგორც გეოპოლიტიკური სტრატეგია, გარედან - აშშ-ს გეოპოლიტიკური მოაზროვნების მიერ ხელოვნურად თავს მოხვეული კონცეფციაა. სწორედ ამერიკელები ხედავენ თურქეთს როგორც ნეოსმანურ სახელმწიფოს. „ნეოსმანიზმი, ამ შემთხვევაში, ასოცირდება ახალ პროამერიკულ მიმართულებად თურქეთის საგა-

რეო პოლიტიკაში, რომელიც განსაკუთრებით გამოიკვეთა ხელისუფლებაში ბარაკ ობამას მოსვლის პერიოდიდან. ეს მიმართულება არის აშშ-ს მიდგომის ასახვა თურქეთის როლისადმი რეგიონში“ [Шкира, 2014].

თურქეთის ამბიციური პროექტი, როგორც თურქული სამყაროს გულისა, პანთურქიზმის თავისებურ ინსტიტუციონალიზაციას ითვალისწინებდა. XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში შეინიშნება პანთურქიზმის თანადათანობითი ტრანსპორმაცია ნეოპანთურქიზმში. თურქეთის ხელმძღვანელობა გამოდიოდა სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების და ფორუმების ინიციატორად თურქულენოვანი სახელმწიფოების მონაწილეობით. პირველი ასეთი ფორუმი გაიმართა 1992 წელს. XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისისათვის ნეოპანთურქიზმი სერიოზულ კონკურენციას უწევს ნეოსმანიზმს.

განსხვავება ამ ორ იდეოლოგიურ მიმდინარეობას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ნეოპანთურქიზმი თურქეთის მიერ განიხილება, როგორც ინსტრუმენტი ცენტრალური აზიის, რუსეთის და კავკასიის თურქულენოვანი მოსახლეობის საკუთარ ორბიტაში მოქცევისათვის მაშინ, როდესაც ნეოსმანიზმი პოლიკულტურული საზოგადოების თავისებური იდეოლოგიური საფუძველია, რომელიც არათურქულ საზოგადოებებსაც მოიცავს.

სწორედ ამ კონტექსტში უნდა განიხილებოდეს თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები და მისი შედეგები ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში, სადაც რბილი ძალის გამოყენება ყველაზე უფრო ეფექტურად ხდება.

## § 2. 1992 წლის ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან თურქეთის ხელმძღვანელობისაგან დღის წესრიგში დაისვა თანამშრომლობისა და რეგიონული ინტეგრაციის სხვადასხვა ინიციატივა, მათ შორის ყველაზე საყურადღებო იყო პრეზიდენტ თურგუთ ოზალის ინიციატივა „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ (BSEC) შექმნის შესახებ [მაჩიტაძე, 2015:34].

1992 წლის 25 ივნისს შავი ზღვის აუზის 11 ქვეყნის: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა (სერბეთი შეუერთდა 2004 წლიდან) სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურებმა, ევროპაში მიმდინარე მოვლენათა სწრაფი ცვლილებების გათვალისწინებით, ბოსფორის განცხადების მიღებითა და სტამბოლის დეკლარაციის ხელმოწერით საფუძველი ჩაუყარეს შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობას (BSEC), რასაც საფუძველად დაედო ჰელსინკის დასკვნით აქტში, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მიერ მიღებულ დოკუმენტებში და საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები.

ამ ორგანიზაციის მიზანია ეკონომიკური საკითხების გვერდის ავლით რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარება. მისი დაფუძნების პერიოდისათვის თურქეთის პრემიერის თანსუ ჩილერის შეხედულებით, რეგიონში ძალთა გადანაწილება შემდეგი მიმართულებით უნდა წასულიყო: „ამ რეგიონში დღეს არსებული ვაკუუმი უნდა შეავსოს თურქეთმა ან ირანმა, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი დაიბრუნებს თავის ძველ პოზიციებს. თუ ამ სივრცეს თურქეთი შეავსებს, იგი შეძლებს შეასრულოს რეგიონსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელი ხიდის როლი და ხელი შეუწყოს აქ პროგრესული სახელმწიფოებისათვის შესაფერისი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. თუ მოხდება პირიქით და აქ ირანი დაისადგურებს, რეგიონში კიდევ უფრო დაიძაბება ურთიერთობა. ეს მარტო თურქეთის პრობლემა არ არის. ამის თაობაზე უკვე მივალწიეთ შეხედულებათა ერთიანობას „მსოფლიო ბანკთან.“ დღემდე ჩვენ არ დაგვიბანდებია კაპიტალი ამ რეგიონში, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა თ. ჩილერმა, – თუ აქ



ავაგებთ აეროპორტებსა და ნავსადგურებს, მათ ამერიკელები და სხვა ქვეყნებიც გამოიყენებენ და შესაბამისად, ასეთი პროექტის განხორციელება მარტო თურქეთის ინტერესებს არ შეესაბამება. მაშასადამე, მათი რეალიზაციის სიმძიმე მარტო თურქეთს არ დააწვება ტვირთად, ამას თითქმის მთელი მსოფლიო დააფინანსებს, მსოფლიო ბანკი უკვე ელოდება ჩვენგან პროექტებს ინფრასტრუქტურის განვითარების თაობაზე. ამერიკის და თურქეთის „ექსიმბანკი“ უკვე ამუშავებენ ერთობლივი დაზღვევის საგარანტიო ღონისძიებებს თურქული ფირმების მიერ ამ რეგიონში განსახორციელებელი საექსპორტო ოპერაციების დაფინანსების დასაცავად“ [პოლიტიკა, 1993:19].

ზემოაღნიშნულთან ერთად, ორმხრივი ურთიერთობების თვალსაზრისით, საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1992 წელს თურქეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულება. თურქეთის რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც თბილისის სამოქალაქო ომამდე ერთი კვირით ადრე, 1991 წლის 16 დეკემბერს ოფიციალურად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. დიპლომატიურ ურთიერთობებს კი საფუძველი ჩაეყარა 1992 წლის 21 მაისს. ამასთან დაკავშირებით 1992 წლის 21 მაისს ოფიციალური ვიზიტით საქართველოში ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიქმეთ ჩეთინი (1991-1994), რომელსაც აეროპორტში დახვდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე და სხვა ოფიციალური პირები ჟურნალისტებთან ერთად. მაშინ თბილისში მყოფმა მინისტრმა საქვეყნოდ განაცხადა: “ვამაყობ იმით, რომ წილად მხვდა პატივი ხელი მოვაწერო დოკუმენტს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ” [კომახიძე, 1994:31].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველი ოფიციალური ვიზიტის დროს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჰიქმეთ ჩეთინისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრისას, განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საკითხები. ამ შეხვედრის ლოგიკური გაგრძელება იყო უმაღლესი დონის დელეგაციის სტუმრობა თბილისში. 1992 წლის ივლისის ბოლოს საქართველოში ჩამოვიდა თურქეთის მთავრობის ოფიციალური დელეგაცია პრემიერ-მინისტრ სულეიმან

დემირელის მეთაურობით. ვიზიტისას მას ახლდნენ ჰიქმეთ ჩეთინი, ჯავით ჩაღდარი – სახელმწიფო მინისტრი და თურქეთის ეროვნული მეჯლისის დეპუტატები.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა, როდესაც საქართველოს მიწაზე დადგა ფეხი, პირველი სიტყვა „გამარჯობა“ ქართულად წარმოსთქვა. სიტყვით გამოსვლისას მან განაცხადა: „ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ჩამოვედი, რათა განვიხილოთ ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის ფართო თანამშრომლობის გზები. საქართველო დემოკრატიის გზას ადგას, ეს ძნელი გზაა, მაგრამ არ უნდა მივეცეთ პესიმიზმს. წინ კიდევ მრავალი დაბრკოლება გაქვთ. დარწმუნებული ვარ, თქვენ მას დაძლევეთ. აღგიქვამთ, რომ თურქეთი ყოველთვის თავისი მეზობლის გვერდით იქნება. ჩვენ ერთი საზღვარი, ერთი ზღვა, ერთი ინტერესი გვაქვს. ჩვენი გზა, მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თანამშრომლობის გზაა“ **[საქართველოს რესპუბლიკა, №143, 31.07.1992]**.

ედუარდ შევარდნაძემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ასეთი რანგის ვიზიტი მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. აღნიშნა თურქეთის როლის ზრდა, განაცხადა, რომ თურქეთი დიდი სახელმწიფოა თავისი ინტელექტუალური პოტენციალით და განსაკუთრებით მისი დიდი მომავლით. ისაუბრა ჰელსინკის ისტორიულ აქტზეც, რომლის ერთ – ერთი ავტორი სულეიმან დემირელი გახლდათ და ამ აქტის სამშვიდობო მნიშვნელობაზე მსოფლიოში. ყოველივე ეს კი მიგვანიშნებს თურქეთის ახალ როლზე. პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა კავკასიაში არსებულ მძიმე ვითარებაზე და აღნიშნა: „კავკასია ერთ – ერთი ყველაზე რთული, ალბათ ჩვენს პლანეტაზე დღეს ასეთი მდგომარეობის გამო, ფეთქებადი რეგიონი გახდა. ჩვენ მივესალმებით თურქეთის მშვიდობის მოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც თურქეთის მთავრობა და ხელისუფლება ახორციელებს **[მაკარაძე, 1995:152]**.

მოლაპარაკებების დროს განიხილეს ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის საკითხები. 30 ივლისს კი ხელი მოეწერა ხელშეკრულებას “საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ”, რომელმაც ორი ქვეყნის ურთიერთობების სამართლებრივ ბაზად იქცა **[Demirağ, 2005:**

128]. ამ ხელშეკრულების მიხედვით ორივე ქვეყანა აღიარებდა ერთმანეთის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ურღვევობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას და გამოთქვამდნენ თანამშრომლობის გაღრმავების სურვილს. სანამ ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს ხელი მოეწერებოდა, მანამ ამ ორი სახელმწიფოს მმართველებს შორის გაიმართა საუბრები ჯერ, სტამბოლში შავი ზღვისპირეთის ქვეყნების სახელწიფოთა და მთავრობათა მეთაურების თავყრილობაზე, შემდეგ კი ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში.

ხელშეკრულება შედგება თხუთმეტი მუხლისაგან. მასში ჩადებული პრინციპის თანახმად, ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა უნდა ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი პრინციპების საფუძველზე. ხელშეკრულებას წინ უძღვის პრემბულა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკა და თურქეთის რესპუბლიკა პატივს მიაგებენ ერთმანეთის სუვერენულ სტატუსს და დაეყრდნობიან დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვეობის, ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს. სახელმწიფოები დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს, დაწყებული ყარსის 1921 წლის 13 ოქტომბრის შეთანხმებით. თუმცა, აქვე მითითებულია ასევე, რომ მხარეები აღნიშნული შეთანხმების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და მათი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა და დღემდე არსებული პრაქტიკა არ ქმნის ხელშეკრულების ცალკეული მუხლების ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველს [ბარამიძე, 2018:18-19].

მხარეები შეთანხმდნენ, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა საერთაშორისო ნორმების საფუძველზე განეფართოვებინათ და “გაეფართოვებინათ ურთიერთობები პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტრანსპორტის, კულტურის, ინფორმაციის, ტურიზმის, სპორტისა და სხვა დარგებში” [მანჩხაშვილი, 2014:104].

ხელშეკრულებაში დეტალურად არის ჩამოყალიბებული ის პრინციპები, რომელზეც უნდა აიგოს თანამშრომლობა. მხარეები შეთანხმდნენ განეფართოვებინათ და გაეფართოვებინათ ურთიერთობები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, სამეცნიერო -

ტექნიკურ, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტრანსპორტის, კულტურის, ინფორმაციის, ტურიზმის, სპორტისა და სხვა დარგებში. ხელშეკრულებით ასევე გათვალისწინებულია ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის თანამშრომლობა, სამთავრობო და სხვა დელეგაციების გაცვლა, პირადი კონტაქტების დამყარება, უშუალო თანამშრომლობის განვითარება კულტურისა და ხელოვნების დარგში. თურქეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება ეხება მხოლოდ ამ ორ სახელმწიფოს, ის „არ არის მიმართული სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ და არ არღვევს ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს მესამე ქვეყნის მიმართ“ [მანჩხაშვილი, 2014].

ხელშეკრულება დაიდო ათი წლის ვადით. იგი გრძელდება შემდგომი ხუთი წლით, თუ რომელიმე მხარე აღნიშნული ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ამ ხელშეკრულების გარდა, ხელმოწერილი იქნა 6 მნიშვნელოვანი დოკუმენტი: „ხელშეკრულება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ“; „ხელშეკრულება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“; „ხელშეკრულება ინვესტიციების ურთიერთ წახალისებისა და დაცვის შესახებ“; „ხელშეკრულება საჰაერო მიმოსვლის შესახებ“; „ხელშეკრულება საერთაშორისო სატრანსპორტო მიმოსვლის შესახებ“ და „საზღვაო შეთანხმება“.

ს. დემირელი დაეთანხმა ე. შევარდნაძის სიტყვებს: „ეს არის დიდი მასშტაბის დოკუმენტები ორივე ქვეყნისათვის. ეს არის დასაწყისი იმ დიდი მუშაობისა, რაც ამ ხელშეკრულებებს მოჰყვება“ [კომახიძე, 1994:43].

1992 წლის 28 სექტემბერს თურქეთის ეროვნულმა მეჯლისმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის რატიფიკაციის თაობაზე. ანალოგიური დადგენილება მიიღო საქართველოს პარლამენტმა 1993 წლის 25 მარტს [მაკარაძე, 200:97].

ხელშეკრულების დადების შემდეგ თურქეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო. რის შესახებ თურქეთის რესპუბლიკაში პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნოდარ კომახიძე წერდა: „საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს დიდი პერსპექტივები აქვს. საქმე ეხება მჭიდრო, თანასწორუფ-

ლებიან, მზარდ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საქართველო თავისი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობით რეგიონის მნიშვნელოვანი ქვეყანაა და შეუძლია შეასრულოს ხიდის როლი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის“ [კომახიძე, 1994:63].

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ, თურქეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა აქტიურად ვითარდება და მრავალმხრივ ხასიათს ატარებს. 1992 წლიდან დღემდე, თურქეთ-საქართველოს შორის თანამშრომლობა სტრატეგიულ ხასიათს ატარებს, ორ ქვეყანას შორის არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა მოიცავს რამდენიმე ათეულ მოქმედ ხელშეკრულებას და სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში.

საქართველო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთთან თანამშრომლობას. ორ ქვეყანას შორის არსებული დინამიური და ნაყოფიერი ურთიერთობები ხელს უწყობს რეგიონულ მშვიდობასა და სტაბილურობას. მნიშვნელოვანია თურქეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში, ისევე როგორც მისი როლი სამხედრო აღმშენებლობის პროცესში. საგარეო უწყება მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავს თურქეთთან ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისათვის, განსაკუთრებით ვაჭრობის და ტრანსპორტის სფეროებში. სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკულ თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ ორი ქვეყნის, არამედ მთლიანად ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას.


1991 წლის დეკემბერში საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობით და 1992 წლის 30 ივლისს ხელმოწერილი „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულებით“, თურქეთ -საქართველოს შორის დაიწყო ურთიერთობათა სრულიად ახალი ეტაპი და გადაიზარდა სტრატეგიულ პარტნიორობაში.

### § 3. საქართველო-თურქეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები 90-იან წლებში

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველო, ისევე როგორც პრაქტიკულად ყველა პოსტკომუნისტური სახელმწიფო, ეკონომიკური რეფორმების მანამდე უცნობ გზას დაადგა. სამწუხაროდ, საქართველოსათვის, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ეს პროცესი განსაკუთრებულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ, უპირველეს ყოვლისა, არაეკონომიკური ფაქტორების გამო. საქართველომ გადაიტანა როგორც სამამულო, ასევე სამოქალაქო ომები, კრიმინოგენული ვითარების უკიდურესად გამწვავება, ენერგეტიკული და სატრანსპორტო ბლოკადები, რევოლუცია და ა.შ.

მაგრამ ეს მხოლოდ საწყისი ფაზა იყო პრობლემებისა, რომელსაც შეხვდა ახალგაზრდა სახელმწიფო - ეკონომიკური აქტივობა მრავალი სხვადასხვა მიზეზის გამო სარეკორდო მაჩვენებლებამდე შემცირდა, რაც მსოფლიოში იშვიათად მომხდარა მშვიდობიან დროს. მსოფლიო ბანკის დათვლით, ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავალი 1980-იანი წლების საუკეთესო დონის მიმართ 75 პროცენტით დავარდა; უმუშევრობამ 70-80 პროცენტს მიაღწია.

*მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ მოსახლეზე გადათვლით, 1990-2013 წწ.:*



რაც შეეხება თურქეთს. იგი აღარ კმაყოფილდება იყოს ენერგორესურსების მხოლოდ ტრანზიტორი ქვეყანა და მისი სტრატეგია მიმართულია იქითკენ, რომ მსოფლიო ენერგოპოლიტიკაში რესურსების გამანაწილებელ სერიოზულ მოთამაშედ იქცეს. რეგიონულ პოლიტიკაში საქართველომ თურქეთისათვის განსაკუთრებული როლი შეიძინა. სომხეთ-აზერბაიჯანის და სომხეთ-თურქეთის გართულებული ურთიერთობების ფონზე, საქართველო ერთადერთი კორიდორია, რომელიც თურქეთს კავკასიაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პარტნიორ - აზერბაიჯანთან და ცენტრალური აზიის თურქულენოვან ქვეყნებთან აკავშირებს. ანუ ბლოკირებული სომხეთის პირობებში სწორედ ის წარმოადგენს თურქეთისთვის უმოკლეს გზას კასპიის ზღვის ენერგორესურსებზე მისაწვდომად. გარდა ამისა, თურქული გეოპოლიტიკური ლოგიკის თანახმად, საქართველო უნდა გამხდარიყო ბუფერული ზონა თურქეთსა და რუსეთს შორის. ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო თურქეთისთვის საინტერესოა როგორც მცირე, თუმცა სტაბილური გასაღების ბაზარი საკუთარი პროდუქციისათვის. თავის მხრივ, საქართველო თურქეთს რუსეთის საპირწონედ და „ევროპის ფანჯრად“ განიხილავდა [Aras, 2011:53-68]. საქართველოს მიაჩნდა, რომ თურქეთი თავისებური გამტარი იქნებოდა ევროკავშირისა და ნატოში ინტეგრაციის გზაზე. გარდა ამისა საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის ხელშეწყობით, ცდილობდა კასპიის ნავთობპროდუქტების ტრანზიტის საკვანძო რგოლი გამხდარიყო. სწორედ ამ და სხვა საგარეო ფაქტორებმა განაპირობა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთი ფიქრობდა დიდი ეკონომიკური უპირატესობის მიღწევას. მან რუსეთს მისცა მილიარდ 150 მილიონი დოლარის კრედიტი. 90-იან წლებში 250 თურქული ფირმა მუშაობდა რუსულ ბაზარზე, განსაკუთრებით სამშენებლო ბიზნესში. აღსანიშნავია, რომ რუსეთთან ვაჭრობის მოცულობა იმხანად ხუთჯერ მეტი იყო შუა აზიის ქვეყნებთან ერთად აღებულ ანალოგიურ მაჩვენებელზე [Независимая газета, 1999, № 5]. 90-იანი წლებიდან თურქეთი პოზიციონირებს როგორც ევრაზიული ქვეყანა, რომელსაც მზარდი გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს. იგი აქტიურად ატარებს საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომელიც რეგიონული პოზიციების გასამყარებლად არის მიმართული. მეზობლობა ქვეყნებთან, სადაც ნავ-

თობისა და გაზის მსოფლიო რესურსების სამი მეოთხედია განლაგებული, მის პოლიტიკას დამატებით ელფერს ქენს.

საერთაშორისო არენაზე ახალი თურქულენოვანი, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი სახელმწიფოების გამოჩენა თურქეთში განიხილებოდა, როგორც საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების გაფართოების შესაძლებლობა. ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ ანკარის პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კავკასიის ხალხთა მრავალრიცხოვანი დიასპორები თურქეთში. ზოგიერთი მონაცემით, მათი რიცხოვნება განისაზღვრება 7 მილიონით. ამ დიასპორის წარმომადგენელთა შორის არიან მოქმედი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, პარლამენტის დეპუტატები, ჟურნალისტები და თურქეთის არმიის ოფიცრებიც კი. ანკარა ცდილობს მათ გამოყენებას კავკასიაში გავლენის გაზრდისათვის. ამავე დროს თურქეთის ხელისუფლება უცვლელად გამოდის კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიული ერთიანობის მომხრედ.

თურქეთი ობიექტურად დაინტერესებული იყო დამაბულობის შენარჩუნებით ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით ჩეჩნეთში, რადგან ეს ფაქტორი მას აძლევდა დამატებით არგუმენტაციას ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის რუსეთის გვერდის ავლით მშენებლობის სასარგებლოდ. ოფიციალური ანკარა ძალიან ფრთხილობდა ჩეჩნეთის საკითხში. 1995 წლის შემოდგომაზე თურქეთის მთავრობამ მოითხოვა ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანა და იქ მცირერიცხოვანი კონტიგენტის დატოვება. ამის არგუმენტი იყო ის, რომ თითქოს რუსეთი არღვევდა 1990 წლის შეთანხმებას ევროპაში შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ამის მიუხედავად, ანკარა ოფიციალურ დონეზე ყოველთვის გამოდიოდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობის მომხრედ, რაც არაა გასაკვირი, რადგან ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახით მას აქვს საკუთარი ჩეჩნეთი და რუსეთს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ამ კარტის გათამაშება, თანაც არც ისე წარუმატებლად. თუმცა, ობიექტურად, რუსეთს არ შეუძლია დაუშვას ამ კარტის გამოყენება, რადგან ქურთების კონფლიქტის მასშტაბის ზრდამ შეიძლება გამოიღოს გამოუსწორებელი ნეგატიური შედეგები კავკასია-ახლო აღმოსავლეთის რეგიონისათვის.

90-იანი წლების შუა ხანებში თურქეთმა ერთი მილიარდი სესხი გამოუყო ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს. რა თქმა უნდა, ამიერკავკასიაში ანკარა



თავიდანვე პრიორიტეტს აზერბაიჯანს ანიჭებდა. თავის მხრივ აზერბაიჯანი ავლენდა ღია ორიენტაციას თურქეთზე. უფრო მეტიც, პირველ ხანებში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ის ფსიქოლოგიურად მზად იყო გამხდარიყო თურქეთის უმცროსი პარტნიორი ამიერკავკასიაში. საინტერესოა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ა. ელჩიბეის ინტერვიუ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, 1992 წლის ივნისში: აზერბაიჯანს თურქეთთან ახლო, ნათესაური კავშირი გააჩნია. ჩვენი ხალხები ახლოს არიან ერთმანეთთან ერთ, კულტურით, მენტალობით და, რა თქმა უნდა, თურქეთს ექნება მთავარი ადგილი ჩვენს საგარეო პოლიტიკაში. ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან შენარჩუნდება, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ აზერბაიჯანის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის [Наумов, 1999]. იმავე 1992 წელს აზერბაიჯანის მიმართ სომხეთის აგრესიის პირობებში, სერიოზულად განიხილებოდა თურქეთის სამხედრო ინტერვენციის შესაძლებლობა. მიჩნეული იყო, რომ 1921 წლის ყარსის ხელშეკრულება თურქეთს აძლევდა უფლებას ჩარეულიყო კონფლიქტში ნახიჭევანის სტატუსთან დაკავშირებით [Oil & Gas, 11.03.1996]. თუმცა, ამაზე რუსეთს ჰქონდა მყისიერი რეაქცია. იქ განაცხადეს, რომ არ დაუშვებდნენ თურქეთის ჩარევას რეგიონის საქმეებში.

ურთიერთობების პირველი წლები შედარებით პასიური იყო, რაც იმით იყო განპირობებული, რომ თურქეთი აზერბაიჯანთან და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან დაახლოებით იყო დაინტერესებული, ხოლო საქართველოსთან ურთიერთობებში მისი, როგორც კორიდორის, სტაბილურობა აინტერესებდა. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან ქართულ-თურქული ურთიერთობები უფრო აქტიური ტემპებით განვითარდა, რასაც სტიმული საქართველოს დსთ-ში გაერთიანებამ მისცა. ეს კი პოტენციურად რეგიონში რუსეთის გაძლიერებას მოასწავებდა და ეჭვქვეშ აყენებდა თურქულენოვან სახელმწიფოებში „თურქული მოდელის“ განხორციელების შესაძლებლობას.

1993 წელს ტრასეკას პროექტის ფარგლებში საქართველომ გააფორმა ხელშეკრულება თურქეთთან ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს უმოკლესი სარკინიგზო მარშრუტის შექმნის თაობაზე. 1994 წელს შედგა შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი თურქეთში, რასაც მომდევნო წელს მოყვა პრემიერ თანსუ ჩილერის საპასუხო ვიზიტი. 1994 წლის მაისში დაიდო უკვე პირველი თურქულ-ქართული შეთანხმება ვაჭრობის შესახებ, თანამშრომლობა საბაჟო სფეროში.

საწყის ეტაპზე, 1991-1994 წლებში, ოფიციალური ანკარა ძალღონეს არ იშურებდა, რათა შეექმნა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით მაქსიმალურად ხელსაყრელი ნიადაგი. 1999 წლამდე კავკასიის ქვეყნებთან თურქეთის ურთიერთობის განმსაზღვრელ ძირითად საკითხებს მთიანი ყარაბაღის პრობლემა, ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის ნავთობსადენი და საქართველოს მდებარეობა წარმოადგენდა [თურქეთის საგარეო პოლიტიკა, 2013:189]. ყოველივე ამის გამო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კავკასიას და მათ შორის საქართველოს, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში.

1994 წელს თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა (1993-2000) ერთ-ერთ ქართველ ჟურნალისტთან საუბრისას განაცხადა: „თურქეთი ყოველთვის მხარს უჭერდა და იცავდა სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიული მთლიანობისა და ძალის გამოყენებით საერთაშორისო საზღვრების დაცვის პრინციპებს. რომლის პატივისცემა უმთავრესი კრიტერიუმი სტაბილურობის მისაღწევად კავკასიაში, რომელიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების სამშობლოა. ამავე დროს, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას. იმედია, ჩვენი ურთიერთობები შავ ზღვას მეგობრობისა და აღმავლობის ზღვად გადააქცევს“ [პოზიტი, 2008].

თურქულ-ქართული ურთიერთობები უფრო აქტიურ ფაზაში 1996 წლის შემდეგ შევიდა, რაც დაკავშირებულია სწორედ სულეიმან დემირელის სახელთან. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი მხარეთა შორის ვაჭრობას, რომელიც 1990-იან წლებში უკვე არსებითი ხასიათის იყო და თურქეთი 1995 წელს საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი გახდა მთლიანი ვაჭრობის მოცულობის 20 პროცენტამდე დონით. 1990-იან წლებში მთლიან უცხოურ ბრუნვაში მისი 15 პროცენტის წილი შენარჩუნდა მომდევნო დეკადების განმავლობაშიც, რაც ორჯერა აღემატებოდა საქართველოს მეორე ყველაზე მთავარ სავაჭრო პარტნიორთან - უკრაინასთან ვაჭრობის წილს.

მომავალი ორი დეკადის განმავლობაში 1995 წლიდან თურქულ-ქართული ვაჭრობა საშუალოდ საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 15 პროცენტს აღწევდა და 2016 წლისათვის 2 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. თურქულმა მხარემ 1


მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი ინვესტიცია განათავსა ქართულ ეკონომიკაში [ჯანდიერი, 2016:10].

თურქეთის მაშინდელმა ხელისუფლებმა ბევრი ნაბიჯი გადადგა იმისთვის, რომ საქართველო-თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ინტენსიურად განვითარებულიყო. ხელი მოეწერა 76 ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებას ვაჭრობის თავისუფლების, ვიზების ფასილიტაციის და გაუქმების, საბაჟო და გადასახადების, საზღვრის გადაკვეთის პროცედურების, ბუნებრივი გაზის და ნავთობის მილსადენების, მაღალი ძაბვის ელექტროენერჯის გადამცემი ხაზების და რკინიგზის ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ და სხვ. შაკ-დენიზის ბუნებრივი გაზის მილსადენმა საქართველოს საშუალება მისცა მისი ენერჯის მომარაგების დივერსიფიკაციის და რუსულ წყაროებზე დამოკიდებულების გაუქმებისთვის. თურქულმა კომპანია TAV-მა ძალიან ეფექტიანი კონტრიბუცია გააკეთა ორი ქართული აეროპორტის რეკონსტრუქციაში თბილისსა და ბათუმში, რომლებიც გადაიქცნენ მცირე, მაგრამ ეფექტიან მრავალ ევროპულ და აზიურ აეროპორტთან დაკავშირებულ სატრანსპორტო ჰაზად, რამაც საქართველოში მოგზაურობა გაცილებით უფრო კომფორტული გახადა, ვიდრე მანამდე იყო. მრავალი თურქი მოქალაქე იყენებს ბათუმის აეროპორტს სამოგზაუროდ, თუ ისინი საზღვართან ახლოს, ჰოვას რეგიონში ცხოვრობენ [ჯანდიერი, 2016:5].

*საქართველოს საგარეო ვაჭრობა 1995-2000 წლებში, USD 1,000; საქსტატი.*

ქვეყნები:	1995	1996	1997	1998	1999	2000
გერმანია	22,086	38,587	52,454	96,576	75,768	89,518
იტალია	12,819	40,481	48,482	39,311	31,587	32,884
გაერთიანებული სამეფო	15,446	42,989	47,233	63,984	27,259	33,728
სომხეთი	29,737	38,515	41,087	28,103	27,710	27,176
აზერბაიჯანი	61,986	103,915	140,936	92,280	89,461	75,997
რუსეთი	97,957	184,977	194,184	180,065	152,246	160,334
თურქმენეთი	47,790	18,095	19,688	11,015	40,691	23,919
უკრაინა	13,792	44,461	64,184	37,353	40,711	46,347
შვეიცარია	8,516	18,076	23,025	37,967	17,551	36,444
თურქეთი	127,142	108,301	159,252	119,687	116,762	185,889
აშშ	43,932	60,506	106,757	91,811	89,636	76,706

*საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მასში  
თურქეთის მნიშვნელოვან როლი (საქსტატი, 1,000 აშშ \$).*



ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ საქართველომ თურქეთისთვის რეგიონის ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში პრიორიტეტული მნიშვნელობა მოიპოვა. ჯერ კიდევ 1999 წელს ეუთოს სტამბოლოს სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს, როგორც ტრანზიტული სახელმწიფოს, მსხვილ პროექტებში ჩართვის შესახებ. თურქეთის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს მნიშვნელობაზე პრემიერ-მინისტრმა მ. ილმაზმა 1998 წელს საქართველოში ოფიციალური ვიზიტისას განაცხადა, რომ საქართველო ის სახელმწიფოა, რომელთანაც თურქეთს საერთო ინტერესები აქვს და ის მზად არის საქართველოსთან ყველა სფეროში თანამშრომლობისთვის.

სწორედ 1998 წელს (29 ოქტომბერს) დაიწყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელება, როდესაც ანკარაში ხელი მოეწერა დეკლარაციას. ხელმომწერები იყვნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ყაზახათის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი და უზბეკეთის პრეზიდენტი ის-

ლამ ქარიმოვი, აშშ-ის ენერჯეტიკის მინისტრის ბილ რიჩარდსონის თანდასწრებით. ნავთობსადენის მშენებლობას სათავე დაედო 2002 წლის 18 სექტემბერს, როდესაც ჰეიდარ ალიევმა, ედუარდ შევარდნაძემ და აჰმეთ ნეჯდეთ სეზერმა ჩაყარეს ქვები მილის ფუნდამენტში.

90-იან წლებში თურქეთის სავაჭრო ბრუნვა საქართველოსთან გაიზარდა რამდენჯერმე და გადააჭარბა აქ რუსეთის წილს. საქართველოსა და თურქეთს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის გაფართოებისა და გამყარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 1999 წელს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტმა ანკარაში პრეზიდენტ შევარდნაძის მეთაურობით.

1995 წლიდან საქართველოში ეკონომიკური სტაბილიზაციის შემდეგ ორ ქვეყანას შორის განვითარდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. თურქეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტები და სამშენებლო მასალები, ხოლო საქართველოდან გაჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ფოლადის პროდუქცია. მაგალითისათვის გეტყვით, რომ საქართველოში თურქეთის ექსპორტის საერთო ღირებულებამ 1998 წლის იანვრიდან ივლისამდე, დაახლოებით 98 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო იმავე პერიოდში თურქეთის იმპორტმა საქართველოდან 50 მილიონი დოლარი.

ოფიციალური მონაცემებით, 90-იანი წლებიდან 2000 წლისათვის საქართველოში მოქმედებდა კვების მრეწველობის 45 თურქული ფირმა, კომუნიკაციების, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვა სფეროებში. საქართველოში შექმნილი სიძნელეების გამო, 90-იანი წლების დასაწყისში ზამთრის პერიოდში, საქართველო თურქეთიდან იღებდა დაახლოებით 250-300 მილიონ კილოვატ ელექტროენერგიას, რომელსაც საქართველოს მთავრობა უბრუნებდა შეთანხმების საფუძველზე ზაფხულის თვეებში [სვანიძე, 2017:547].

განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება თურქეთთან სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა, რაც ოფიციალურად დაიწყო 1996 წლის 4 აპრილს, როცა საქართველოს და თურქეთის პირველმა პირებმა - შევარდნაძემ და დემირელმა 10-მდე ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი [Аршакян, 2015:123]. ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სამხედრო სფეროში თურქეთ-საქართველოს ურ-

თიერთობები მრავალი ასპექტით ვითარდება, რაც გამოიხატება მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებაში, კადრების მომზადებაში და სხვა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რეფორმა, კოსოვოში თურქეთის სამშვიდობო ბატალიონში ქართული ოცეულის მონაწილეობა, ასევე მნიშვნელოვანია თურქეთის საგრანტო პროგრამა საქართველოსათვის სამხედრო სფეროში და მისი მხარდაჭერა ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე და სხვა. ამ მხრივ აღსანიშნავია, ასევე, ორ ქვეყანას შორის გაფორმებული მემორანდუმი თანამშრომლობისა ურთიერთგაგების შესახებ სამხედრო სფეროში (1998 წელს). მასში დაფიქსირებულია იდეა სტრატეგიული სამხედრო პარტნიორობისა თბილისსა და ანკარას შორის. ეს დოკუმენტი ითვალისწინებდა საქართველოს დახმარებას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოსაწყობად და შეიარაღებული ძალების კადრების მომზადების საქმეში. 1998 წელს საქართველოს ეწვია თურქეთის წარმომადგენლობითი სამხედრო დელეგაცია, რასაც მოჰყვა ხუთ ნახევარ მილიონი დოლარის გამოყოფა სამხედრო ობიექტების შესაკეთებლად და საქართველოს სამხედრო აკადემიის სამხედრო სწავლების ცენტრის მოსაწყობად [Гаджиев, 2001:463]. იმავე წელს თურქეთმა საქართველოს გადმოსცა სამხედრო კატერი, რომელიც გამოიყენებოდა სანაპირო დაცვისათვის. გაიზარდა ერთობლივი სამხედრო წვრთნების რაოდენობაც. ანკარამ აიღო გორის პოლიგონის მოდერნიზაციის დაფინანსების, თურქეთის უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო კადრების მომზადებისა და სხვა სამხედრო ობიექტების მშენებლობის ვალდებულება. გარდა ამისა, თურქეთმა ნატოს პროგრამის ფარგლებში დაიწყო ქართველი სამხედროების გაწვრთნა. ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას ხელი შეუწყო აგრეთვე 1999 წლის შეთანხმებამ, რომლის თაობაზეც პრეზიდენტმა შევარდნაძემ ქართულ-თურქული სამხედრო ურთიერთობები შეაფასა როგორც სტრატეგიული პარტნიორობა [Uslu, 2003:164-187].

აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, ანკარამ თბილისს 1,125 მილიონი დოლარი გამოუყო თურქი სპეციალისტების დახმარებით მარნეულში სამხედრო აეროდრომის რეკონსტრუქციისთვის. სანაცვლოდ თურქეთმა მიიღო 5 წლით ამ აეროპორტის უსასყიდლოდ გამოყენების უფლება. ურთიერთობების ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთნდობის ზრდის და დაახლოების ეტაპად. საქართველო თურქეთთან

ურთიერთობებს დასავლეთთან თანამშრომლობის გაფართოების ტოლფასად აღიქვამდა, ხოლო თურქეთთან საზღვარს ნატოსთან საზღვრად განიხილავდა. თავის მხრივ, თურქეთი ამ ურთიერთობებს გავლენის ზრდის და რეგიონში საკუთარი პოლიტიკის ჭრილში იხილავდა.

თურქულმა მხარემ საქართველოს საზღვრების კონტროლისათვის გადასცა საპატრულო კატარღები. თურქი ინსტრუქტორების დახმარებით მომზადდა კოჯრის სპეციალური დანიშნულების სამხედრო ბრიგადა, შეკეთდა და უახლესი ტექნიკით აღიჭურვა რამდენიმე სამხედრო ბაზა.

თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო და პოლიტიკური ელიტის მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში გადადგმულ ესოდენ მნიშვნელოვან ნაბიჯებს, წმინდა სავაჭრო - ეკონომიკური შინაარსის ღონისძიებები მოჰყვა, კერძოდ: ავიაკომპანია „თურქეთის ავიახაზებმა“ სტამბოლისა და ანკარის მეშვეობით დააკავშირა თბილისი დასავლეთ ევროპული სივრცის ქვეყნებთან და აქტიურად შეუდგა ეკონომიკურ საქმიანობას აღნიშნული რეგიონის ქვეყნებში.

ამის შემდეგ თურქეთის ხელისუფლების ეკონომიკური დატვირთვის მქონე მორიგ ინიციატივას, რომელიც აგრეთვე მიმართული იყო ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ, წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის რეგიონში „თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს“ (TIKA) დაარსება, რომლის მეშვეობითაც თურქეთმა ფაქტობრივად გზა გაუხსნა თურქ ბიზნესმენებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს პოსტ - საბჭოურ სივრცეში მცირე და მსხვილი ინვესტიციების განსახორციელებლად.

TIKA - ს წარმომადგენლობა ხელს უწყობდა ამა თუ იმ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ, მეტად მტკივნეული პროცესის დაძლევაში, ამასთანავე მან საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური ხასიათის პროექტების განხორციელებას (მაგალითად, იმერეთის მხარის სოციალ-ეკონომიკური აღორძინება, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ლტოლვილებისათვის ასი საცხოვრებელი სახლის აშენება, ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის ქვეყნებში ძველი ისტორიული ძეგლების აღდგენა და ა. შ.).

თურქული რბილი ძალის პოლიტიკის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ მისი ურთიერთობები დე ფაქტო აფხაზეთთან. მართალია თურქეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებს კავშირს აფხაზეთთან. ეს გარემოება ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ თურქეთი ნებისმერი საშუალებით ცდილობს საკუთარი ინტერესების გატარებას და რეგიონზე ზეგავლენის არეალის გაფართოებას. თურქეთი არასამთავრობო დონეზე მჭიდროდ თანამშრომლობს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ დონეზე.

დღეს თურქეთში იმაზე მეტი წარმოშობით ეთნიკურად აფხაზი ცხოვრობს ვიდრე თავად აფხაზეთში. შესაბამისად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა და გახშირდა აფხაზური დიასპორის საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი - ისევე როგორც გაეროს 188 წევრი ქვეყანა არ აღიარებს აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამიტომ, ანკარასა და სოხუმს შორის ოფიციალური ურთიერთობა არ არსებობს. თუმცა, თურქეთის აფხაზური დიასპორის მოძრაობები, თურქეთის მთავრობისთვის ლობისტური ორგანიზაციების როლს ასრულებენ. შესაბამისად შესაძლებელია მათი მრავალმხრივი გამოყენება, მაგალითად, თურქეთის სამთავრობო წრეებისკენ არაფორმალურ, საკომუნიკაციო, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ მიმართულებებით.

აფხაზეთის საერთაშორისო იზოლაციის მიუხედავად, თურქეთის ურთიერთობა აფხაზეთთან დიასპორის საშუალებით არასდროს შეწყვეტილა. ეს ურთიერთობები, უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, შენარჩუნდა. 1994-1996 წლებში ტრაპზონსა და სოხუმს შორის ხალხის გადამყვანი რეგულარული საბორნე კავშირიც კი არსებობდა. ასევე გამოიყენებოდა საქართველოს ძირითად ნაწილზე გამავალი გზაც. 1996 წელს კი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) მიერ აფხაზეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს თურქეთიც შეუერთდა. თურქეთმა აფხაზეთთან სისტემატური საზღვაო და საბორნე კავშირი იმის გამო ვედარ შეინარჩუნა, რომ რუსეთის საზღვაო ძალები უკვე აფხაზეთის პორტებს ბლოკავდა.

1990-იანი წლებიდან აფხაზეთი თურქეთში ძირითადად ქვანახშირის, ხე-ტყისა და ჯართის ექსპორტს აწარმოებს, იქიდან კი სურსათის, სამშენებლო მასალის, საწვავის



და საზეთ-საპოხი საშუალებებისა და ტანსაცმლის იმპორტს ახდენს. ამის თვალსაჩინო მაგალითია სამთომომპოვებელი კომპანია 'Tkvarčal-ugol'. ეს თურქულ-აფხაზური ერთობლივი საწარმო ქვანახშირს ღია კარიერით მოიპოვებს და 2002 წლიდან მოყოლებული, აწარმოებს თურქეთში მის ექსპორტს. 'Tkvarčal-ugol' ტყვარჩელის რაიონში უმნიშვნელოვანესი კომპანიაა, ამ რაიონის საბიუჯეტო შემოსავლების დიდ ნაწილს ამ კომპანიის მიერ გადახდილი გადასახადები შეადგენს.

თუმცა ამ ორმხრივი ვაჭრობის მთლიანი მოცულობა უცნობია, არაზუსტი მონაცემები კი წელიწადში 80 მილიონი აშშ დოლარიდან 600 მილიონ აშშ დოლარამდე მერყეობს. აფხაზეთთან ვაჭრობაში მონაწილე თურქული კომპანიების უმეტესობა ან აფხაზურ დიასპორას ეკუთვნის, ან მასთან კავშირი აქვს. აფხაზური კომპანიებიც თურქეთთან საქმიანი კონტაქტების გაზრდამდე და ამ კონტაქტებისგან დამოუკიდებლად, თურქეთში არსებულ დიასპორასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ [სმოლნიკი, 2015].

აფხაზეთიდან მომავალი საქონელი მეტწილად გემის საშუალებით შავი ზღვის გავლით ჩადის თურქეთში. გემები ან პირდაპირ სოხუმიდან, ან სოხუმისკენ მოძრაობენ, ან კიდევ გზად რუსეთის ქალაქ სოჭში ჩერდებიან, რომელიც სატრანსპორტო დოკუმენტებში გაჩერების ოფიციალურ ადგილად არის მითითებული. მართალია, ანკარას აფხაზეთთან ვაჭრობა არალეგალურად მიაჩნია, მაგრამ ამ ვაჭრობას კატეგორიულად არ კრძალავს. საქართველოს მთავრობა კი გამეტებით ცდილობს ამ გაცვლა-გამოცვლისთვის ხელის შეშლას. 1999-2009 წლებს შორის პერიოდში ქართულმა საზღვაო პოლიციამ სამოცამდე გემი დააკავა, რომელთაც საქონელი აფხაზეთიდან თურქეთში ან საპირისპირო მიმართულებით გადაჰქონდათ. ეს თურქეთის მთავრობისთვისაც დელიკატური საკითხია, რაც ცხადყოფს, რომ თურქეთი, ოფიციალური განცხადების მიუხედავად, ბოლომდე არ იღებს მხედველობაში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. განსაკუთრებით დელიკატურია თურქი პარლამენტარებისა და ადგილობრივი პოლიტიკოსების კავშირები აფხაზეთთან. როცა აფხაზური დელეგაციები თურქეთს სტუმრობენ და თურქი პოლიტიკოსები (უპირატესად აფხაზური მოსახლეობის დიდი ნაწილით დასახლებული ისეთი რეგიონებიდან, როგორცაა ჩრდილო და-

სავლეთ თურქეთის პროვინცია საქარია) დე ფაქტო სახელმწიფოში ჩადიან, ეს, როგორც წესი, დიასპორული ორგანიზაციების შუამდგომლობითა და მოწვევით ხდება.

თურქეთი 1990-იანი წლების ბოლოს ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის მოლაპარაკებების ინიციატივითაც გამოვიდა. 1999 წლის ივნისის სტამბოლის შეთანხმების ფარგლებში კონფლიქტის ორივე მხარემ მზაობა გამოთქვა ნდობის აღდგენისკენ მიმართული ზომების მისაღებად: ტყვეების გაცვლა, რეციდივების UNOMIG-თან (United Nations Observer Mission in Georgia) თანამშრომლობით განხილვა, ლტოლვილთა უკან დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფების შექმნა, ზავით შეთანხმებული საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა. თუმცა, ამ მცდელობებს არსებითი პროგრესი არ მოჰყოლია.

მართალია, ანკარას კონფლიქტის ორივე მხარესთან აქვს ურთიერთობა, მაგრამ ამით ის კონფლიქტის მოგვარების საქმეში თავისთავად უფრო წარმატებული როდია. თურქეთის ურთიერთობა აფხაზეთთან ამ დე ფაქტო სახელმწიფოს იზოლაციას რამდენადმე არბილებს, თუმცა თბილისისა და სოხუმის უშუალო დაახლოებას, რაც ევროკავშირის ხსენებული სტრატეგიის მიზანიც გახლდათ, ვერც თურქულმა ძალისხმევამ მიაღწია [სმოლნიკი, 2015].

90-იან წლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა იგრძნობოდა მოსკოვსა და ანკარას შორის აფხაზეთთან დაკავშირებით, თუმცა მალევე მოგვარდა. 90-იანი წლების პირველ ნახევარში თურქეთის საგარეო მინისტრმა ჰიქმეთ ჩეთინმა განაცხადა, რომ თურქეთში აფხაზური ძირის მქონე მოქალაქეებთან ერთად ცხოვრობენ ქართული წარმოშობის მოქალაქეებიც და, შესაბამისად თურქეთი ვერ იქნება ცალმხრივი აფხაზეთთან მიმართებაში. მანვე განაცხადა, რომ ესაა საქართველოს საშინაო საქმე [Demirağ, 2005:132].

ის ფაქტი, რომ თურქეთსა და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონს შორის ასევე მრავალფეროვანი კავშირებია, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობას ერთგვარ ჩრდილს აყენებს. მაგრამ ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია თურქეთ-საქართველოს შორის ორივე მხარისთვის სასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავებისთვის.

## თავი III. საქართველო-თურქეთის ურთიერთობა

### თანამედროვე ეტაპზე (2003-2012)

#### § 1. ვარდების რევოლუცია და თურქეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპი

2002 წლიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკაში იწყება ცვლილებები, რის მიზეზიც ხელისუფლების შეცვლაა. ხელისუფლების სათავეში მოდის „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ (AKP - Adalet ve Kalkinma Partisi). ამ პოლიტიკური ძალის საგარეო სტრატეგია განსაზღვრა პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა და პრემიერ-მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ. ისინი თურქეთს საკუთარი გეოსტრატეგიული ინტერესების მქონე დამოუკიდებელ დიდ ძალად მიიჩნევენ. თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მიზანი გახდა მეგობრული სახელმწიფოების რკალის შექმნა მისი საზღვრების პერიმეტრზე, რაც თურქეთს დაუჯდა თავისი მოკავშირის, ვაშინგტონის განაწყნების ფასად. ამის მიზეზი კი ირანთან ურთიერთობების გადასინჯვა გახდა. 2008 წელს თურქეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა, ირანში ვიზიტისას, რომელიც იმ მომენტს დაემთხვა, როცა ოფიციალური თეირანი გარკვეული პირობებით დათანხმდა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წინადადებას გაიტანოს თავისი ურანი საზღვარგარეთ, ბრალი დასდო დასავლეთს „ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაში“ და ირანის მიმართ უსამართლო დამოკიდებულებაში.

ეს ახლებური პოლიტიკა ამ ქვეყნების ისტორიული და კულტურული მსგავსებების, ოსმალეთის მემკვიდრეობის, წინა პლანზე წამოწევას გულისხმობს. მისმა მოწინააღმდეგეებმა, ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ, პოლიტიკის ამ მიმართულებას „ნეოსმანიზმი“ დაარქვეს. აღნიშნულ პერიოდში, თურქეთი მეზობელ სახელმწიფოებთან, გარდა სომხეთისა, კვლავაც ინარჩუნებს მჭიდრო მეგობრულ და ეკონომიკურ ურთიერთობებს.

თუ მანამდე სამხრეთ კავკასია პრობლემებთან და არასტაბილურ მდგომარეობასთან ასოცირდებოდა, რომლისგანაც ყველა თავის შორს დაჭერას ცდილობდა, შემდეგ, მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, ახმედ დავუთოღლუს მიერ ჩამოყალი-

ბეზული გეგმით, ანკარა პრობლემების დანახვის მაგივრად, პრობლემების გადაწყვეტის სტრატეგიას გვთავაზობდა. ანკარას მიზანმიმართული საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის თანახმად, მას თავად სურდა ეზრუნა სამხრეთ კავკასიაში მეტი სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდის მისაღწევად [სმოლნიკი, 2015].

თურქეთის მიერ მომზადებულ რეგიონული თანამშრომლობის პროექტს დადებითად აფასებს დასავლეთი. 2005 წლის ოქტომბერში ბერლინში გაიმართა კიდევ კონფერენცია „შავი ზღვის ხედვა“, სადაც ბევრმა ევროპელმა ლიდერმა მის შემდგომ განვითარებას დაუჭირა მხარი.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა ახალ ფაზაში შევიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებაში, 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მოდის ახალი პოლიტიკური ძალა, მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით. თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა ეთანამშრომლა ახალ ხელისუფლებასთან. საქართველო იწყებს უკვე რუსეთის ზეგავლენისაგან თავის დახსნას, უახლოვდება დასავლეთსა და თურქეთს, რომელსაც რეგიონში დასავლეთის წარმომადგენლად მიიჩნევს. მ. სააკაშვილმა ეს ვითარება ასე შეაფასა: ადრე რუსეთი ჩვენთვის იყო მსოფლიოსაკენ გახსნილი ფანჯარა. ახლა ეს ფანჯარა თურქეთია. განსაკუთრებით ამ პერიოდიდან ჩანს, რომ პოლიტიკურმა ურთიერთობებმა სტრატეგიული პარტნიორობის დონეს მიაღწია.

საინტერესოა, რომ საქართველოს 2005 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში თურქეთი „ცენტრალურ რეგიონულ პარტნიორად“ მოიხსენიება ამ კონცეფციის 2011 წლის ვარიანტში კი ეს ფორმულირება შეიცვალა „რეგიონში საქართველოს მთავარი პარტნიორით“.

2000 წლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის 14 უმაღლესი დონის შეხვედრა მოეწყო, მათ შორის 6 პრეზიდენტების დონეზე. წელიწადში ორჯერ იმართება პოლიტიკური საკონსულტაციო შეხვედრები ორი ქვეყნის ოფიციალური პირების მონაწილეობით. თურქეთი ღიად აცხადებს, რომ სეპარატიზმთან დაკავშირებულ პრობლემებში იგი მხარს უჭერს საქართველოს მთლიანობას. 2005 წელს, აჭარის კრიზისის დროს, ასლან აბაშიძემ 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებაში აჭარის საკითხთან დაკავშირებით თურქეთი გარანტად დაასახელა, თურქეთის მთავრობის გამოგზავნილმა ჰარმონიზაციის

ჯგუფმა ცენტრალურ ხელისუფლებას დაუჭირა მხარი და ღიად დაადასტურა, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან მეგობრულ ურთიერთობას [თურქეთის საგარეო პოლიტიკა, 2013:299]. ანკარამ, მიუხედავად იმისა, რომ როგორც სააკაშვილთან, ისე აბაშიძესთან მას კარგი ურთიერთობა და ამ უკანასკნელის თხოვნაც ჰქონდა, უკანა რიგში დგომა ამჯობინა და რუსეთის მსგავსად არ უაქტიურია. ანკარის ეს პოზიტიური როლი და საქართველოს ერთიანობის აღიარება საგანგებოდ აღნიშნა საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა [Demirağ, 2005:141].

2004 წლის 22 მაისს ანკარას საქართველოს პრეზიდენტი ეწვია ოფიციალური ვიზიტით. სააკაშვილმა არსებული ურთიერთობის შენარჩუნებისა და გაღრმავების საჭიროებას გაუსვა ხაზი. ამას მოჰყვა პრემიერ ერდოღანის საპასუხო ვიზიტი იმავე წლის აგვისტოში. საქართველო-თურქეთის ურთიერთობა ახალ აქტიურ ფაზაში შევიდა.

2006 წელს რუსეთთან დაწყებული ენერგოკრიზისის დროს თურქეთმა ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის გზით მისაღები გაზიდან 800 მილიონი კუბამეტრი საქართველოს გადასცა, რითაც გარკვეული როლი ითამაშა ქვეყნის ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრაში.

2006 წლის მარტში საქართველოში ვიზიტად იმყოფებოდა თურქეთის პრეზიდენტი აჰმედ ნეჯდეთ სეზერი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა. თურქეთის პრეზიდენტმა მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს მთავრობის ინიციატივას ნატოში გაწევრიანების თაობაზე: „მხარს ვუჭერ საქართველოს ინიციატივას ევროა ტლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით და ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს საქართველოს მიერ ამ კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს“ [გაზ. „24 საათი“, 31.12.2006].

ბოლო წლებში, თურქეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია. 2004 წლისათვის სავაჭრო ბრუნვამ 300 მლნ. დოლარი შეადგინა. ხოლო, აქ ჩადებული თურქული კაპიტალის მოცულობა 100 მლნ. დოლარისა იყო. ამის ერთ-ერთი მიზეზი, თურქეთში სასურველი პროდუქციის ხელსაყრელ ფასად შემენა და უპრობლემო ტრანსპორტირება გახლავთ. თურქეთიდან საქართველოში ძირითადად სამშენებლო მასალის იმპორტი ხორციელდება, რაც გამოწვეულია შიდა ბაზრის მოთხოვნით. შემ-

დეგ მოდის ქალაქის ნაწარმი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ტანსაცმელი და სხვა პროდუქტები. საქართველოდან, როგორც 90-იან წლებში, ახალი საუკუნის დასაწყისშიც, ხდება შავი ლითონის, ფეროშენადნობების, ავტომობილების და ტრიკოტაჟის ნაწარმის ექსპორტი. 2012 წლიდან დაიწყო ხორბლის ექსპორტიც.

თურქულ-ქართულ ურთიერთობების გაღრმავებისათვის ეწყობა ფორუმები, მიმდინარეობს ინფორმაციის ინტენსიური გაცვლა.

მჭიდრო თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია 2006 წლის 10 თებერვალს ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გაუქმება. 2012 წლიდან კი, ორივე ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს საერთო საზღვრის გადასაკვეთად საერთაშორისო პასპორტის ქონაც კი აღარ სჭირდებათ, საამისოდ პირადობის მოწმობაც საკმარისია. ამასთან, საქართველომ 2007 წელს თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დადო. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელმაც ხელი შეუწყო ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას, იყო შეთანხმება შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადის გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ.

2006 წლის 14 მარტიდან ხელი მოეწერა საქართველოსა და თურქეთის მთავრობას შორის შეთანხმებას ბათუმის აეროპორტის ერთობლივი გამოყენების შესახებ.

2008 წლის ნოემბრიდან თურქეთ-საქართველოს შორის მოქმედებს თავისუფლად ვაჭრობის რეჟიმი. ამ წლის მონაცემებით ქვეყნებს შორის სავაჭრო მოცულობამ 1200 მლნ. დოლარი შეადგინა. ფუნქციონირებს ერთობლივი სამთავრობათშორისო ეკონომიკური კომისია და თურქულ-ქართული ბიზნესის საბჭო.

საქართველოსთვის ახალი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ნახვა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. რადგან, რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ახალი სანდო მეგობარი ჭირდებოდა ბაზარზე. თურქეთმა კი შეძლო სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორის პოზიციაზე რუსეთის ჩანაცვლება. „საქსტატის“ მონაცემებით 2011-2012 წლებში ყველაზე მეტი თურქული ინვესტიცია ტრანსპორტში და კავშირგაბმულობაშია, შემდეგ მოდის ენერგეტიკის სექტორი.

თურქეთიდან ყოველწლიური იმპორტის მთლიანი ღირებულება 2007 წლიდან - თურქეთ-საქართველოს-თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის წლიდან მოყოლებული - უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთიდან იმპორტირებული სა-

ქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება. დღესდღეობით თურქეთის ეკონომიკური გავლენა განსაკუთრებით დიდია აჭარაში, საქართველოში თურქული ინვესტიციების დიდი ნაწილი სწორედ ამ რეგიონს ხმარდება, ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესში. თურქულ კომპანიებს თურქეთთან გეოგრაფიული სიახლოვის გარდა, ბათუმის საერთაშორისო დონის ტურისტულ ცენტრად ქცევის მოლოდინი იზიდავს.

გარდა ეკონომიკური სფეროსა, თურქეთი ცდილობს პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებასაც. მას შემდეგ, რაც გადაიხედა სამხრეთ კავკასიის მიმართ თურქეთის საგარეო-პოლიტიკური კურსი და შეიცვალა მისი მიდგომები რეგიონთან, თურქეთი ახდენს საკუთარი ძალის დემონსტრირებას სამხრეთ კავკასიაში. ამ მხრივ, თურქეთის დიპლომატია აქტიურად მუშაობს ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში. ანკარამ, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს და საერთაშორისო საზოგადოებას რეგიონალური უსაფრთხოების საკითხების დარეგულირების ორი მოდელი შესთავაზა [მანჩხაშვილი, 2013].

პირველი შემოთავაზების შესახებ ჯერ კიდევ 2000 წლის 16 იანვარს განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა. ეს უსაფრთხოების მოდელი იყო „კავკასიის სტაბილურობის პაქტი“. მსგავსი იდეა ერთი წლით ადრე, 1999 წლის სტამბოლის სამიტზე წამოაყენა საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ედ. შევარდნაძემ. პაქტის იდეა მოიწონეს აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებმა. სომხეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა (1998-2008) პაქტის გაფორმებაც კი შესთავაზა საერთაშორისო საზოგადოებას: 3+3+2 ანუ პაქტის მონაწილეები უნდა ყოფილიყვნენ სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, სამხრეთ კავკასიის მოსაზღვრე სამი ქვეყანა-რუსეთი, თურქეთი, ირანი და ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები [მანჩხაშვილი, 2014:94].

2000 წელს, ევროპული პოლიტიკის შესწავლის ცენტრმა ბრიუსელში წამოაყენა „კავკასიის სტაბილურობის პაქტის“ ვარიანტი, რომელიც აქტიური განხილვის საგანი გახდა, მრავალწლიანი მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. რეგიონში მშვიდობის ერთობლივი ძალებით მიღწევა ვერ მოხერხდა, ამის მიზეზი კი რუსეთის ნეგატიური დამოკიდებულება იყო პაქტის მიმართ. რუსეთს არ აწყობდა რეგიონში ვითარე-

ბის შეცვლა, არ გააჩნდა სურვილი მისი ინტერესების სფეროში ჩარეულიყო მსოფლიო თანამეგობრობა და თურქეთი.

რეგიონში უსაფრთხოების საკითხის მეორე მოდელი თურქეთმა წამოაყენა 2008 წელს საქართველო - რუსეთის აგვისტოს ომის დროს. ამ პროექტის სახელწოდება იყო - „კავკასიის უსაფრთხოების პლატფორმა“. ინიციატივის შესახებ თურქეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა 2008 წლის 11 აგვისტოს მოსკოვში, პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან შეხვედრისას. ამ განცხადებას მოჰყვა სპეციალური ვიზიტები ბაქოსა და თბილისში და კონსულტაციები მხარეებთან [იქვე].

თურქეთის მიერ წარმოდგენილი ახალი გეგმების თანახმად, უსაფრთხოების პლატფორმის მონაწილედ მოისაზრებოდა ხუთი ქვეყანა: თურქეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი, 3+2 „ხუთეულის ფორმატით“. ერდოღანის განცხადებით, ალიანსის ფორმატით გამართულ მოლაპარაკებაში უნდა ჩართულიყო გაეროც, წინა პროექტისგან განსხვავებით, თურქეთის ახალ ინიციატივაში გამორიცხული იყო ირანი, ევროკავშირი და აშშ. ერდოღანის საქართველოში ვიზიტისას მიხეილ სააკაშვილმა დადებითად შეაფასა თურქეთის მცდელობა რეგიონში შეექმნა უსაფრთხოების საერთო მექანიზმები. მიუხედავად ამისა, ქართულმა მხარემ გააკეთა მინიშნება, რომ არ დაჟდებოდა მოლაპარაკების მაგიდასთან ოკუპანტ ქვეყანასთან, რომელსაც ტერიტორიის 20% აქვს დაკავებული. ამ გეგმამ უკმაყოფილება გამოიწვია იმ ქვეყნებშიც, რომლებიც ფორმატიდან გამორიცხულნი იყვნენ. კავკასიური უსაფრთხოების ფორმატიდან ირანის გამორიცხვა მიუღებელი იყო როგორც თვით ირანისათვის, ისევე სომხეთისათვის. ეს ინიციატივა არ იქნა მოწონებული აშშ და ევროპის სახელმწიფოების მიერაც. გარდა იმისა რომ საერთაშორისო საზოგადოებამ არ მოიწონა უსაფრთხოების მოდელის ეს ფორმატი, პროექტს ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა რუსეთმა, როდესაც 2008 წლის 26 აგვისტოს, საქართველოსთან ომის შემდეგ, აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. რის შემდეგ მოსკოვში განაცხადეს რომ ახლა სულ სხვა კავკასიასთან ჰქონდათ საქმე, რეგიონში უკვე ხუთი სახელმწიფოა [მანჩხაშვილი, 2013]. თურქეთის ეს ინიციატივა კი კავკასიის სამი სახელმწიფოს: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემას ემყარებოდა.



თურქეთის დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერც „კავკასიის სტაბილურობის პაქტი“ და ვერც „კავკასიური უსაფრთხოების პლატფორმა“ ვერ იქცა რეალური განხილვის საგნად. რადგან, რუსეთს სხვაგვარად ესმის უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში და ამავე დროს მის ინტერესთა სფეროში არ შედის რეგიონში სხვა ძალების გავლენის გაზრდა.

არსებობს მოსაზრება, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში შექმნილი უძრაობიდან და სომხეთ-თურქეთის დაახლოების წარუმატებლობიდან, სარგებლობს მესამე სამხრეთ კავკასიური სახელმწიფო საქართველო და არცთუ ისე უმნიშვნელოდ. საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგიაში, მართალია, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტი საფრთხედ განიხილება, რადგან მის ესკალაციას სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის გაძლიერება მოჰყვება, საქართველო ასევე მიესალმება „თურქულ-სომხური ურთიერთობების ნორმალიზების ყველა ძალისხმევას“. მაგრამ სომხეთის იზოლაციამ მას სარგებელი უფრო მოუტანა, ვიდრე ზიანი. ასე მაგალითად, საქართველო გახდა მთავარი სატრანზიტო ქვეყანა აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის, თურქეთსა და რუსეთს შორის და, ასევე, თურქეთსა და სომხეთს შორის. სამხრეთ კავკასიის რეგიონის ყველა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი გვერდს უვლის სომხეთს და გადის საქართველოზე. ენერჯის სექტორში ასეთი პროექტებია ნავთობსადენები: ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენით აზერბაიჯანული ნავთობის სუფსის ტერმინალში ტრანსპორტირება ხორციელდება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს თბილისზე გავლით აზერბაიჯანული ნავთობი თურქეთის ქალაქ ჯეიჰანის პორტში შეაქვს. ამას ემატება გაზსადენები: ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, რომელიც თბილისზე გადის. აქ მომავალ წელს მეორე მილსადენიც უნდა აშენდეს, რომლის საშუალებითაც აზერბაიჯანული გაზის ევროპაში ტრანსპორტირება მოხდება.

სატრანსპორტო სექტორში არსებობს სარკინიგზო დამაკავშირებელი ხაზი, რომელიც თურქეთს ქალაქ ყარსსა და საქართველოს ქალაქ ახალქალაქს აკავშირებს. 2016 წელს ის სამხრეთ კავკასიის რკინიგზის ბაქო-თბილისი მონაკვეთს უნდა შეუერთდეს. ყოფილი დამაკავშირებელი ხაზი, რომელიც სომხეთზე გავლით თბილისში მიდიოდა, 1990-იანი წლებიდან თურქეთ-სომხეთის საზღვარზე წყდება. საქართველო მნიშვნე-

ლოვანი სატრანზიტო ქვეყანაა თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ვაჭრობის თვალსაზრისითაც. საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგიაში აზერბაიჯანთან ურთიერთობა განსაზღვრულია როგორც „სტრატეგიული თანამშრომლობა“. ენერგეტიკასა თუ სატრანსპორტო სექტორში არსებული საერთო ინფრასტრუქტურულ პროექტებს ორივე ქვეყნის სტაბილურობასა და კეთილდღეობაში შეაქვს წვლილი. რაც შეეხება სომხეთთან ურთიერთობას, იგივე დოკუმენტში ის განსაზღვრულია როგორც „მჭიდრო თანამშრომლობა ყველა სფეროში, სადაც ამის ინტერესი არსებობს“. აქედან ჩანს, რომ საქართველოსთვის განსაკუთრებულ ინტერესებში შედის ტრანზიტული ქვეყნის როლის შენარჩუნება. სომხეთს ზღვაზე გასასვლელი არ აქვს. ამიტომაც, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ყველა სამანქანო თუ სარკინიგზო ტვირთმა საქართველოს გავლით უნდა გაიაროს. რადგანაც თურქეთის საზღვარი ჩაკეტილია, აქაური ტვირთიც საქართველოს გავლით შედის სომხეთში. შესაბამისად, საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგიაში სომხეთთან მიმართებაში სავაჭრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის საკითხებს ძირითადი ადგილი უკავია [ნოვიკოვა, 2018].

მიუხედავად იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობისა, რაც ანკარის მთავრობას აქვს სამხრეთ კავკასიასთან, თურქეთის ურთიერთობა რეგიონის ქვეყნებთან მაინც სხვადასხვაგვარია. ურთიერთობები საქართველოსა და აზერბაიჯანთან შედარებით ნათელი და ურთიერთ დაკავშირებულია. თურქეთის მთავრობა საქართველოსა და აზერბაიჯანს სცნობს ახალგაზრდა პარტნიორ სახელმწიფოებად, ამ ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარებით და გაუმჯობესებით, თურქეთი უზრუნველყოფს თავისი მიზნის მიღწევას გახდეს ენერგორესურსების ტრანზიტორი ევროპის ქვეყნებისათვის. ეს ურთიერთობები ასევე უზრუნველყოფს სხვა სექტორში თურქული კაპიტალის ზრდას საქართველოსა და აზერბაიჯანში და მომსახურებისათვის დამატებითი ბაზრის შექმნას.

აზერბაიჯანთან ურთიერთობა ყველაზე მჭიდროა, რაც პირველ რიგში განპირობებულია ენობრივი და კულტურული სიახლოვით. ამავე დროს ამ ორ სახელმწიფოს აქვს საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები. საქართველო თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვან პარტნიორ სახელმწიფოდ იქცა. ცივი ომის დასრულების შემდეგ, საქართველოს სურვილი იყო რეგიონში შეესუსტებინა რუ-

სეთის პოლიტიკური გავლენა და მან მხარი დაუჭირა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს. საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის გასაღრმავებლად, ორი ათეული წელია, თურქეთის მთავრობა ზრდის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მხარდაჭერას. ანკარა თბილისს განიხილავს როგორც სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში გასასვლელ ხიდს. რუსეთისაგან განსხვავებით, რომელიც ერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში და თავის სასარგებლოდ იყენებდა საქართველოში მიმდინარე ეთნიკურ დაპირისპირებას და ბოლოს 2008 წლის 26 აგვისტოს ცნო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, თურქეთი მუდამ ადასტურებს და მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

,

## § 2. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და თურქეთის პოზიცია

მეოცე საუკუნეში მსოფლიო შეეჩვია, რომ კავკასია და შუა აზია საბჭოთა კავშირის გავლენის სფერო იყო, მაგრამ სსრკ-ს დანგრევასთან ერთად დასავლეთი და განსაკუთრებით აშშ ცდილობს რეგიონის ძირითადი მოთამაშე იყოს. მის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ნავთობის მიწოდება რუსეთის გვერდის ავლით და არ დაუშვას რეგიონში მოსკოვის კონტროლის აღდგენა. ამ ამოცანის გადაჭრისას საქართველო განიხილებოდა როგორც ყველაზე უფრო მისაღები, დასავლეთზე ორიენტირებული ქვეყანა, რომლის გავლითაც მოხდებოდა რეგიონის ნავთობპროდუქტების უზარმაზარი რესურსების უსაფრთხო ტრანსპორტირება.

ნავთობის საქართველოზე გავლით ტრანსპორტირებისათვის 2005 წელს დასრულდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რაც აშშ პოლიტიკის წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ნავთობსადენი უზრუნველყოფდა ენერგორესურსების დივერსიფიცირებას, რასაც ახლო აღმოსავლეთის რეგიონის არასტაბილურობის გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის არსებულმა დაძაბულმა ურთიერთობებმა გარკვეულწილად შეაფერხა აშშ-ს გეგმები. ჩინეთისა და ინდოეთის მზარდი მოთხოვნა ნავთობრესურსებზე იწვევდა როგორც კონკურენციის სტიმულირებას, ასევე ფასების ზრდას. ამ დროს საქართველო და კავკასიის სხვა რესპუბლიკები რუსეთის თვალთვალის ობიექტებს წარმოადგენდნენ და, შესაბამისად, არცთუ ისე უსაფრთხონი აღმოჩნდნენ გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირებისათვის, როგორც ეს ადრე ჩანდა.

ენერგეტიკული დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, საქართველო ევროკავშირისათვის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. სწორედ მისი ტერიტორიის გავლით არის შესაძლებელი ნავთობის და გაზსადენების საშუალებით კასპიის რეგიონიდან ენერგო რესურსების მიწოდება რუსეთის გვერდის ავლით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, საქართველოს, რომ შეძლებოდა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, იგი გახდებოდა ქვეყანა, რომელიც შეძლებდა შეესუსტებინა დასავლეთის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება. თუმცა 2008 წლის ომის შემდეგ, სრულიად ნათელი გახდა, რომ ეს პროექტი უსაფრთხო არ არის. ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ესკალაციამ

და რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ რეგიონის სტაბილურობის საკითხი ეჭვქვეშ დააყენა.

რუსეთის პრეზიდენტის აღიარებით, ისინი საქართველოსთან ომისთვის დიდი ხნის მანძილზე ემზადებოდნენ და მიაღწიეს კიდეც იმას, რომ 2008 წლის აგვისტოში ჩაითრიეს ქვეყანა ომში, რასაც ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვა. დიდ ადამიანურ და მატერიალურ დანაკარგთან ერთად თბილისმა სრულად დაკარგა კონტროლი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე, რომლებიც მოსკოვმა იმავე აგვისტოს ბოლოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. ამან სერიოზული ზიანი მიაყენა საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში უსაფრთხოების თემას და, ასევე, ამერიკის ინტერესებს რეგიონში. ამან ძალიან დაძაბა ურთიერთობები ერთის მხრივ მოსკოვსა და ვაშინგტონს, მეორე მხრივ რუსეთსა და დასავლეთს შორის.

გამოსავალი აქედან იყო კონფლიქტის გაყინვა. ამიტომაც დასავლეთმა რუსეთთან დაიწყო სერიოზული მოლაპარაკებები ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით. აშშ-ს მოუწია თავისი გადაწყვეტილების შეჩერება აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგების შესახებ, ხოლო სააკაშვილს კი ისეთი რიტორიკის შეწყვეტა, თითქოსდა საქართველო უკვე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი იყო. მოსკოვი კი უნდა შეგუებოდა სტატუს კვოს სიტუაციას კავკასიაში მიუხედავად იმისა, რომ მან აღიარა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

დასვლეთი ცალსახად აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თურქეთს კონფლიქტის მხარეებთან ისტორიული, ეკონომიკური, ეთნიკური და სტრატეგიული ურთიერთობები აქვს. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მოსკოვის გავლენისაგან თავისუფლებას, რომელიც თურქეთისთვის სატრანსპორტო და ენერგეტიკული კორიდორია, მაგრამ ამავდროულად მოსკოვი მისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორია მას შემდეგ, რაც თურქეთის ტერიტორიაზე რუსეთმა ატომური ელექტრო სადგურის და სამხრეთ ნაკადის მშენებლობა დაიწყო, აგრეთვე რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსი C-400 შეიძინა. თურქეთი ყოველთვის ცდილობდა ფრთხილად ემოქმედა და „კრემლის ვეფხვისთვის კულზე არ დაეჭირა“. სანამ თურქეთს მკვეთრი პროდასავლური ვექტორი ქონდა არჩეული, მას მია-

ჩნდა, რომ შეეძლო შეეტანა თავისი წვლილი ვაშინგტონისა და ევროკავშირის მიერ „ოლიმპიური“ პაუზის დამყარების მცდელობაში, თუმცა დარწმუნებული არ იყო როგორ მიიღებდა ამას მოსკოვი [Kaya, 2008].

კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობები თურქეთისთვის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს და მას სურს თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს მეშვეობით რეგიონში განახორციელოს ეკონომიკური, საგანმანათლებლო და კულტურული პროექტები. თურქული სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურები კი უფრო აქტიურად ჩაერთონ ამ პროექტებში.

ანკარა დეკლარირებს, რომ იგი მხარს არ უჭერს სეპარატისტულ მოძრაობებს, რადგანაც ანალოგიური პრობლემებია აზერბაიჯანსა და თვით თურქეთში და ამიტომაც ტერიტორიული მთლიანობის მომხრეა, თუმცა იგი არ დგამს ისეთ ნაბიჯებს, რაც რუსეთთან ურთიერთობებს დაუძაბავს.

თურქეთში ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ კარგი იქნებოდა მას შუამავლის როლი ეკისრა, რადგანაც კავკასიის ხალხების მხარდაჭერა საქართველოს რთულ მდგომარეობაში ჩააყენებს. როდესაც მოსკოვმა საომარი მოქმედების ზონიდან დაშორებული საცხოვრებელი პუნქტების დაბომბვა დაიწყო, თბილისმა დახმარებისთვის ანკარას მიმართა [Ogan, 2008]. როგორც თურქი ექსპერტები აღნიშნავენ, თურქეთი საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგანაც მოხმარებული ბუნებრივი აირის 30%-ს იგი რუსეთიდან იღებდა. თუმცა, თურქეთს მიაჩნდა, რომ კარგი იქნებოდა, რომ მას შუამავლის როლი ეკისრა, მშვიდობის დამყარებისთვის ებრძოლა და გაეროს დონეზე დაეყენებინა საკითხი. მათი აზრით, თურქეთმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ჰუმანიტარული პრობლემების გადაჭრასა და კონფლიქტის ზონაში მოსახლეობისათვის დახმარების ორგანიზების ხელშეწყობაში.

რამდენიმე ასპექტის გამო თურქეთი ვერ განიხილავს ამ კონფლიქტს მხოლოდ, როგორც დაპირისპირებას საქართველოს ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორის. რუსეთი ამ დაპირისპირების ეპიცენტრშია. თურქეთი, თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას პრინციპულად უჭერს მხარს. ამასთან, თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ხალხები ოსებისადმი სიმპათიებით გამოირჩევიან. მაგრამ ან-

კარა დაინტერესებულია მოსკოვთან სტრატეგიული ურთიერთობების გაღრმავებით. ამ ვითარებაში ძნელად არის წარმოსადგენი, რომ თურქეთი ღიად დაუჭერს მხარს რომელიმე მხარეს [Idiz, 2008].

იქ, სადაც ეთნიკური ქართველების დიდი ნაწილი ცხოვრობს, საზოგადოებრივი აზრი საქართველოს მხარეზეა. რუსეთის ძალები დარტყმებს ახორციელებდნენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ორივე მხარეს. კონფლიქტის განვითარებასთან ერთად, თურქეთის ვაჭრობასა და ტურიზმს დიდი ზიანი ადგებოდა. შეშფოთების საფუძველს იძლეოდა ის, რომ საქართველო თურქეთისთვის ტრანზიტული ტერიტორიაა. ზემოთ აღნიშნულ ნავთობსადენთან ერთად, თურქეთის ზრუნვის საგანს წარმოადგენდა შაკ-დენიზ-ერზერუმის გაზსადენი და პროექტირების სტადიაში მყოფი ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. ყველა ეს ფაქტორი ზრდიდა თურქეთის შეშფოთებას. ამასთან ერთად, თურქეთი ამარაგებდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, უწევდა ტექნიკურ დახმარებას, სამხედრო აეროდრომის შეკეთებაშიც კი მიიღო მონაწილეობა [Poyraz, 2008].

კონფლიქტის პერიოდში ანკარამ პასიური პოზიცია დაიკავა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჰუმანიტარული სახის ღონისძიებებს. 11-12 აგვისტოს პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა და პრეზიდენტმა აბდულაჰ გიულმა გააკეთეს განცხადებები. 13 აგვისტოს ერდოღანი, პარლამენტის წევრებთან ერთად, მოსკოვში ჩავიდა. საიტ WikiLeaks-ის ინფორმაციით პრეზიდენტ მედვედევთან შეხვედრის დროს მათ რუსეთის პრეზიდენტს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გააცნეს და განუცხადეს, რომ რუსეთის მიერ თურქეთის საზღვრიდან 100 კმ-ზე ახლოს სამხედრო ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში, თურქეთს, როგორც ნატო-ს წევრ ქვეყანას, კონფლიქტის ზონაში საკუთარი ქვედანაყოფების შეყვანისა და მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიის დაცვის უფლება ექნებოდა.

დოკუმენტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ სამხედრო მოქმედებები უშუალოდ აჭარას შეეხებოდა, თურქეთი საქართველოში შეიარაღებულ ძალებს შეიყვანდა და აჭარის ტერიტორიაზე საჰაერო დარტყმებს განახორციელებდა.

სამხედრო მოქმედებებში თურქეთის შესაძლო ჩართვის შესახებ თავის დროზე ქართულ საინფორმაციო საშუალებებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო

მერაბიშვილმაც განუცხადა. მან ეს ინფორმაცია 2009 წლის 3 მარტსაც დაადასტურა. "რუსეთ-საქართველოს ომის დროს, თუ საქართველოს ხელისუფლება უსაფრთხოების უზრუნველყოფას ვერ შეძლებდა, თურქეთი მზად იყო აჭარაში საკუთარი შეიარაღებული ძალები შეეყვანა", - განაცხადა მერაბიშვილმა [<http://dod.ucoz.hu/news>].

როგორც ჩანს, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს აჭარაში რუსეთის შეჭრის შემთხვევაში, თურქეთი ნატო-ს სტატუსით მზად იყო, საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალები შეეყვანა. 2008 წლის 14 აგვისტოთი დათარიღებული ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ თურქეთის მზადყოფნა სერიოზული იყო.

საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზის ვიზიტის მეორე დღეს - 14 აგვისტოს ერდოღანი თბილისში ჩამოვიდა და საქართველოს მხარდამჭერი განცხადება გააკეთა. ამ განცხადებების შემდეგ თურქეთმა აქტიური საგარეო პოლიტიკის განხორციელება დაიწყო. პრემიერ-მინისტრი რეჯებ ტაიპ ერდოღანი და თურქეთის ოფიციალური დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა საგარეო საქმეთა მინისტრი ალი ბაბაჯანი და პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი აჰმედ დავუთოღლუ. ვიზიტი იმაზე მეტყველებდა, რომ თურქეთი შეშფოთებული იყო კავკასიაში განვითარებული მოვლენების გამო.

2008 წელს, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ, განსაკუთრებით გაიზარდა თურქეთში რეგისტრირებული კომპანიების მოღვაწეობა და სავაჭრო პარტნიორობა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან, რისი ნათელი მაგალითიცაა 2013 წელს „აფხაზეთ-თურქეთის ბიზნეს საბჭოს“ დაარსება. მართალია, ოფიციალურად ანკარას აფხაზეთთან ვაჭრობა არალეგალურად მიაჩნია, მაგრამ ამას კატეგორიულად არ კრძალავს [თოფურიძე, 2015].

შეიძლება ითქვას, რომ საქართველო კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში თურქეთისათვის საკვანძო პარტნიორს წარმოადგენს, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ მის გართულებულ ურთიერთობებს სომხეთთან. თურქეთს მიაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. ნებისმიერი ახალი პატარა სახელმწიფოს გაჩენა რეგიონში დამატებით პრობლემებს შექმნის, ამიტომაც თურქეთის ოფიციალური პირები თავის გამოსვლებში მუდმივად ადასტურებენ ამ პოზიციას.



2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა სხვადასხვაგვარი რეაგირება მოახდინეს მასზე. ეს რეაგირება კი, დიდ წილად განპირობებული იყო ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტირითა და ასევე ფუნქციით მსოფლიო პოლიტიკაში. მსოფლიო სხვადასხვა სახელმწიფოთა შეხედულებები პირობითად ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს: პირველი - რუსეთ-საქართველოს ომისადმი ნეიტრალური პოზიციის დამაფიქსირებელ და ომში ორივე მხარის ბრალის მამიებელ სახელმწიფოთა გამოხმაურება, რომელნიც პირველ რიგში არა ომის წამომწყები მხარის გარკვევის, არამედ საომარი მოქმედებების შეწყვეტის ინიციატივით გამოდიოდნენ; მეორე - იმ ქვეყნების შეფასება, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ომს არაერთგვაროვნად გამოეხმაურნენ და, ასე ვთქვათ, საკითხის გარშემო „ვერ ჩამოყალიბდნენ“; მესამე - რუსეთის პოზიციისა და ინტერესების დაცვის გამომხატველი ქვეყნების გამოხმაურება; მეოთხე - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა დაცვისა და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ინტერვენციის დამგმობი ქვეყნების გამოხმაურება. რუსეთ-საქართველოს „აგვისტოს ომის“ შესახებ ნეიტრალური პოზიციის გამომკვეთ და დამაფიქსირებელ ქვეყნებს შორის, რომელთაც ნომერ პირველ პრიორიტეტად არა დამნაშავისა და უდანაშაულობის გამოკვეთა, არამედ საომარი მოქმედებების შეწყვეტა მიაჩნდათ, იყვნენ, მაგალითად სომხეთი, ბანგლადეში, ბრაზილია, ბულგარეთი, ჩილე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, საფრანგეთი, საბერძნეთი, ისლანდია, ირანი, იაპონია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, სლოვაკეთი, ესპანეთი, , გაერთიანებული სამეფო, ვატიკანი, სერბეთი, ვიეტნამი და მათ შორის თურქეთი.

აღნიშნულ სახელმწიფოთა მმართველმა ორგანოებმა 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის მომხდარი ომის შესახებ საუბრისას და საკუთარი აზრების დაფიქსირებისას, გამოხატეს ცეცხლის შეწყვეტისა და საომარი მოქმედებების დასრულების აუცილებლობის ინიციატივა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ბანგლადეშის სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა მრჩეველის - იფთეხარ აჰმედ ჩოუდარის მიერ რუსეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებების უცილობლად შეწყვეტის საჭიროების შესახებ წარმოთქმული სიტყვები: „ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს დიდი მწერლის ლევ ტოლსტოის მიერ მოცემული გაკვეთილი, რომელიც ამბობს, რომ არ

არსებობს ისეთი რამ, რასაც კარგი ომი ან ცუდი მშვიდობა ერქმევა“. იმავე პოზიციაზე იდგა ჩილეს საგარეო საქმეთა მინისტრი ალეხანდრო ფოქსლი, რომელიც ასევე ხაზს უსვამდა ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობას და დასძენდა, რომ შექმნილ კონფლიქტურ ვითარებაში, რომელიც სადაო ტერიტორიებში ვითარების დაძაბვას ახლავს თან, ყველაზე მძიმე და ტრაგიკულ მოვლენას წარმოადგენს უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი.

ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მოლაპარაკებებისაკენ მოუწოდა 2008 წლის ომის მონაწილე მხარეებს ოფიციალურმა ვატიკანმა. რომის პაპმა გამოთქვა იმედი, რომ დაპირისპირებული მხარეები დაუყოვნებლივ შეწყვეტენ სამხედრო მოქმედებებს საერთო ქრისტიანული რელიგიის სახელით და არ დაუშვებენ ძალადობის განახლებას. მსგავსი პაციფისტური პოზიციები დააფიქსირეს კონფლიქტური მხარეებისაგან ისეთმა შორეულმა ქვეყნებმა, როგორებიც არიან ბრაზილია, ისლანდია, იაპონია, ახალი ზელანდია, რომლის პრემიერ მინისტრმა ჰელენ კლარკმა ყველა მხარეს მოუწოდა ცეცხლისა და საომარი მოქმედებების შეწყვეტისაკენ და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების განმახორციელებელ მთავარ მექანიზმად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაასახელა. შეიარაღებული მოქმედებების შეწყვეტისა და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისკენ მეომარ მხარეებს მოუწოდა ვიეტნამმაც. რაც შეეხება უფრო მახლობელ ევროპულ ქვეყნებს, საინტერესოა ესპანეთის პოზიცია, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრმა კონფლიქტის ოლიმპიური თამაშების პერიოდში დაწყების გამო დიდი მწუხარება გამოთქვა და ევროკავშირს მოუწოდა მიემართა ორივე დაპირისპირებული მხარისთვის, რათა ამ უკანასკნელთ შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედებები და დიპლომატიური ხერხებით გადაეწყვიტათ უთანხმოება. გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მდივანმა დევიდ მილიბენდმა შეიარაღებულ კონფლიქტზე პასუხისმგებლობა რუსეთისა და საქართველოს მხარეებს დააკისრა და ხაზი გაუსვა აუცილებლობას საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. საინტერესოა საფრანგეთის პოზიცია, სანამ საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი თბილისსა და მოსკოვს შორის „ომის დამასრულებელი“ ექვს პუნქტიანი გეგმის შედგენისათვის იღვწოდა, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარდ კუმნერი აღნიშნავდა: „ნუ გვკითხავთ ვინ არის კარგი და ვინ ცუდი ამ კონფლიქტში, ჩვენ

არ უნდა შევუდგეთ არავის განსჯას. ომის შეჩერება! სწორედ ამით ვართ ჩვენ დაინტერესებულნი“.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე კონფლიქტზე ევროპული ქვეყნების პოზიციების დაცვის მზადყოფნა გამოთქვა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანილო კალფინმა. აღნიშნული კონფლიქტის მიმართ ევროკავშირისა და NATO-ს პოზიციებისადმი სრული სოლიდარობა, ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების აუცილებლობა დაადასტურა საბერძნეთმაც, რომელმაც უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული ჰუმანიტარული დახმარებაც გაუწია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის იძულებით გადაადგილებულ პირებს, მათ შორის 100 000 ევროს ფულადი დახმარების სახით.

საკუთარ რეგიონულ-პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სომხეთისა და თურქეთის მიერ დაფიქსირებული ნეიტრალური პოზიციები.

სომხეთის პოზიცია ამ ომში იყო ნეიტრალური, იგი საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისკენ მოუწოდებდა სახელმწიფოებს. სომხეთისა და თურქეთისაგან განსხვავებით, რომელთაც რუსეთ-საქართველოს ომი, ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე, პირდაპირ ეხდებოდა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ამ ომს ერთგვარი ირიბი მნიშვნელობა ჰქონდა საკუთარ სეპარატისტულ რეგიონთან მიმართებაში. საუბარია ტიბეტის რეგიონზე. ჩინეთის მიერ რუსეთის ღიად მხარდაჭერა იმის მანიშნებელიც იქნებოდა, რომ ჩინეთი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები დამოუკიდებლობას უჭერს მხარს, რაც ყურადღების მიღმა არ დარჩებოდა ტიბეტის მოსახლეობას, რომელიც თავის მხრივ იღვწის ჩინეთისაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ნათელი ხდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისადმი გამოხატული სამხედრო მოქმედებების შეწყვეტისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარების ინიციატივა.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე გაკეთებული განცხადებებისა და გამოხმაურებების ავტორ ქვეყანათა შორის შევხვდებით იმ ქვეყნებსაც, რომელთაც საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გამო, აღნიშნულ კონფლიქტში ღიად დააფიქსირეს

რუსეთისადმი მხარდაჭერა. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებიან - იტალია, ბელარუსი, ბოსნიის-ჰერცეგოვინა, კუბა, ნიკარაგუა, სირია, ირანი და ვენესუელა.

თურქეთის შემთხვევაში, როგორც ქვეყნის პრემიერ მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, რუსეთ-საქართველოს ომი საფრთხის შემცველია, რადგან თურქეთი უშუალოდ ემეზობლება საქართველოს. სწორედ ამიტომ ერდოღანი მოუწოდებდა როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს ლიდერებს, რათა შეწყვეტილიყო საომარი მოქმედებები საქართველოში. საინტერესოა, რომ ამავე პერიოდში შედგა სატელეფონო საუბარი თურქეთის პრეზიდენტს აბდულა გიულისა და რუსეთის იმ დროინდელ პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს შორის, რომელშიც ქვეყნის პირველმა პირებმა ისაუბრეს იმ ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ, რაც რეგიონში სიმშვიდისა და უსაფრთხოების გარანტი იქნება.

2008 წელს საქართველოსთან მიმართებაში თურქეთი მანევრირებდა დასავლეთსა და რუსეთს შორის. ერთი მხრივ იგი მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მეორე მხრივ აშშ-ს სამხედრო საზღვაო ძალებს უკეტავდა სრუტეებს. ამით თურქეთი ცდილობდა საკუთარი პოზიციების შენარჩუნებას რეგიონში და ამერიკისთვის ძალისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებას. პრემიერმა ერდოღანმა ასე ჩამოაყალიბა თურქეთის პოლიტიკა აგვისტოს მოვლენებთან მიმართებაში: ამერიკა ჩვენი მოკავშირეა, რუსეთი - მნიშვნელოვანი მეზობელი და პირველი სავაჭრო პარტნიორი. ენერჯის 2/3-ს ვიღებთ რუსეთისაგან. ჩვენ ვმოქმედებთ ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენ არ შეგვიძლია რუსეთის იგნორირება [Аршакян, 2015:136]. ამიტომაც იყო, რომ თურქეთმა არ გააკეთა ხმამაღალი განცხადებები. უფრო მეტიც, ანკარამ არ დაგმო რუსეთის ქმედებები, როგორც ეს დასავლეთის სხვა სახელმწიფოებმა გააკეთეს.

2008 წლის მოვლენებმა გარკვეულად შეარყია თურქეთის პოზიციები საქართველოში და დიდი ზიანი მიაყენა თურქეთის გეგმებს გამხდარიყო რეგიონალური ლიდერი. სწორედ დაკარგული პოზიციების აღდგენას ემსახურებოდა ომიდან მალევე ანკარის მიერ შემოთავაზებული პლატფორმა სტაბილურობისა და თანამშრომლობის შესახებ კავკასიაში.

### § 3. საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ასპექტები 2000-იან წლებში

როგორც ზემოთ აღინიშნა, თურქეთის საქართველოსთან ურთიერთობა განსაკუთრებული მზარდი ტემპებით ვითარდება 2002 წლის შემდეგ, რაც ქვეყნის სათავეში „სამართლიანობისა და განვითარების პარტია მოვიდა“ [Kirişci, 2015:67-88]. ხელისუფლებაში ამ პარტიის მოსვლით, თურქეთის საგარეო პოლიტიკამ ნეოსმანიზმის ჩარჩოში ახალი ელფერი შეიძინა და „სტრატეგიული სიღრმის“ დოქტრინაში გამოიხატა [Yeşiltaş, 2013:661-684], რომლის ავტორიც აჰმედ დავუთოღლუა (თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2009-2014 წლებში და პრემიერ-მინისტრი 2014- 2016 წლებში). იყენებს რა „რბილი ძალის“ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ ინსტრუმენტებს, თურქეთი აქტიურად შემოვიდა საქართველოში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასზე.

თურქეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მოიცავს ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას, თურქული ენის პოპულარიზებას, თანამშრომლობას განათლებისა და მეცნიერების სფეროში. ამ პოლიტიკის განხორციელებას საქართველოში, გარკვეულ წილად, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკამაც შეუწყო ხელი მას შემდეგ, რაც „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილი მოვიდა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად თურქეთთან ურთიერთობები გამოცხადდა. ორი ქვეყნის შიგნით განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ისინი კიდევ უფრო დაახლოვა. ეს ურთიერთობები კიდევ უფრო განმტკიცდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (2006 წლის ივლისი) და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის (2007 წლის მარტის) გახსნის, აგრეთვე ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის ჩაშვების შემდეგ.

2008 წლის ომის დროს თურქეთის ნეიტრალურმა პოზიციამ გარკვეულწილად აჩვენა, რომ საქართველო-თურქეთის ურთიერთობები უპირველეს ყოვლისა რეგიონში თურქეთის ინტერესებით არის განპირობებული და საქართველო მისთვის სტრატეგიული „ობიექტია“. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დაძაბვამ და რეგიონში რუსული პოზიციის განმტკიცებამ თურქეთს კავკასიური პოლიტიკის აქტივიზაცი-

ისკენ უბიძგა. ამ სტრატეგიის კონტექსტში თურქეთმა საქართველოსთან მიმართებაში თვისი პოლიტიკა გააქტიურა. გახშირდა თურქი მაღალჩინოსნების, მათ შორის პრეზიდენტ ერდოღანის, ვიზიტები საქართველოში.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ენერგოპროექტების განხორციელებას, რომელთა შორის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) პროექტი.

კავკასიის რეგიონს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კასპიის ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსების მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირების თვალსაზრისით. თურქეთს კი კარგად ესმოდა კასპიის რეგიონის ენერგორესურსების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა. საბჭოთა კავშირის დაშლიდან 1999 წლამდე, კავკასიის ქვეყნებთან თურქეთის ურთიერთობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი საკითხი სწორედ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი იყო [თურქეთის საგარეო პოლიტიკა, 2013:189].

პროექტი დიდ გავლენას ახდენს თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაზე და მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თურქეთის საგარეო პოლიტიკაში. 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, თურქეთის მთავრობა ძალისხმევას არ იშურებდა, ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის ნავთობსადენით, თურქეთის გავლით მსოფლიო ბაზრისათვის მიეწოდებინა კასპიის რეგიონის ნავთობი. პროექტზე საფუძველის ჩაყრას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის იქედან გამომდინარე, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო, პროექტი კი ამ მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას იძლეოდა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენის პროექტი მოიცავს განვითარებას, დაფინანსებას, ნავთობსისტემის მშენებლობას, რათა გადაიზიდოს ნავთობი ბაქოდან საქართველოს გავლით, ახალ სადგურზე ჯეიჰანში – თურქეთში, ხმელთაშუა ზღვაში. მილსადენის სიგრძე 1768 კილომეტრია. აზერბაიჯანში მილსადენის სიგრძე 443 კილომეტრი, საქართველოში 249 კილომეტრი და თურქეთში 1076 კილომეტრი [[http:// www.gogc.ge](http://www.gogc.ge)].

მილსადენი გადაზიდავს გადაუმუშავებელ ნავთობს კასპიის აზერის, ჩირაგის და გიუნეშლის ნავთობსადენებიდან (ACG), რომლის წარმოების მთლიანი მოცულობა 1,2 მლნ. ბარელია დღეში.

საქართველოდან მილსადენი გადის შვიდ რაიონში, ქალაქ რუსთავიდან, ახალციხის რაიონის სოფელ ნაოხებში თურქეთის საზღვართან.

თურქეთის მთავრობას დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ ბაქო-ჯეიჰანის პროექტი განხორციელებულიყო. ამ პროექტის განხორციელება თავისთავად გულისხმობს თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებას რუსეთისა. რომელსაც, 90-იან წლებში დიდი გავლენა ჰქონდა კავკასიის და კასპიის ზღვის რეგიონში და მთავარი მაკონტროლებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, მას არანაირად არ აწყობდა განხორციელება ამ პროექტისა. რომელსაც, ამას მოყვებოდა კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და კასპიის რეგიონში სხვა სახელმწიფოების გამოჩენა.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1987 წელს, მიხეილ გორბაჩოვმა თავისუფლება მიანიჭა აზერბაიჯანისა და ყაზახეთის მთავრობებს, რის საშუალებითაც დაიწყო კავშირების დამყარება დასავლეთთან ენერგორესურსების მოპოვებისა და ტრანსპორტირების სფეროში. ამით ისარგებლა თურქეთის მთავრობამ, რომელსაც კარგად ესმოდა კასპიის ენერგორესურსების როგორც გეოპოლიტიკური, ასევე სოციალურ – ეკონომიკური მნიშვნელობა და ენერგორესურსებით მდიდარ ქვეყნებს, ახალ თურქულენოვან სახელმწიფოებს – აზერბაიჯანს, ყაზახეთსა და თურქმენეთს ურჩია ენერგორესურსების კავკასიის მიმართულებით თურქეთის ტერიტორიების გავლით მსოფლიო ბაზარზე გატანა [თურქეთის საგარეო პოლიტიკა, 2013:195].

თურქეთის ეს შეთავაზება ყველაზე მისაღები აღმოჩნდა აზერბაიჯანისათვის. პრეზიდენტ ელჩიბეის კარგად ესმოდა ენერგორესურსების მნიშვნელობა ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამიტომ არ თანხმდებოდა არცერთ ხელშეკრულებას ენერგორესურსების ტრანსპორტირების შესახებ, რომელშიც არ მონაწილეობდა თურქეთი და რომელიც არ გაივლიდა თურქეთის ტერიტორიას. მოლაპარაკებები თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის დაიწყო 1993 წელს და დასავლეთის ნავთობ კომპანიებთანაც მოხდა შეთანხმება. მილსადენების მიმართულების შერჩევას, თურქეთის ძალისხმევის შედეგად ირანი და სომხეთი გამოირიცხა, ამ ფუნქციის შესრულება საქართველომ.

ველოს დაეკისრა. საქართველოს მთავრობამ ედ. შევარდნაძის მეთაურობით, დიდი ინტერესი გამოიჩინა კასპიის ენერგორესურსების სატრანსპორტო მილსადენების საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთისათვის მიწოდების მიმართ და ეს პროექტი საქართველოს უსაფრთხოებისათვის დიდი მნიშვნელობის საკითხად მიიჩნია, რადგან ეს საქართველოსათვის რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენისაგან თავის დაღწევას ნიშნავდა. მაგრამ, დაწყებული საქმე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, რადგან ელჩიბეი ჩამოგდებული იქნა. აზერბაიჯანის ახალმა მთავრობამ ალიევის ხელმძღვანელობით, ელჩიბეის დროინდელი ხელშეკრულება გააუქმა და მოსკოვთან დაიწყო მოლაპარაკებები.

რუსეთს არ აწყობდა ამ მილსადენის მშენებლობა მისი ტერიტორიის გვერდის ავლით. რადგან ამ შემთხვევაში მას არ ექნებოდა საშუალება გავლენა შეენარჩუნებინა კასპიის აუზის ქვეყნებზე. 1994 წლის ოქტომბერში, „საუკუნის შეთანხმების“ [თურქეთის საგარეო პოლიტიკა, 2013:197]. ხელის მოწერის შემდეგ (ამით ალიევის მთავრობამ რუსულ კომპანიას „ლუკოილს“ მისცა უფლება მოეპოვებინა აზერბაიჯანის საბადოდან ნავთობის 10%, ხოლო თურქულ კომპანიას „ტრაო“-ს 6,75%), თურქეთს გაუჭირდა დასავლური კომპანიების დარწმუნება ბაქოსა და ჯეიჰანს შორის საკმაოდ ძვირადღირებული მილსადენის აშენებასთან დაკავშირებით თანხმობა ეთქვათ. მაგრამ, ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც თურქეთის რეკომენდაციამ 1995 წლის დასაწყისში მოიპოვა აშშ-ს მხარდაჭერა, რომელიც მანამდე ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის საკითხზე პოზიციას ღიად არ გამოხატავდა. აშშ-ს მთავრობამ განმარტა რომ პროექტს მხარდაჭერას უცხადებდა ტექნიკური, ეკონომიკური, გარემოს დაცვისა და პოლიტიკური მიზეზებით. მაგრამ, ამავე დროს განაცხადა, რომ არ ემხრობოდა გეგმას, რომლითაც მილსადენი თურქეთში ირანის გავლით უნდა ჩასულიყო. მისი განცხადებით აზერბაიჯანის მთავრობას არჩევანი საქართველოს ან სომხეთის ტერიტორიაზე უნდა შეეჩერებინა. თურქეთმა კი ძალისხმევა არ დაიშურა იმისთვის რომ აზერბაიჯანს არჩევანი გაეკეთებინა საქართველოზე.

როგორც ზემოთ ითქვა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის განხორციელებას სათავე დაედო 1998 წლის 29 ოქტომბრის „ანკარის დეკლარაციით“. 1999 წლის ნოემბერში სტამბოლის სამიტზე თურქეთის მთავრობამ ხელი მოაწერა საგარანტიო



შეთანხმებას, რომლითაც აიღო ვალდებულება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კომერციული თვალსაზრისით კონკურენტუნარიანობის მიზნით აენაზღაურებინა ნავთობსადენის თვითღირებულება, თუ იგი აღემატებოდა 2,7 მილიარდ დოლარს. გარდა ამისა, აღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებული იყო **BTC** მილსადენის მშენებლობის დასრულება ოთხ ნახევარ წელიწადში.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი **BTC** მილსადენის, რომელიც ნავთობის კასპიის და ხმელთაშუა ზღვებს შორის ტრანსპორტირების პირველი და უმოკლესი მარშრუტია, მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 2002 წლის 18 სექტემბერს ბაქოში და ექსპლუატაციაში შევიდა 2005 წლის 25 მაისს, როდესაც გაიხსნა აზერბაიჯანის მონაკვეთი. საქართველოს ტერიტორიაზე მონაკვეთი გაიხსნა 2005 წლის 12 ოქტომბერს. მილსადენი სრულ ექსპლუატაციაში შევიდა 2006 წელს. მილსადენის მშენებლობა დაახლოებით 4 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდა [იქვე, გვ. 102].

ნავთობმილსადენის ეკოლოგიური და ტექნიკური უსაფრთხოების მიზნით 2006 წელს დაიწყო დამატებითი ობიექტების მშენებლობა კოდიანას მთიან მონაკვეთზე. ასევე მოეწყო ნავთობის ავარიული ჩამოსაცლელის (EDDF) 8,500 კუბური მეტრის მოცულობის რეზერვუარი, სადაც ავარიის შემთხვევაში, კოდიანას მონაკვეთის ნებისმიერ ადგილიდან **BTC** მილსადენიდან დაღვრილი ნავთობი ჩაიცლება და შეინახება. ნავთობმილსადენის დამხმარე საშუალებები მოიცავს რვა ნავთობსაქაჩ სადგურს (ორი აზერბაიჯანში, ორი საქართველოში, ოთხი თურქეთში). მშენებლობაზე გაწეული ხარჯების 70%-ს მესამე მხარეები აფინანსებენ. **BTC**-თან დაკავშირებულ სესხებს, საექსპორტო კრედიტებს და რისკის დაზღვევას უზრუნველყოფს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და მსოფლიო ბანკის კერძო ქვეგანაყოფი საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), შვიდი ქვეყნის საექსპორტო საკრედიტო ორგანიზაციები და 15 კომერციული ბანკის სინდიკატი.

**BTC** მილსადენის მოცულობა, რომელიც „აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის“ საბადოდან მოპოვებული ნავთობის ექსპორტირებას ახდენს, წელიწადში 1,2 მლნ. ბარელს აღწევს [<http://www.gogc.ge>].

მშენებლობის პერიოდშიც და მილსადენის ექსპლოატაციაში გამგების შემდეგ, ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის ხარვეზებს. მაგალითად, იყო მუშათა გაფიცვები,

მილსადენიდან ნავთობის გამოჟონვა, 2008 წელს კი მილსადენს თავს დაესხა ოსურ – რუსული ძალები. ამ ბოლო ფაქტთან დაკავშირებით, 2014 წლის სექტემბერში, კრწანისის სასწავლო ცენტრში გაიმართა სამტაბო-სამეთვალყურეო წვრთნები (სწავლება). საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის სამხედროების მონაწილეობით. სწავლების მიზანი, მილსადენის დაცვისა და სტრატეგიული თანამშრომლობისათვის მრავალფეროვანი ბრიგადის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. აღნიშნული სწავლების მიზანი უშუალოდ, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენის დაცვაა.

ნავთობსადენის პროექტს თურქეთის და აზერბაიჯანის მთავრობისათვის აქვს არა იმდენად ეკონომიკური, რამდენადაც პოლიტიკური დატვირთვა. ეს არის პირველი ნავთობსადენი დსთ–ში, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით აშენდა და შეცვალა გეოპოლიტიკური ბალანსი ცენტრალურ აზიაში, კავკასიასა და კასპიის ზღვისპირეთში. რუსეთი ამ მოვლენას აფასებს, როგორც ამერიკის მცდელობას შეამციროს ამ რეგიონში რუსეთის როლი და გაზარდოს თავისი გავლენა. საქართველოსათვის კი, სადაც ნავთობისა და გაზის მარაგი ძალზე მცირეა, ნავთობის ტრანზიტიდან დაგეგმილი მცირე მოგების მიუხედავად, საკმაოდ კარგი ეკონომიკური სარგებელი ნახა მილსადენის მშენებლობიდან, შეიქმნა სამუშაო ადგილები და მშენებლობის პერიოდში საქართველოში დასაქმდა 6000 ადამიანი. მშენებლობის პერიოდში 2004 წლის 19 ოქტომბერს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ მთავრობას გამოუყო 40 მლნ. დოლარი გრანტის სახით [[www.radiotavisupleba.ge](http://www.radiotavisupleba.ge)]. საქართველოს შემოსავალი, აქ გატარებული ნავთობის ტარიფის მიხედვით, შეადგენს წელიწადში საშუალოდ 62,5 მლნ. აზერბაიჯანმა უარი თქვა სატრანზიტო გადასახადზე და ის საქართველოს დაუთმო. საქართველოს მონაკვეთზე გასაწევი ხარჯები შეადგენს 515 მლნ. დოლარს, ხოლო საპროექტო ხარჯები 400 მლნ. დოლარს [სვანიძე, 2017:549].

**BTC** თავის დროზე, ქართული მხარის მიერ შეფასებულ იქნა, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პროექტად ჩვენი ქვეყნისათვის. რადგან პროექტი 90-იან წლებში, იმ მძიმე პოლიტიკურ–ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც იყო ქვეყანაში შექმნილი, იყო პირველ რიგში რუსეთის ეკონომიკური გავლენისაგან თავის დაღწევის საშუალება. მეორეც, საქართველო პროექტის საშუალებით ხდებოდა იმ უმნიშვნელოვანესი ჯაჭვის ერთ–ერთი მაკავშირებელი რგოლი, რომლითაც მოხ-

დებოდა კასპიის ზღვის აუზიდან, საქართველოს გავლით და რაც მთავარია რუსეთის გვერდის ავლით, ევროპაში თურქეთიდან ნავთობის მიწოდება.

დღეს როდესაც საქართველოს მდგომარეობა შეიცვალა და აღარ არის ის ვითარება რაც იყო 90-იან წლებში, ჩვენ ქვეყანას გააჩნია უფრო მეტი შესაძლებლობები. საქართველოს, ის ფაქტი, რომ ის არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ერთ-ერთი მონაწილე ქვეყანა და გააჩნია კარგი სტრატეგიული მდებარეობა („აბრეშუმის გზა“), შეუძლია ეს შესაძლებლობები გამოიყენოს თავის სასარგებლოდ საგარეო პოლიტიკის წარმოებისას.

მეორე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პროექტი საქართველოსა და თურქეთის მონაწილეობით არის ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტი, რომელსაც 2004 წელს ჩაეყარა საფუძველი და მშენებლობა დასრულდა 2006 წლის ბოლოს. მილსადენის პირველი მიზანია თურქეთისა და საქართველოს გაზით მომარაგება. როგორც სატრანზიტო ქვეყანა, საქართველოს აქვს უფლება მიიღოს წლიური გაზის მოხმარების 5%.სამხრეთ კავკასიურ მილსადენით საქართველოში მოწოდებული გაზი წარმოადგენს ალტერნატიულ ენერგეტიკულ რესურსს, სწორედ ამის გამო მას ქვეყნისთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ამ გაზსადენის ამოქმედებით საქართველო მთლიანად აღარ არის დამოკიდებული რუსულ ბუნებრივი აირის მონოპოლისტ „გაზპრომზე“.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული წარმატებით ვითარდება თურქეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები. თურქეთისკენ ძირითადი საექსპორტო საქონელი იყო: ელექტროენერგია, ლითონები, ტრიკოტაჟის ნაწარმი, თევზეული და ავტომობილები; ამავდროულად, მთავარ იმპორტს თურქეთიდან წარმოადგენდა ფარმაცევტული, საყოფაცხოვრებო საქონელი, ავეჯი, სამშენებლო მასალა, ქაღალდი და სხვა.

სტატისტიკური მონაცემებით, 1996 წელთან შედარებით 2005 წლისთვის საქართველო-თურქეთს შორის საქონელბრუნვა გაიზარდა 400%-ით 2007 წლიდან, ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შემოღებით სავაჭრო ბრუნვამ კიდევ უფრო მოიმატა. 2011 წლისთვის ორმხრივი ბრუნვამ 1,5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. გაიზარდა თურქული კაპიტალდაბანდების მოცულობაც. 2000-2011 წლებში თურქულმა

ინვესტიციამ საქართველოში გადააჭარბა 1,4 მლრდ დოლარს, რაც შეადგენდა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის 16%-ს. საქალტველო გახდა პირველი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, სადაც თურქეთმა გადაუსწრო რუსეთს და გახდა პირველი სავაჭრო პარტნიორი [Аршакян., 2015:129-130].

*საქართველოს სხვადასხვა ქვეყნებსა და ქვეყნების გაერთიანებებთან  
ვაჭრობის წილს (საქსტატი, 1,000 აშშ \$)*

სავაჭრო პარტნიორები	2010	2011	2012	2013	2014
მთლიანი ვაჭრობა	6,934,594	9,225,154	10,413,054	10,921,110	11,453,996
ევროპის კავშირი	1,780,193	2,476,817	2,781,466	2,870,770	2,993,781
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა	2,264,291	2,975,888	3,291,464	3,794,008	3,589,502
რუსეთი	325,242	424,515	523,294	774,020	850,119
თურქეთი	1,103,494	1,502,875	1,608,914	1,592,726	1,966,687


2012 წლისთვის საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორად კვლავაც თურქეთი რჩება. შემდეგ მოდის აზერბაიჯანი, შემდეგ კი გერმანია. ამას გარდა, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მიწურულისთვის თურქეთის წილი ტურიზმში არის 25% ზე მეტი (1,5 მილიონი ვიზიტორი), თურქეთი არის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტორი, განსაკუთრებით ენერგეტიკაში; თურქეთი არის ჩვენი სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნის პოტენციალის გამოყენების მთავარი შემადგენელი ნაწილი;

გააქტიურებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს თან ახლდა ორი ქვეყნის მოქალაქეების ურთიერთობების ინტენსივობის ზრდა. ვიზიტორთა რაოდენობამ თურქეთიდან საქართველოში 2005-2014 წლებში 7 მილიონს მიაღწია. ეს არის შედეგი ქვეყანას შორის ძალიან ინტენსიური და ეფექტიანი თანამშრომლობის და გადაწყვეტილებებისა, რომელიც 2006 წლის თებერვალში დაგვირგვინდა ორმხრივი შეთანხმებით ორი ქვეყნის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობების მიცემით. შემდეგი უპრეცედენტო შეთანხმება უკვე 2011 წლის ნოემბერში - ორი ქვეყნის მთავ-

რობას შორის უფლებას აძლევს ორი ქვეყნის მოქალაქეებს საიდენტიფიკაციო ბარათით შევიდნენ ერთმანეთის ტერიტორიაზე. 2012 წელს მთავრობები შეთანხმდნენ 273 კილომეტრიან საერთო სახმელეთო საზღვარზე 4 სასაზღვრო გამშვები პუნქტის შექმნის შესახებ. კერძოდ, სარფში და ახალციხეში (ფოსოფი), რომლებიც ადრეც მუშაობდა და ახალი პუნქტები კარწახში (ჩილდირი) და მარადიდში (მურათლი). ამ პოლიტიკას არსებითი გავლენა ჰქონდა თურქეთიდან საქართველოში ვიზიტორთა რიცხვზე

2011 წლისთვის საქართველოს იმპორტში ყველაზე დიდი წილი ეკუთვნოდა თურქეთს - 18%-ზე მეტი, მაშინ როცა რუსეთის წილი იყო 5,5%, აზერბაიჯანის - 8,6%, უკრაინის - 10%. თურქეთს წამყვანი ადგილი ეჭირა საქართველოდან ექსპორტის მხრივაც [Katkat, 2016:211-232]

*თურქი ვიზიტორების რაოდენობა საქართველოში*



აღნიშნულ პერიოდში წარმატებით ვითარდება საქართველო-თურქეთის სამხედრო თანამშრომლობა, რომელსაც წინა საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. 2004 წლის 20 მაისს სამდღიანი ოფიციალური ვიზიტისას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეხვდა თურქეთის ხელისუფლების პირველ პირებს (რ.ტ. ერდოღანს, ა. სეზერს) და, ასევე, გენერალური შტაბის უფროსს, სადაც განიხილეს ამ თანამშრომლობის დეტა-

ლები. 2004 წლის ბოლოს დასრულდა მარნეული აეროდრომის რეკონსტრუქცია, რაც თურქეთს 3 მლნ დოლარი დაუჯდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ობიექტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის, ადრე გაფორმებული ხელშეკრულებით თურქულ მხარეს აქვს მისით სარგებლობის უფლება. 2005 წელს ქართული შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისთვის ანკარამ გამოყო 1,55 მლნ დოლარი. ამავე წლის ბოლოს გაიხსნა სამხედრო ბაზა სენაკში, რომლის მშენებლობაშიც თურქული კომპანია იღებდა მონაწილეობას. 2006 წელს თურქეთმა საქართველოს გამოუყო 1,8 მლნ დოლარი სამხედრო აკადემიისა და სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის. 2007 წელს სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად გამოყო 2,1 მლნ დოლარის კრედიტი. 2008 სელს ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს გადმოეცა რადიო და ნავიგაციის სისტემები სამხედრო საჰაერო და საზღვაო ძალებისათვის.

საქართველომ თურქეთისგან შეიძინა დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა. ასე მაგალითად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში საქართველომ გამოიყენა 2007-2008 წლებში თურქეთისგან შეძენილი ბრონეტრანსპორტიორი „კობრა“. აშშ-ს შემდეგ თურქეთი იყო მეორე სავაჭრო პარტნიორი სამხედრო სფეროში [Аршакян, 2015:131-134].

გარდა ეკონომიკური, სავაჭრო და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობებისა, თურქეთ-საქართველოს შორის იყო და არის მჭიდრო კავშირები განათლებისა და კულტურის სფეროში. რომელიც, ბოლო ოცო ათწლეულის განმავლობაში, განსაკუთრებით განვითარდა.

თურქეთსა და საქართველოს შორის კულტურული კონტაქტების დამყარება გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე მათ შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობებისა. ეს კონტაქტები სპონტანურად, პირადი თაოსნობის საფუძველზე იბმებოდა [კომახიძე, 1994:143].

დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ, ეს კონტაქტები უფრო გაღრმავდა. ყოველწლიურად თურქეთის სხვადასხვა ქალაქში ჩადიან ქართველ მომღერალთა ჯგუფები. კულტურულ პროგრამებს ახორციელებენ ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლები. თავად თურქეთის ქალაქებსა და სოფლებში შექმნილია ქართული ხალხური სიმღერის და ცეკვის ანსამბლები. რომელთა შორის გამოირჩევა 1987 წელს

ქალაქ ბურსაში იბერია მელაშვილის (ოზკანი) თაოსნობით დაარსებული ანსამბლი „იბერია“. იბერია მელაშვილი, XX საუკუნის ერთ–ერთი დიდი ქართველის, მუჰაჯირთა შთამომავლის ახმედ მელაშვილის (1922-1980) შვილია.

კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობები მას შემდეგ უფრო გაღრმავდა, რაც თურქეთ–საქართველოს შორის აღსდგა ურთიერთობები სახელმწიფო დონეზე. დაიწყო სტუდენტების, მეცნიერების, დოქტორანტების მივლინებები თურქეთისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. სისტემატური ხასიათი შეიძინა ხელოვნების ოსტატთა, აგრეთვე, თვითშემოქმედებითი მხატვრული კოლექტივების გაცვლამ.

1994 წელს თურქეთსა და საქართველოს შორის საგანმანათლებლო–სამეცნიერო კონტაქტების გაფართოების მიზნით ხელი მოეწერა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებას „საქართველოში აღმოსავლური ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. მიმდინარეობს მეცნიერ–თანამშრომლებისა და სტუდენტთა გაცვლა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები. საქართველოში შპს „ჩაღლარის“ თაოსნობით გაიხსნა თურქული სასწავლო დაწესებულებები: ქ. თბილისში დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. ქ. ბათუმში რ. შაჰინის სახელობის საერთო მეგობრობის ლიცეუმი, დემირელის სახელობის დაწყებითი სკოლა და სხვა.

2000 წელს სტამბოლში დაარსდა „თურქეთ–საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი“, რომლის პრეზიდენტად აირჩიეს საქართველოს საპატიო მოქალაქე, ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე ნიჰათ გიოქითი (გოგიტიძე).

თურქეთის რესპუბლიკაში უამრავი ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. ისინი ძირითადად სახლობენ თურქეთის ჩრდილოეთითა და სამხრეთ–დასავლეთით. იმის გამო, რომ თურქეთის კონსტიტუციის 66–ე მუხლი თურქს განსაზღვრავს „ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ემორჩილება თურქეთის სახელმწიფოს მოქალაქეობის ვალდებულებით“, არ არსებობს ეთნიკური განსაზღვრება, ამიტომ რთულია იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველების ზუსტი ციფრის დასახელება. მაგრამ, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ იქ დაახლოებით ორ მილიონზე მეტი ქართული წარმოშობის თურქი მოქალაქე ცხოვრობს. საზღვარგარეთ და კერძოდ თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახლეობასთან კონტაქტების დასამყარებლად პირველი ნაბიჯი გადაიდგა 60–იან

წლებში, როდესაც საქართველოში შეიქმნა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება. რომელსაც, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცნობილი თურქოლოგი და საზოგადო მოღვაწე ოთარ გიგინეიშვილი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ინიციატივით, საქართველოში ბოლო წლებია ჩამოდიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველები, მათ შორის თურქეთიდანაც, და ტარდება კულტურული ღონისძიებები. თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა მიიღეს ემოციური ზედწოდება „ჩვენებურები“, რომელიც კარგად დამკვიდრდა ქართულ საზოგადოებაში. თურქეთიდან სტუმრად ჩამოსული ქართველებიდან ყველაზე მეტად ქართულ საზოგადოებას თავი შეაყვარა თურქეთის მოქალაქემ - ბაიარ შაჰინმა (გუნდარიძემ), რომლის სიმღერებსაც დიდი სიყვარულითა და სითბოთი ისმენს ყველა ქართველი.

თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები წარმატებით მოღვაწეობენ ბიზნესის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროებში. ერთ-ერთი ასეთი თვალსაჩინო მაგალითია, ლაზური წარმოშობის ბიზნესმენი ისმეთ აჯარი, რომელმაც ქალაქ ანკარის ერთ-ერთ ნაკლებად დასახლებულ გარეუბანში გააშენა დასახლება „აჯარკენტი“.

თურქეთში საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის პროპაგანდის საქმეში ნაყოფიერად მოღვაწეობს ფაჰრეთინ ჩილოღლუ (ბექა ჭილაშვილი). რომელმაც გამოაქვეყნა წიგნი „ქართველთა ისტორიის“ შესახებ. თურქეთ-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარების საქმეში დიდ როლს ასრულებს ჟურნალი „ჩვენებურები“, რომლის დამაარსებელი აჰმედ მელაშვილი იყო. ასევე, პერიოდული გამოცემები: „ახალი ხიდი“, „თურქეთის ცნობები“ და სხვ.

თურქეთში მოღვაწე ქართველთაგან, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს საქართველოს, აღსანიშნავია კარდიოქირურგი, პროფ. ისმეთ დინდარი (მიქელაძე), რომლის მეოხებით თურქეთსა და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროებს შორის დაიდო შეთანხმება კარდიოლოგიის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, შემოტანილ იქნა უახლესი აპარატურა, რასაც დიდი შვება მოაქვს მოსახლეობისთვის. ქართული კარდიოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მას მიენიჭა საქართველოს საპატიო მოქალაქეობა, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით [სურმანიძე, 2010].



აღსანიშნავია, ასევე, თურქეთში მოღვაწე წარმოშობით ქართველი პროფ. ბილალ დინდარის (ისმეთ დინდარის ბიძაშვილის) დამსახურება თავისი ისტორიული სამშობლოსადმი. მან პირველმა მისცა შესაძლებლობა თურქ მკითხველს თურქულ ენაზე გაეცნოს შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს“, რითაც ჩვენი ქვეყნების დაახლოებას შეუწყო ხელი [იქვე].

თურქეთის უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომლის სწავლება ფინანსდება თურქეთის რესპუბლიკის მიერ. ასევე საქართველოში განათლება შეუძლია მიიღოს თურქეთის ნებისმიერ მოქალაქეს. ამ საგანმანათლებლო ურთიერთობაში ყველაზე დიდი მიღწევა არის, 2014 წლის 9 სექტემბერს თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული, თურქეთის ქართული დიასპორის საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა „თურქეთის საჯარო და კერძო სკოლებში ქართული ენის შესწავლის შესახებ 2014-2015 სასწავლო წლისათვის.“ ამ პროგრამის საშუალებით მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 კლასებში ქართული ენის შესწავლა არის შესაძლებელი.

ქ. სტამბოლში არსებობს ქართული კათოლიკური ელესია, სადაც თავის დროზე მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი მიხეილ თამარაშვილი. კათოლიკურ ეკლესიასთან ფუნქციონირებს უნიკალური არქივი და ბიბლიოთეკა. აქვეა სტამბოლში და საერთოდ, მთელ თურქეთში, ქართული კულტურის კვალის შემსწავლელი კვლევით ცენტრი, რომელსაც წლების მანძილზე სათავეში ედგა წარმოშობით ქართველი, წარმატებული ბიზნესმენი სიმონ ზაზაძე [მანჩხაშვილი, 2014:106-108]. ამჟამად ამ საქმეს წარმატებით განაგრძობენ მისი შვილები: პოლ და ნატალი ზაზაძეები.

საქართველო-თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობის საფუძველზე დაიწყო მოლაპარაკებები ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ქართული ძეგლების (ოშკი, ხანძთა, იშხანი) აღდგენის სანაცვლოდ ბათუმში მეჩეთის აშენებასა და ახალციხესა და ქობულეთში (სოფ. კვირიკეში) მუსლიმური სალოცავების რესტავრაციასთან დაკავშირებით. 2005 წელს საქართველოსა და თურქეთის კულტურის სამინისტროების თაოსნობით დაიწყო თურქეთში ქართული და საქართველოში ოსმანური ძეგლების ინვენტარიზაცია. ამ პროცესში მონაწილეობდნენ ანკარის უნივერსიტეტების პროფესორები და საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, ჩვენი ექსპერტები.

ამას მოყვა ერთობლივი დოკუმენტის შედგენა, რომელიც ითვალისწინებდა თურქეთში ქართული სიძველეების და საქართველოში ოსმანური სიძველეების რესტავრაციას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მაშინდელი ხელმძღვანელის, ნიკა ვაჩიშვილის ცნობით, ეს იყო ერთგვარი გაცვლითი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სამომავლოდ სხვა ქართული ძეგლების აღდგენის შესაძლებლობასაც. ეს ძეგლები არ განიხილებოდა მათი თავდაპირველი, რელიგიური ფუნქციით, რესტავრაციის შემდეგ წირვა-ლოცვისთვის, ან მუსულმანური ღვთისმსახურებისთვის. ხელშეკრულებაში მხოლოდ კულტურის ძეგლების გადარჩენაზე და აღდგენაზე იყო საუბარი; და ეს ხელშეკრულება ფუნქციის აღდგენას არ ითვალისწინებდა [<http://www.ambioni.ge>].

აღნიშნული ხელშეკრულება 2008 წელს უნდა ყოფილიყო ხელმოწერილი, მაგრამ საქართველოს საპატრიარქომ ითხოვა დრო და ხელმოწერაც გადაიდო. ამ საკითხს არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა ქართული საზოგადოების მხრიდან. არადა, ტოკლარჯეთის ძეგლები შველას ითხოვენ...

განათლებისა და კულტურის სფერო არის საშუალება, რომელიც უფრო აახლოებს ერებს და ხელს უწყობს მათ შორის ურთიერთობების გაღრმავებას, ხალხის დაახლოებას. აქედან გამომდინარე, 90-იანი წლების ბოლოს დაწყებული ეს ურთიერთობა, გახდა ერთ-ერთი კარგი საშუალება ქართველი და თურქი ხალხის დასაახლოებლად „არა ფორმალურ“ გარემოში. ეს ურთიერთობები დღითიდღე უფრო ღრმავდება.

## დასკვნები:

- საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის გამოცხადების გარიჟრაჟზე ქართულ-თურქული ურთიერთობები ვერ განვითარდა კეთილმეზობლურ ჩარჩოებში. ბრესტის ზავის შესაბამისად ოსმალეთმა მოახდინა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ბათუმის ოლქის ოკუპაცია 1918 წლის აპრილში. სამწუხაროდ, კომპრომისის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე.
- ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო (გერმანიის შემდეგ), რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, იყო თურქეთი. ეს მოხდა, პრაქტიკულად, ბათუმის დათმობის ხარჯზე, თუმცა ამან, საბოლოო ჯამში, საბჭოთა ოკუპაციისგან ვერ იხსნა ქვეყანა.
- 1918 წლის ივლისში ჩატარებული ე.წ. „რეფერენდუმის“ შედეგების საფუძველზე სულთნის მთავრობამ არტაანი და ბათუმი ოსმალეთთან შეერთებულად გამოაცხადა, მაგრამ იგი არ ცნო არათუ მხოლოდ საქართველომ, არამედ არცერთმა სახელმწიფომ, მათ შორის თურქეთის მოკავშირე გერმანიამაც, რადგან იგი არაკანონიერ საფუძველზე და ძალადობრივ პირობებში ჩატარდა.
- 1919 წელს თურქეთის ხელისუფლება შეეცადა სიტუაციის არევას საქართველოს სამხრეთ ნაწილში ე.წ. „ყარსის რესპუბლიკის“ შექმნით, მაგრამ ეს წამოწყება მარცხით დასრულდა. ამ პერიოდში თავად თურქეთი იღვა დიდი გამოწვევის - ქვეყნის დაქუცმაცების საფრთხის წინაშე, საიდანაც 20-იანი წლების დასაწყისში, მუსტაფა ქემალ ათათურქის ძალისხმევით, იგი წელში გამართული გამოვიდა.
- 1921 წლის თებერვალში ქემალისტურმა თურქეთმა აღიარა საქართველო თავის იმდროინდელ საზღვრებში, მაგრამ ამ ახალ სამეზობლო-მეგობრულ ურთიერთობებს იმ ხანად გაგრძელება არ ეწერა, რადგან რამდენიმე კვირაში ქვეყანა ბოლშევიკური აგრესიის მსხვერპლი გახდა.
- 1921 წლის მარტში ბათუმი კვლავ აღმოჩნდა თურქეთის მიერ საქართველოსგან ჩამოცილების საფრთხის წინაშე. თუმცა ქართველი ხალხის დიდი წინააღმდეგობისა და მოსკოვში მიღწეული შეთანხმების გამო, ეს წამოწყება, საბედნიეროდ, ვერ განხორციელდა.
- 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც გაიწერა ის ძირითადი დებულებები, რამაც ასახვა ჰპოვა 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში ხელმოწერილ დოკუმენტში. ფაქტობრივად, ამიერკავკასიის რესპუბ-

ლიკების თურქეთთან საზღვრის საკითხი, ამ რესპუბლიკების მესვეურთა დაუკითხავად, გადაწყდა ჯერ მოსკოვში, ყარსში კი საბჭოთა აზერბაიჯანის, საბჭოთა სომხეთისა და საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელთა მხრიდან ხელმოწერებით დადასტურდა ორი იმპერიას შორის მიღწეული კომპრომისი.

- არალიარებულმა ბოლშევიკურმა რუსეთმა მოსკოვში ხელშეკრულება დადო არალიარებულ ქემალისტურ თურქეთთან იმ ტერიტორიებზე (სხვათა შორის), რომლებიც ფორმალურად მათ არ ეკუთვნოდათ. ყარსში კი მოსკოვის ხელშეკრულების პირობების აღიარება ხელმოწერით დადასტურეს საბჭოთა საქართველოს იმ მთავრობის წარმომადგენლებმა, რომლებიც არ გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ნებას და ხელისუფლებაში რამდენიმე თვით ადრე მოვიდნენ უცხო ძალაზე დაყრდნობით, სამხედრო აგრესიის გზით. მიუხედავად ამისა, ყარსის ხელშეკრულება სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის საფუძვლად იქნა აღიარებული.
- 1922 წლიდან საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა იყო, შესაბამისად, ქართულ-თურქული ურთიერთობები სსრკ-თურქეთის ურთიერთობების ჭრილში განიხილება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ორი ქვეყნის ურთიერთობების მნიშვნელოვან პრობლემას, სრუტეებთან ერთად, საქართველოს და სომხეთის ისტორიული ტერიტორიების საკითხთან არსებული წინააღმდეგობები წარმოადგენდა. თურქეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნების კამპანიაში 1945 წლის დეკემბრიდან აქტიურად ჩაერთო ქართული მხარეც.
- საბჭოთა კავშირმა თურქეთთან მიმართებაში თავისი პრეტენზიები წამოაყენა, რომელიც თანდათან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის პირველი დაპირისპირების არენად იქცა. მსოფლიო დიპლომატია აქტიურად ამოქმედდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს, 1953 წლის 30 მაისს სსრკ იძულებული გახდა, თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ პრეტენზიებზე ოფიციალურად ეთქვა უარი და ამ მიწების შემოერთებაზე ხელი აეღო. ამით საქართველომ საბოლოოდ დაკარგა ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტაანისა და ლაზეთ-ჭანეთის დაბრუნების შანსი.
- თურქეთის რესპუბლიკამ თითქმის მთელი XX საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში მოახერხა საფუძვლიანად შეეცვალა ამ პროვინციების ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი. ქართველთა დიდი ნაწილი თურქეთის შიდა პროვინციებში გადაასახლეს, რაც ჩვენი ერის დიდი ტრაგედია იყო.

- თურქეთი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო. თურქეთის მაშინდელი ხელისუფლება ცდილობდა გადაედგა ნაბიჯები საქართველო-თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიურად განვითარებისათვის. მძიმე ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოსთვის მეზობელმა თურქეთმა დადებითი როლი შეასრულა. ამ პირობებში საქართველოს სასიცოცხლოდ ჭირდებოდა ახალი პარტნიორები და შესაძლებლობები, საკვების და ძირითადი სამომხმარებლო საქონლის მიწოდების უზრუნველყოფა. ასეთი მხარდაჭერა სწრაფად გამოჩნდა თურქეთიდან, რომელიც რამდენიმე წელიწადში საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო პარტნიორი და ინვესტორი გახდა.
- თუ ოსმალეთის იმპერია საქართველოს შენარჩუნებისთვის ისტორიულად „ხისტ ძალას“ იყენებდა, 90-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი XXI საუკუნის დასაწყისიდან მან „რბილი ძალის“ პოლიტიკა არჩია. მიუხედავად ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში არსებული მთელი რიგი დადებითი მომენტებისა, თურქული რბილი ძალის გააქტიურება გარკვეულ საფრთხეებთან არის დაკავშირებული და საქართველოს წინაშე მთელ რიგ გამოწვევებს აყენებს.
- პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, თურქული „რბილი ძალა“ ვლინდება მის ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო ექსპანსიაში - კარგად დადგმულ თურქულ სერიალებში, სასწავლო დაწესებულებების, მათ შორის უნივერსიტეტების გახსნაში, რომელთა მიერ გამოშვებულ კადრებს უჩნდებათ ლოიალობის გრძნობა უცხო ქვეყნის მიმართ.
- ქართველი და უცხოელი ავტორების შეფასებით, დღეს რეგიონის ქვეყნებზე ზეგავლენის გაძლიერების მიზნით, რბილი ძალის გამოყენება თურქული სამეზობლო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. თავის მხრივ, რბილი ძალის შემადგენელია ლობიზმი, რომელიც აქტიურად გამოიყენება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამხედრო, საგანმანათლებლო სფეროებში და სხვადასხვა ფორმით ვლინდება.
- ლობიზმმა ჩაანაცვლა ხისტი ძალის გამოყენების საშუალებები, რის შედეგადაც განსაკუთრებით გართულდა საფრთხეებისადმი სახელმწიფოთა ბრძოლისუნარიანობა. მითუმეტეს, რომ სადაზვერვო ხასიათის ლობიზმით შესაძლებელია კორუფციის, მონოპოლიის, ბაზარზე არსებული ავანტიურისტული გარიგებების, ფულადი მაქინაციებისა და სახელ-

მწიფო ინტერესების დამაზიანებელი სხვადასხვა ქმედებების წახალისება, რაც ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელ ზემოქმედებას იწვევს.

- რბილი ძალის პოლიტიკის ერთ-ერთ სამიზნედ ითვლება, ეკონომიკური ურთიერთობები და ეროვნულ ბაზარზე შეღწევა, ზეგავლენის მოხდენა და ბაზრის დაპყრობა. შესაბამისად, საქართველოში თურქული კომპანიების ასეთი რაოდენობით შემოდინება შეიძლება განპირობებული იყოს თურქული მხარის ზემოქმედებით, რაც აიხსნება ქართველ მაღალჩინოსნებისა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე ზეგავლენის მოხდენით. ამ იდეას ისიც ამყარებს, რომ თურქული კომპანიები განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან ენერგეტიკული პოტენციალითა და ბაზრით. რთული მისახვედრი არაა, რომ ენერგეტიკულ ბაზარზე მსხვილი ინვესტირება, პირდაპირ არის დაკავშირებული თურქეთის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან. შესაბამისად, ენერგეტიკული ბაზრის დაპყრობა და იქ დომინირების შენარჩუნება თურქეთის ეროვნულ ინტერესებს წარმოადგენს.
- თურქეთის მხრიდან მსგავსი მიდგომა დამახასიათებელია არა მხოლოდ საქართველოსთან ურთიერთობაში. იგივეს თქმა შეიძლება აზერბაიჯანთან, რუსეთთან და აზიის ენერგო რესურსებით მდიდარ სახელმწიფოებთან მიმართებაში. თურქეთი მაქსიმალურად ცდილობს ენერგეტიკული ბაზრის დივერსიფიკაციას და ევროპასთან დამაკავშირებელი „ხიდის“ ფუნქციის შექმნას, რაც მას საერთაშორისო ურთიერთობების გავლენიან მოთამაშედ აქცევს.
- თურქული რბილი ძალის პოლიტიკის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე მისი ურთიერთობები აფხაზეთთან. თურქეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, მაგრამ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ დონეზე მჭიდროდ თანამშრომლობს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან. დღეს თურქეთში უფრო მეტი ეთნიკური წარმოშობის აფხაზი ცხოვრობს, ვიდრე თავად აფხაზეთში. შესაბამისად, მოქმედებისათვის ნაყოფიერ ნიადაგია. თურქეთის აფხაზური დიასპორის ჯგუფები, თურქეთის მთავრობის ლობისტური ორგანიზაციების ფუნქციას ასრულებენ და მათი გამოყენება სხვადასხვა - თურქეთის სამთავრობო წრეების, არაფორმალურ, საკომუნიკაციო, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. მიმართულებებით შეიძლება.
- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართულ-თურქული ურთიერთობების ახალი ეტაპი დაიწყო. 1992 წლის 30 ივლისს თბილისში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ და თურქეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „საქართველოს

რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ“. ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის შესახებ ბევრი დაიწერა, არის გარკვეული ვნებათაღელვანი, რაც პირველ რიგში გამოწვეული იყო ხელშეკრულების პრეამბულაში არსებული მითითებით 1921 წლის 13 ოქტომბრის ე.წ. ყარსის ხელშეკრულებაზე, რომელიც დაიდო, ერთი მხრივ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ხოლო მეორე მხრივ, ანკარის მთავრობას შორის. პრეამბულაში ნათქვამია: „მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით.

- თურქეთმა, გარკვეულწილად, ჩაანაცვლა რუსეთი და, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა, გახდა საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე და უდიდესი სავაჭრო პარტნიორი. დღეს სწორედ თურქეთის კერძო სექტორია საქართველოს ეკონომიკის უმსხვილესი ინვესტორი. ქვეყნებს შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. ორივე ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ ქვეყნებს შორის მიმოსვლის გამარტივებული წესით. თურქეთი, საქართველოსთან ერთად, ჩართულია რეგიონულ და საერთაშორისო ენერჯო პროექტებში და კორიდორის მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანას წარმოადგენს, ამიტომაც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებს დიდი როლი ეკისრება რეგიონის როგორც ეკონომიკურ, პოლიტიკურ ისე სტრატეგიულ განვითარებასა და უსაფრთხოების განმტკიცებაში.
- 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან ქართულ-თურქული ურთიერთობები უფრო აქტიური ტემპებით განვითარდა, რასაც სტიმული საქართველოს დსთ-ში გაერთიანებამ მისცა. ეს კი პოტენციურად რეგიონში რუსეთის გაძლიერებას მოასწავებდა და ექვექვემ აყენებდა თურქულენოვან სახელმწიფოებში „თურქული მოდელის“ განხორციელების შესაძლებლობას. მაგრამ გადამწყვეტი აღმოჩნდა ის ფაქტორი, რომ საქართველომ თურქეთისთვის რეგიონის ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში პრიორიტეტული მნიშვნელობა მოიპოვა. ჯერ კიდევ 1999 წელს ეუთოს სტამბოლოს სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს, როგორც ტრანზიტული სახელმწიფოს, მსხვილ პროექტებში ჩართვის შესახებ. თურქეთმა მიზნად დაისახა ქვეყანაზე საკუთარი გავლენის გაძლიერება.
- ორი ქვეყნის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ურთიერთობებს საგანმანათლებლო სფეროში. განათლების მეშვეობით ადამიანებს უყალიბდებათ სხვადასხვა

ღირებულებები, სიმპათიები და პოზიტიური განწყობა. ეს გარემოება ქმნის ზემოქმედების ბერკეტს. პირველ რიგში, იგი ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობაზე, სწორედ ეს არის ადამიანის ცხოვრებაში სოციალიზაციის აქტიური ფაზა, როდესაც ადამიანი პიროვნებად ყალიბდება, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის შექმნაში საკუთარი წვლილი შეაქვს.

- მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის ურთიერთობების კულტურული ასპექტები. ამ მიმართულებით ხდება სხვადასხვა ღირებულებების წინა ფლანგზე წამოწევა და მათი პოპულარიზება. საქართველოში მრავალად არის წარმოდგენილი თურქული ტრადიციული და კულტურული ღონისძიებები (კულტურულ-ისტორიული ფესტივალები, ლიტერატურული გამოფენები, ტრადიციული ღონისძიებები, დღესასწაულები, კულინარია, და ა.შ) რომელთა პოპულარიზება საკმაოდ წარმატებით ხდება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა თურქული სერიალებისა და ფილმების ჩვენების ინტენსიობა. ეს ფილმები თურქულ იდენტობას საუკეთესო მხრიდან წარმოაჩენს, რომელთა ყურების შემდეგ რთულია მოხიბლული არ დარჩე თურქეთის ისტორიით, კულტურითა თუ ტრადიციებით. განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ეს ფაქტორი ჰიბრიდული, კიბერ, სივრცული ეპოქის პირობებში, როდესაც ფილმებმა შეიძლება გაცილებით უფრო ეფექტურად მოახდინოს ზეგავლენა მაყურებელზე, ვიდრე რომელიმე პოლიტიკოსმა, ორატორმა ან პოლიტიკურმა პროცესმა. ასეთ დროს მაღალია პროპაგანდის ხარისხიც, რომელიც შეიძლება მიზანმიმართულად ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად. მოხიბვლა, სიმპათიის ზრდა, პოზიტიური დამოკიდებულება ისევე წარმატებულად მუშაობს როგორც კულტურის სხვა კომპონენტები, მათ შორის რელიგიის ფაქტორი.
- რბილი ძალის გავლენის შერბილება შესაძლებელია პროცესის კონტროლით და ანალიზით, კანონმდებლობაში მიზანმიმართული ცვლილებების შეტანით, სადაზვერვო სამსახურის მიერ ოპერატიული, ანალიტიკური მონაცემების შეგროვებით, მათი ანალიზით და მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციით, პროცესში მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა ჩართვით
- სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის გამოსარიცხად, მნიშვნელოვანია ლობისტთა საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესებით შეზღუდვა. სახელმწიფოთა სადაზვერვო საქმიანობის შედეგად ორგანიზებული ლობიზმის გამოსარიცხად, უნდა მოხდეს ადგილობრივი და უცხოური კომპანიების კეთილსინდისიერების და თავსებადობის ანალიზი, შემოწმდეს მათი შესაბამისობა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასთან.



- სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ქართული დიასპორების მხარდაჭერა, მათ პრობლემებში გარკვევა, ახალგაზრდობის დაინტერესება და ჩართულობა დიასპორის საქმიანობაში.
- ეთნიკური და რელიგიური სიჭრელით გამორჩეულ რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი
  - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
